

საქართველოს მთანიღებათა აკადემია

•თუმცის ნ. ზერძენიავილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ISSN 0234—0291

გ. გიორგაძე

ქართული სალერი კალენდარული
საზოგადოებრივი პრაგმა
სამხერო-ჩასავდეთ საქართველოს
ზეპირსიცყვიერება

XI



თბილისი —
„მთანიღება“

1993

კალენდარულ საწესჩვეულებო პოეზიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი ჟანრია, ადამიანური გონებითა და მეხსიერებით შემონახული წინა თაობათა უძვირთასესი პოეტური მემკვიდრეობა. ამ ეანრის ნიმუშებმა უნა მარტო უძველესი მსოფლმხედველობის. არამედ მხატვრული სიტყვის განვითარების აღრეული საფეხურების დამადასტურებელი მასალაც შემოგვანახა.

კალენდარული წეს-ჩვეულებების და მასთან დაკავშირებული ფოლკლორის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ სხვადასხვა ხალხების ტრადიციულ კულტურაში იღენტური სტრუქტურული ელემენტების, მოტივების, თემების ასებობა შეინიშნება, რაც, ძირითადად, კაციბრიობის კულტურული განვითარების მეტნაკლებად ერთიანი პროცესით და განვითარების ერთგვარ საფეხურზე აღამიანური ფსიქიკის ერთგვაროვნებით აიხსნება: „მსგავსი წეს-ჩვეულებები და რწმენები სხვადასხვა ხალხებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა, ცხოვრების ანალოგიური პირობების გავლენით აღამიანური აზრის შრომისათვის შედეგად“ [425, 64].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამთხვევათა მრავალრიცხვანი ფაქტები ხალხების საკუნოვან ურთიერთკონტაქტებსაც გულისხმობს. შ. დიუმეზილი, როცა ლაბარაკობს ხალხების მუდმივი თუ დროებითი კონტაქტების შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ წინარეისტორიულ პერიოდში ერაზისის კონტინენტზე, იმოწმებს მ. გრანეს ერთი შეხედვით პარადოქსულ თვალსაზრისს: ირლანდიიდან მანჯურიის სანაპირომდე მხოლოდ ერთი ცივილიზაცია ასებობდათ [304, 136].

რაც შეეხება ქართველი ხალხის ტრადიციულ კულტურას, იგი განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ძველი აღმოსავლეთის, წინა აზიისა თუ ანტიკური კვეყნების ცივილიზაციებთან [122, 93; 248, 6; 292, 496]. ქართველი ერი ისტორიულად ბევრ სხვადასხვა კულტურასთან, რველი გიასთან იყო კაეშირში. უკვე უძველესი ხანიდან მათ მრავალი კულტურული იმპულსი შეუთვისებიათ ძველი სამყაროს იმ ხალხებიდან, რომლებთანაც პერნიათ გარკვეული კონტაქტები (ხეთები, ხურიტები, ეტრუსკები, პელაზგები, ბერძნები და სხვ.).

ქართული საწესჩვეულებო ფოლკლორი ქართველი ხალხის საწეს-ჩვეულებო ტრადიციების მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგია. ცხადია, ეს ტრადიციები ყალიბდებოდა ქართველებთან ისტორიულად დაკავშირებული ხალხების საწესჩვეულებო ტრადიციებთან ურთიერთობაში. ამიტომაა, რომ ქართული ხალხური საწესჩვეულებო პოეზია გარდა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა, ბევრ საერთოსაც ამჟღავნებს სხვა ხალხების ფოლკლორული შემოქმედების ანა-

ლოგიურ ყანრთან. წარმოდგენილ ნაშრომში, გათვალისწინებულია ეს ორივე მომენტი.

კალენდარული ფოლკლორი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სწორედ ტრადიციული წეს-ჩვეულებები და ფოლკლორი ასახავს განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ხალხის ეთნიკურ თავისებურებებს. „ჩვეულებებსაც თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს და თუ იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია და ამასთანავე ზნეობითს კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოვლად საჭიროა... სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებითს ფერს, პიროვნულ ხასიათს“, — შენიშნავდა ნ. ხიზანიშვილი [238, 3].

ქართული საწესჩვეულებო ფოლკლორი ეროვნული ტრადიციების გამომხატველია. სწორედ ამ თავისებურებებიდან გამომდინარე იძენს ეროვნული ფოლკლორი უნივერსალურ ღირებულებას, რადგან ყოველი ტრადიციული კულტურა საერთო-საკაცობრიო მოვლენაა იმდენად, რამდენადაც თავის თავში შეიცავს განუმეორებელ გამოცდილებას, გამომდინარეს იქიდან, რომ ყოველი ხალხი ცხოვრობს და ვითარდება ინდივიდუალურ პირობებში.

ქართველთა ცივილიზაციას, სახელმწიფოებრიობას ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიცია ძ. წ. აღ.-ის III ს.-დან, ფარნავაზის ეპოქიდან, უდებს სათავეს. უკვე ამ პერიოდიდან შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ქართველთა სარწმუნობრივი ცხოვრების შესახებ, რაც, თავისთავად, ურთულესი საკითხია, რომლის გამო კამათიც დღემდე არ წყდება.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, ჩ. წ. აღ.-ის IV ს-მდე სხვადასხვა წარმართული კულტების და კერპების თაყვანისცემა ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე სარწმუნო ფაქტია ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებითაც. საკითხის ამგვარი წარმოდგენა არც ისტორიული პროცესის ბიბლიური კონცეფციის მიხედვით გააჩირებას ეწინააღმდეგება. „ქართლის ცხოვრება“ გვაძლენობს თარგმანისანთა, ქართლოსისანთა, მცხეთოსიანთა შთამომავლებმა როგორ „დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა და მთვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა“ [180, 11]. ამის შემდევ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეფეთა მიერ, სხვადასხვა კერპებიც იქნა შემოტანილი თუ დამკვიდრებული: გაცი და გაიმ (აზონი), არმაზი (ფარნავაზი), აინანა და დანანა (საურმაგი), ზაღენ (ფარნაჯომი), არტემი და აპოლონი (სამცხეში), აფროდიტოს (რევი). ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, მირიანი, მოქცევამდე „აღიზარდა... მსახურებასა მას შინა შედთა მათ კერთასა და ცეცხლისასა“ [180, 65]; ჩამოთვლილ კერპებს

ქართველები თაყვანს სცემდნენ, როგორც „ძველ ღმერთებს მამათა ჩუქუნთათა“ [180, 106].

ქართველი ხალხის უძველესი მსოფლმხედველობის შესახებ უცხო-ჟლ ავტორთა თხზულებებსა თუ საკუთრივ ქართულ ისტორიულ წყა-როებში დაცული ცნობებით ვგვიპოვთ, რომ ჩვენი წინაპრების სა-კულტო მსახურების საგნებს თავდაპირველად მნათობები [349, 4] — მზე, მთვარე, ვარსკვლავები [203, 156; 180, 18]; ჭალები და ტყეები [204, 216]; ცეცხლი, ქვანი და ძელი [180, 87], დედამიწის ღვთაება და სხვა „აღგილობრივი ღმერთები“ [204, 124] შეადგენდა.

ბუნებრივია, ამ კერპთა და კულტთა მსახურებას შესაბამისი კა-ლენდარული რიტუალები და დღესასწაულები ახლდა, ამას მოწმობს თუნდაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზ მეფემ არმაზის კერპის დამკიდრების შემდეგ „ქმნა სატფურება (წლისთავის დღესასწაული) დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“ [180, 25]. სწორედ არმაზობის, „ღმერთთა ღმერთის არმაზის“ დღესას-წაულის, შთამბეჭდავი აღწერა ქართლის მოქცევის ამბიდან შეიძლება ჩაითვალოს კალენდარული განრიგების დღეობის ერთ-ერთ პირველ ლატერატურულ მოწმობად: „...იყო ვმა ოხრისა და საყვრისა; გამოვი-და ერი ურიცხვ, ვთითარცა ყუავილი ეელისანი, და ზარი საშინელი გამოვიდოდა და ჭერეთ მეფე არღა გამოსრულ იყო. და ვთითარ მოიწია უამი, იწყო სივლტოლა და მიღამომალვა ყოელისა კაცისა..., და აპა მყის გამოვიდა დედოფალი ნანა, და ნელიად მოეიდოდა ერი. და შეამ-კუნეს ყოველნი ფოლოცნი თვოთფერითა სამოსელითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად შეფისა. მაშინ გამოვიდა მიზინ მეფე საზარელითა და თუალშეუდგამითა ხილვითა... და აღიერეს მთანი იგი დროშებითა და ერითა ვთითარცა ეელი ყუავილითა“ [180, 88].

ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში ჩართული ცნობები საქართველოში კალენდარული დღესასწაულების და წეს-ჩვეულებების არსებობის ხანგრძლივ ტრადიციაზე მიუთითებენ. „საეშმაკო“ და „სა-წაარმართო“ სიმღერებთან დაპირისპირების პირობებში, რაც კარგად აისახა მსოფლიო თუ საქართველოს საეკლესიო კრებების დადგენილე-ბებში, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა ქრისტიანობამდელი ხანის კალენდარული ფოლკლორის ნიმუშების წერილობითი ფიქსაცია და ამიტომაცა, რომ აღრეული ჩანაწერები მხოლოდ იშვიათი გამონაკლი-სის სახით შეიძლება დავძებნოთ წყაროებში. მართლაც „გაუგონარი ანაჭრონიზმი“ იქნებოდა ამ ტექსტების მექანიკური გაიგივება ქრისტია-ნობამდელ რიტუალურ, საწესო ფოლკლორულ ტექსტებთან, მაგრამ არც იმის ხელალებით უარყოფა მართებული, რომ არაერთ კალენდა-

რულ საწესჩვეულებო ლექსში არქაული მსოფლგანცდა დაღასტურებული.

წარმართობა-ქრისტიანობის ქრონოლოგიური ურთიერთმიართების ურთულეს საკითხში რაიმე მკვეთრი მიზნის გავლება ნაკლებდამა-ჯერებელია. არც მხოლოდ წმინდა ნინოს შემოსვლითა და სამეფო ქარისა და ერის მოქმედით დაწყებულა ქრისტიანობა ქართლში და არც ამ ისტორიული მოვლენით შეუწყვეტია ერთბაშად არსებობა წარმართობას. მათი ურთიერთშეღწევადობა, რელიგიათა მონაცემლება, რელიგიის არქაულ ფორმათა გრძლიობა სხვადასხვა ფორმით, რთული და ხანგრძლივი, ზიგზაგებით მიმდინარე პროცესი იყო!

ჩვენს ხელთ არსებული ფოლკლორული მასალა, ძირითადად, XIX ს.-შია ჩაწერილი. კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშების შეკრებისა და პუბლიკაციის ისტორია საქართველოში სწორედ XIX საუკუნიდან იწყება, როცა გამოსვლა დაწყო ქართულმა და რუსულმა პერიოდულმა გამოცემებმა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან სხვადასხვა ქართული პერიოდული ორგანოს გამოსვლამ ხელი შეუწყო ფოლკლორისტული საქმიანობის ფართოდ გაშლას, საზოგადოების დაინტერესებას ზეპირსიტყვიერებით, საერთოდ, და, კერძოდ, კალენდარული წეს-ჩვეულებებითა და ფოლკლორითაც. ილია ჭავჭავაძე 1877 წელს „ივერიის“ ფურცლებიდან მოუწოდებდა საზოგადოებას შევსწავლა ხალხური ჩვეულებაზი: „საღაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული. საღაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნგა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის. ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შეეიგნოთ ხალხის წარსული და აშშიყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება“ [229, 192].

ქართული პრესის ფურცლებზე („ივერია“, „დროება“, „ქრებული“, „საქართველოს მოამბე“, „გეგილი“ და სხვ) სისტემატურად იბეჭდებოდა კალენდარული ფოლკლორის ნიმუშები. ფოლკლორისტული საქმიანობის გამოცოცხლებას დიდად შეუწყო ხელი სამოღვაწეო ასპარეზზე ეროვნული კულტურის ისეთი მოამაგეების გამოჩენამ, როგორებიც იყვნენ პ. უმიკაშვილი, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, თ. რაზიკაშვილი და სხვები.

დღემდე გამოცემულ ფოლკლორულ კრებულებში (მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკ. შანიძის, ვ. კოტეტი-

შვილის, ელ. ვირსალაძის, ქ. სონდულაშვილის და სხვათა მეორ შეკრებილი და გამოცემული ტექსტები: პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვი-ერებისა“ და, ასევე, „ხალხური სიბრძნის“ ტომებში დაცული მასალა) საგაზაფხულო საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები გაბნეულია სხვადასხეა ქვესათაურებში (რელიგიური, საწესო, სამეურნეო-აგრარული, სადღეობო, ამინდისა, საგაზაფხულო და ა. შ.).

ქართული ხალხური პოეზიის აკადემიური გამოცემის შე-5 ტომ-შიც, რომელიც საწესჩვეულებო პოეზიას მიეძღვნა, კალენდარული ფოლკლორულ ტექსტებს მეტად მოკრძალებული ადგილი უჭირავს (სულ 67 ტექსტი ტომის ძირითად ნაწილში). მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი კი გაფანტულია სხვადასხევა ტომებში (შრომის, მითოლოგიური, საყოფაცხოვრებო, სატრუთალო ლექსები და სხვა). ამგვარი მდგომარეობა, ნაწილობრივ, შეიძლება შემდგენელთა პოზიციით აიხსნას: „წინამდებარე ტომს მაინც კონკრეტული ამოცანა აქვს მიზნად, იგი არა ყოველგვარი სახის საწესჩვეულებო პოეზიას მოიცავს, არამედ მხოლოდ ნაწილს, ისეთს, რომელიც მითოლოგიურის გარეშე დგას და წარმართული თუ ქრისტიანულ ლვთაებათა მოხსენიებისათვის არაა დანიშნული“ [192, 7]. ამ შემთხვევაში, გაუგებრობას იწვევს ის, რომ ამავე ტომის ტექსტების უმრავლესობაში იხსენიება სწორედ „ქრისტიანული ლვთაებები“ (ქრისტე, ლვთისმშობელი) და დღეობები (აღდგომა, ხარება, შობა).

ქართული კალენდარული საწესჩვეულებო ფოლკლორის თავისებურებანი და მრავალფეროვნება ჯერვნად ვერ წარმოაჩინა ვერც ქართული ხალხური პოეზიის აკადემიურმა გამოცემამ. მიგვაჩინა, რომ კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის (ან, საერთოდ, ფოლკლორის) გამოცემა ცალკე წიგნად შესაბამისი კომენტარებით, შენიშვნებით და საფუძვლიანი მიმოხილვით ქართული ფოლკლორისტიების კარგი შენაძენი იქნება და ნათელყოფს ამ ერთ-ერთი უძველესი უანრის თავისთავადობას და მნიშვნელობას.

კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის ცალკეულ საკითხებს შეეხენ გამოკვლევებსა თუ მეცნიერულ წერილებში ა. ხახანაშვილი, მ. კალენდარიძე, ვ. კოტეტიშვილი, ე. ვირსალაძე, მ. ჩიქვანი. ქს. სიხარულიძე, ქ. ნოღაიძელი, ზ. თანდილავა, ფ. ზანდუკელი, გ. კალანდაძე, მ. კოჭლავაშვილი, ს. ჩოხელი, აპ. ცანავა და სხვები. მათი ნაშრომები ჩვენს მიერ შესწავლილი და გათვალისწინებულია წარმოზღვენილ ნაშრომში (იხილეთ გამოყენებული ლიტერატურის სია).

მიუხედავად იმისა, რომ კალენდარული, კერძოდ კი საგაზაფხულო-საწესჩვეულებო პოეზიის შესწავლა ქართული ფოლკლორისტიების დასაწყისიდანვე მოექცა მეცნიერთა ინტერესების სფეროში, ქართული

ფოლკლორის ეს ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ქანჩი მონიგრაფიულად არ გამოკვლეულა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ხარეზის შეესებას ისახავს მიზნად, რა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.

ამ მიზნით შევისწავლეთ დღემდე პერიოდიკასა თუ ფოლკლორულ კრებულებში გამოქვეყნებული პოეტური ნიმუშები. გავეცანთ არქივებში დაცულ ტექსტებს (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორის არქივი; ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი). გამოვიყენეთ ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციებისას ჩვენს მიერ შეკრებილ მასალები.

კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის შესწავლისას, ბუნებრივია, დგება მასალის კლასიფიკაციის საკითხი. ბოლო დრომდე ფოლკლორისტიკაში ჭარბობდა ე. წ. ეთნოგრაფიული პრინციპი კლასიფიკაციის დროს, რომელსაც, თავის მხრივ, გარკვეული უპირატესობაც ჰქონდა. კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის წელიწადის დროების, ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით განხილვა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია, როგორც ერთი მთლიანი ციკლი. ეთნოგრაფიული მასალის სრულყოფილი გათვალისწინება კი, როგორც შენიშვნავდა ვ. პროპი. ქმნის საფუძველს კალენდარული პოეზიის სილამაზის უკეთ აღსაქმელად [374, 136]. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ფოლკლორი ერთ-დროულად ფილოლოგიური მეცნიერებაცაა და ეთნოგრაფიულაც, რაღაც ყოველი ფოლკლორული მოვლენა ერთდროულად და უცილობლად ხალხური ყოფის ფაქტიცაა და — სიტყვიერი ხელოვნებისაც“ [415, 7].

ზემოთ თქმული განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია საწესჩვეულებო ფოლკლორის შესწავლისას. და მაინც, უკანასკნელი ათწლეულების ფოლკლორისტიკაში შეიმჩნევა ტენდენცია ფოლკლორული უარების კლასიფიკაციისას უპირატესობა მიანიჭონ პოეტური კლასიფიკაციის პრინციპებს. ძირითადი ყურადღება ეთმობა საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშების უანრობრივი თავისებურებების განსაზღვრას, სტრუქტურულ-ფუნქციური ტიპების გამოყოფას [337, 136].

ფოლკლორული უანრების შესწავლისას აქცენტის გადატანა ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზზე, უპირველეს ყოვლისა, გულის-ჭმობს სწორედ უანრული სახეობების გამოყოფას ფუნქციური დანიშნულების, პოეტური შინაარსის, მხატვრული გამომსახველობითი ხერხების შერჩევის ერთობლიობის მიხედვით.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოღვა იმ მქვლევართა მეცნიერული პრინციპები, რომლებიც ზეპირსიტყვიერების პოეტური უანრების და კერძოდ, საწესჩევეულებო ფოლკლორის შესწავლისას იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, მრავალმხრივ, კომპლექსურად იკვლევენ საკითხებს. კლასიფიკაციის სხვადასხვაგვარი პრინციპები ავსებენ ერთმანეთს, ხელს უწყობენ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კომპლექსების უფრო ღრმად შეცნობას [340, 172—173; 311, 159].

ფოლკლორისტული კვლევის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია მასალის განხილვა როგორც სინქრონულ, ასევე დიაქრონულ ასპექტში, რაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გულისხმობს კვლევის შედარებითი, ისტორიულ-გენეტიკური და სტრუქტულ-ტიპოლოგიური მეთოდების შეერთებას [419, 11—12]. თუ პირველი მათგანი უფრო მეტ საშუალებას გვაძლევს, რომ ჩავწერდეთ ფოლკლორული ნაწარმოების სპეციფიკას, გამოვყოთ სხვადასხვა ეპოქათა დანაწერები და, შესაძლოა, საწყისი ფორმების წარმოშობის შინაგანი კანონზომიერებების განსაზღვრასაც მივუახლოვდეთ იმ უამრავი ანალოგის მოშველიებით, რაც სხვადასხვა ხალხებსა და სხვადასხვა ეპოქებში ახასიათებდა ურთიერთმსგავს მოვლენებს, კვლევის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური წეთოდი, თავის შხრივ, უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს ფოლკლორული უანრების თვითმყოფად მხატვრულ სამყაროს, ნაწარმოების მხატვრული აგების პრინციპებს.

მართებულად შენიშნავს ბ. პუტილიოვი, რომ „ფოლკლორი სტრუქტურათა პოეტიკა..., მაგრამ ესაა პოეტიკა ისტორიულად განვითარებადი სტრუქტურებისა, რომელთა მდგომარეობა და მოძრაობა კანონზომიერებითა განპირობებული“ [419, 21, 5].

ფოლკლორული მასალის კვლევისას კომპლექსური მეთოდის გამოყენება ქმნის იმის საფუძველს, რომ მეცნიერული ანალიზის საგანი მრავალმხრივ და, შესაბამისად, სრულყოფილად იქნეს შესწავლილი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უმჯობესად მივიჩნიოთ ქართული კალენდარული საწესჩევეულებო პოეზიის შესწავლისას პოეტური მასალა დაგვეყო შემდეგ სახეებად, მათი ფუნქციური დანიშნულების და მხატვრული გამომსახველობითი ხერხების ერთიანობის მიხედვით:

1. კარდაციარ ჩამოვლის რიტუალური ლექს-სიმღერები;
2. კალენდარული ციკლის მაგიური რიტუალების პოეტური ტიტ-ტები (შელოცვები);
3. საფერხულო პოეზია;
4. ლირიკული ლექსები.

კარდაკარ რიტუალური ჩამოვლის ლექს-სიმღერები

კალენდარული საწესჩვეულებო ფოლქლორის შინშვნელოვან ნაწილს შეადგენს კარდაკარ რიტუალური ჩამოვლის პოეტური ტექსტები. საქართველოში ბევრი კალენდარული რიტუალი (ალილო, ჭონა, ბერიკაობა, ლაზარობა და სხვა) სრულდებოდა ჩამოვლით, რომელთა დროსაც ამა თუ იმ რიტუალის შემსრულებლები სათითაოდ ჩამოვლილნენ ოჯახებს და წარმოთქვამდნენ (ან დაამლერებდნენ) სპეციალურ პოეტურ ტექსტებს. ამ ტექსტების ძირითადი მოტივები იყო დღესასწაულის მილოცვა-მიხარება, დალოცვა, სანოვაგის მოთხოვნა:

ალათასა, ბალათასა,
ჩამოვკიდებ კალათასა,
ქალო, კერძები გამოგვეტა
ღმერთი მოგცემს ბარაქას! [191, 311]

კარდაკარ ჩამოვლის ლექს-სიმღერებმა ადრევე შიიქცია მკვლევართა ყურადღება, რასაც მოჰყვა გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე გამართული კამათი. 1854 წლის „კავკაზის“ 24-ე ნომერში ნ. ბერძენივმა აღწერა საგაზაფხულო ჩვეულება „ჭონა“, რომლის დროსაც სოფლის კაცები ჩამოივლილნენ კალათით კვერცხისა და სხვა სანოვაგის შესაგროვებლად [272]. იმავე წლის „კავკაზის“ 50-ე ნომერში ლაიბეჭდა რ. ერისთავის შენიშვნები ამ წერილთან დაკავშირებით [443]. რ. ერისთავი უარყოფს „ჭონას“ ჩატარების ჩვეულებას აღდგომის წინა კვირაში და ამ რიტუალს უკავშირებს შობას: „...ეს ჩვეულება მართლაც არსებობს ქართველებში, მაგრამ მას აღდგომისთვის კი არ ასრულებენ, არამედ ქრისტეს შობის წინა დღეს, საღამოს. და თუ ავტორს მოუსმენია ან უნახავს მისი აღწერილის მსგავსი რამ, ყოველ შემთხვევაში ნამდვილად არა საქართველოში და არა აღდგომისთვის“ [443].

ცოტა უცნაურია რ. ერისთავისაგან საკითხის ამგვარად დასმა. კარდაკარ ჩამოვლის და სანოვაგის შეგროვების ჩვეულებას რ. ერისთავი თითონვე აღწერს სხვა საგაზაფხულო დღეობისადმი მ-ძლვნილ წერილში [47, 52—78].

გარდა ამისა, გაზეთი „კავკაზი“ ამ პერიოდში ხშირად ბეჭდავდა უთნოგრაფიული ხასიათის წერილებს, სადაც ანალოგიური რიტუალი სწორედ საგაზაფხულო დღეობათა ციკლშია მოქმედებოდა.

სწორედ ეს პერიოდი მხედველობაში ერთ-ერთი საპასუხო წერილის ანონიმი ავტორს, რომელიც, თავის მხრივ, შეეკამათა რ. ერისთავეს და დაიცვა ნ. ბერძენივის პოზიცია: „უკიდურესად გაკერძვებული ვაჩ: თავადმა რ. ერისთავმა რა თქმა უნდა იცის, რომ ჭონა ღირდმარხვის დროს ტარდება და არა შობისას, რამ მოაფიქრა ამის გამო შეეკამათება?“ — წერს „მომავალი მწერალი ქალი“ [278]. საპასუხო წერილი, მართლაც „საკმაოდ უხეში და არცთუ დასაბუთებულია“. როგორც ამას შენაშნავს ე. არჯევანიძე [10, 18]. ავტორს მეტად გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს წეს-ჩევულების მიზანსა და დანიშნულებაზე: „...ვისაც შინ კვერცხები არ ჰქონდა, ისინი იძულებული იყენენ ჩამოევლოთ ჭონაზე და შეეკრიბათ რაც შეიძლება მეტი კვერცხი“ [278].

ამ კამათის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება მიეიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მთიულეთ-გუდამაყარში ჭონას სახით ჩაწერილია შემდგვი საშობაო ტექსტი:

აგაშენოთ:
ოცდახუთსა ამ თვესა,
ქრისტე დაბადებულა,
თეთრად გათენებულა.
თოთო კვერცხი მოგვეცით,
კორკოტი შეგვაჭამეთ [178, 232].

ქართველ მთიელებში ტერმინმა ჭონამ ქარდაკარ სიარულის მნიშვნელობა შეიძინა (ჭონა-ჭონა-ქარდაკარ) და სხვა კალენდარულ ციკლებზეც გავრცელდა.

„შობაში ვიცოდით ჭონაობა. ჭონაობა მღერა არი, მიღიან და ჰქრეფენ კვერცხებს, ხალხი დადიან, ზოგი ხილ მისცემს, ზოგი კაკალსა. კაცები, ბალოები დადიანე... ეგრე იცოდიანე:“

ალათასა, ბალათასა,
ჩამოკიდებ კალათასა,
ერთი კვერცხი ჩვენც მოგვეცით,
ღმერთი მოგცემთ ბარაქასა.
ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე,
სარგებელი ვერა ვნახე,
თოთო კვერცხი ჩვენც მოგვეცით,
ღმერთი მოგცემთ ბარაქასა“ [74, 165].

კარგაკარ რჩტუალური ჩამოკლის პოეტური ტექსტების მექანიკური დაყოფა ალილოდ და ჭონად ხაზს უსვამს მხოლოდ მათ კავშირს

სხვადასხვა კალენდარულ ციკლებთან: „ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომოდ, ჭინაზე დადიოდნენ ხოლმე მომღერლები“ [225, 723].

ამგვარი ახსნა არაფერს გვეუბნება ტექსტების პოეტური შინაარსის თავისებურებებზე.

საშობაო-საახალწლო ქრისტეს სადიდებელი „ალილოს“ თავისი შინაარსით მთლიანად ქრისტიანულია. ამაზე მიუთითებს ამ სიმღერების მისამღერიც (ალილო), რომელიც უშუალოდ ქრისტიანული საგალობლების „ალილუიასაგან“ მომდინარეობს:

ალილო, ალილო,
ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო
ალილო, ალილო,
ეს რომ მწყემსებმა გაიგეს
წავიდნენ და თაყვანისეს მას
ალილო, ალილო [თსუფა, № 9465].

მსგავსი შინაარსის ტექსტები და მათი მუსიკალური მხარე ჰქონდა, ალბათ, მხედველობაში ივანე ჯავახიშვილს, როცა შენიშნავდა: „ალილო: არასგზით წარმართული სიმღერების გგუფში ჩასათვლელი არ არის, ჰანგრითაც და შინაარსითაც ქრისტიანული, საკულესიოა“ [240, 13]:

ოცდახუთსა ქრისტეშობისა
ქრისტე დაბადებულაო,
ბეთლემისა ქვაბს შინა
მარწეველნი არწევენო,
ტრედნიც ღუღუნს ეტყვიანო,
ანგელოზნიც გალობასა [189, 51].

ტექსტების უმრავლესობა იწყება ქრისტეშობის აღნიშვნით, რასაც მოსდევს დალოცვის ტრადიციული ტექსტი:

ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო და ჰა-ჰა-ჰა ჰალილო,
ღმერთმა ისე აგშენოთ, როგორც შიოს მარანიო,
მოგცეთ შვიდი ვაჟიშვილი, პირზე ჰქონდეს ბალანიო, ჰა-ჰა-ჰა ჰალილო,
ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა,
ამოვილე შვიდი კვერცხი, ღმერთი მოგვცემს ბარაქასა. ჰა-ჰა-ჰა ჰალილო,
მთაში ურემი გავთალე, წამევიდა გორებითა,
შენი ოჯახი აიგსოს ფულითა და ქონებითა.
მასპინძელონ, გამოგხედეთ, შობის მახარობლები ვართ.
არიელი-მარიელი, ნუ გაგვიშვებ ცარიელი [თსუფა, № 6590].

სამეგრელოში შენიშნავენ: „შობა ანუ დღარხუ ქრისტიანობასთან ერთად გაჩნდა. ხალხი დიდი პატივისცემით და საზეიმო განწყობილე-

ბით ხვდება ამ დღეს. ყველა ოჯახში ლხინია, სმა და ქეიფია. ხშირად გვესმის სიმღერა:

ქრისტეშობა გაგვითენდა, შობის მახარობელი ვორდა... [თსუფა, № 21299].

ალილოზე ჩამოვლა ქობულეთის რაიონის სოფლებშიც იცოდნენ: „ალილოს აჭარაში კრძალავდნენ. ამას გურია ემსახურებოდა. ალილოზე, როცა დღეობა მოაწევდა, შეიკრიბებოდნენ ბიჭები... ქეიფი იყო, შენსა, ჩემსა მოდიოდნენ... გურიაში გადადიოდნენ, იქიდანაც გადმოდიოდნენ“*.

ქობულეთელი მთქმელები აღნიშნავენ, რომ ალილოზე ხშირად გურიაში გადადიოდნენ: „ალილოზე 1925 წლამდე დავდიოდით მილოცვაზე. თუ მიეწონებოდა შენი მილოცვა მასპინძელს, გამოგვიტანდა. მე მეჭვირთე ვიყავი. კაბალახობა იყო მაშინ, კაბალახი სავსე გვეონდა: „ალილო, ალილო, აქა მშეიდობა“, — მიუმღერეთ, არ გეიღო კარები, გლახათ წეიმღერენო.

— ალილო, აქა მშეიდობა, ბიძამ შემოგითვალა, ახლა უნდა მიწოლა.

— რა მოგაქ?

— ოქრო, ვერცხლი, ყოლითერი...

ასე ვიტყოდით, სხვა სიმღერებსაც მიუმღერებდით“*.

ზამთრის ორი დღიდი დღესასწაული, შობა და ახალი წელი, იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, არა მხოლოდ კალენდარულად, არამედ გენეტიკურად და ფუნქციურადაც, რომ არ არის გასაკვირი, სამახარობლო ტექსტებში ორივე ერთად რომ მოიხსენიება:

ჩიტი შამაჯდა ღობესა, იძახდა იშრიშობასა?

ბევრსამც აემ დროს ილოცავთ წელწადა, ქრისტეშობას! [191, 14]
ან:

ალილო, ალილო, ალილო, ლმერთმა გაგითენოს შობის ახალწელიწადი...

შობა-ახალწელს კარდაკარ ჩამოვლისას შესასრულებელი ტექსტები, ძირითადად ერთი და იგივეა:

ახალწელწად დღესაო, ქათამი, ქექდა ბზესაო,
დედი ერთი კვერცხი მომე, შენი შვილების მზესაო [191, 58].

ჩამოვლის ტექსტები ერთგვაროვანია როგორც დანიშნულების, ისე შინაარსის, პოეტური მოტივების თვალსაზრისითაც:

* ავტორის საველე მასალები, რვ. № 1, გვ. 35.

* ავტორის საველე მასალები, რვ. № 1, გვ. 56.

.25-სა ამ თვესათ ქრისტე დაბადებულაო, შობა გათვნებულაო.
 მრავალი ეს ღლე გელოცოთ შობა და წელითავი.
 ქედელი და ქედლის წვერით
 წვერი წვერს მოკიდებულაო,
 ცოტა მღლე გამოგვიტა,
 ჭორი გვყა აკიდებულის.
 აქა ღორი ღაელულაო,
 ნაყელური ჩვენიაო,
 ალათასა, ბალათასა,
 ხელი ჩავყავ კალათასა,
 დედავ, კვერცხი გამოგვიტა,
 შენი სახლი ბარაქასათ [თსუფა, № 19709].

რაც შეეხება კარდაკარ ჩამოელის ოიტუალურ ტექსტებს, ზოგადად, ეჭვს არ იწვევს მათი ცალკეული მოტივების არქაულობა და უძველეს საგაზაფხულო-საწესჩვეულებო რიტუალებთან, უპირველეს ყოვლისა, ბერიკაობასთან, კაშირი. საგაზაფხულო წეს-ჩვეულებებს უკავშირებდნენ ამ სახის ლექს-სიმღერებს ალ. ხახანაშვილი, მ. კელენჯერიძე. ალ. ხახანაშვილი მიუთითებდა ჩვენთვის საინტერესო პოეტურ ნიმუშებთან დაკავშირებით: „გაზაფხულის დაბრუნების ხოტბა მინიშნებულია სტუკებით, „ჩიტი შემოგდა ლობესა“ [27, 15].

მკვლევარს მხედველობაში ჰქონდა დღესასწაულის მილოცვა-მიხარების ტექსტები ტრადიციული შესაელით:

ჩიტი ლობეზე შემოგდა,
 იძახდა ქიშმიშობასა,
 ალანთასა, ბალანთასა... და ა. შ.

მ. კელენჯერიძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში ჭონას ღროს ჩამომვლელები გაზაფხულის მახარობელი ჩიტების სახით წარმოგვიდგება:

მოახსენეთ, ბულბულებო!
 ალათასა, ბალათასა,
 ადე, ქალო, კვერცხი ჩადე,
 ლმერთი მოგცემს ბარაქასა [185, 4].

შეადარეთ, ასევე:

აქა მშვიდობა, მშვიდობა, დღეგრძელობა, ოროლობა,
 რა კარგი ოჯახი ყოფილა, შემოვდახოთ ბულბულებს! [161, 23].

საგაზაფხულო ნიღბოსნურ წარმოდგენებში ფრინველის ნიღბით რიტუალის მონაწილეთა მორთვა ჩევეულებრივი იყო. აღნიშნული რიტუალის სიძველეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ანალოგიური ტექსტი ძეველი ბერძნული ფოლკლორის იქ იშვიათ ნიმუშებშიც შემორჩე-

ნილა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. მხედველობაში გვაქვს ე. წ. „მერცხლის სიმღერები“ (chelidonisma), როცა „ბუნების საგაზაფხულო გამოღვიძების ემბლემით, გაზაფხულის ჩიტების ფიგურით, უმეტეს შემთხვევაში მერცხლისა, ჩამოივლიდნენ სახლებში და შესაბამის სიმღერებს მღეროდნენ“ [256, 217]. ეს სიმღერები შინაარსით, პოეტური მოტივებით დიდ მსგავსებას იჩენს ქართული კალენდარული საწეს-ჩვეულებო პოზიის ნიმუშებთან [448, 44]³.

იგივე შეიძლება ოქვას ირესიონზეც (eiresione), რომელიც ძველ საბერძნეთში ნაყოფიერების კულტებისადმი მიძღვნილ საშემოდგომო და საგაზაფხულო ღლესასწაულების დროს სრულდებოდა [275, 195; 451, 259; 448, 57].

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია მსგავსება ბერძნულ ირესიონსა და ქართულ ჩიჩილაკს, გვერგვს (კალპს), შორის. ირესიონს იხსენიებს ჭერ კიდევ ჰომეროსი, როგორც მოხეტიალე მთხოვნელთა სიმღერას.

„შალის თეთრი ნართით შეკრული ზეთისხილის რტოებით“ (პლუტარქე) და კალათით ხელში ჩამოივლიდნენ ბავშვები და ასრულვბდნენ რიტუალურ სიმღერას ირესიონს, რომლის მოტივებია საჩქრის გამოთხვევა. მასპინძლის შექება, დალოცვა, მუქარა სიძუნწის გამოჩენის შემთხვევაში და ა. შ. [459, 182].

კარდაკარ ჩამოვლის რიტუალური ტექსტები სხვა ხალხების ფოლკლორშიც მეტად გავრცელებულია (შუა აზია, სლავები, რომანული სამყარო და ა. შ.). და ყველგან კალენდარული, უპირველეს ყოვლისა, საგაზაფხულო, კარნავალებს უკავშირდება [331, 176; 374, 35—43].

საქართველოშიც კალენდარული ფოლკლორის ეს ციკლი მჭიდრო კავშირშია საგაზაფხულო ნიღბოსნურ წარმოდგენებთან, რაზედაც მიუთითებს თითონ სიტყვა „ჭონა“, რომლის ეტიმოლოგიაც ქართული ენის დიალექტებში ბეწვეულის, ტყავის ტანსაცმლის და თავსაბურავის მეტებელს ნიშნავს [191, 309; 184, 572].

ვაკა-ფშაველას განმარტებით, ჭონი არის „ბეწვეულის მკერვალი საზოგადოდ, და კერძოდ, ჩვენებური მექულე“ [50, 333]⁴.

„ჭონია ჩოხა“ გურულ დალექტზე მოკლე, წელზედა ჩოხას ჰქვია, ჭონვა კა ჭლანვას, ცუდად კერვას ნიშნავს [182, 728].

როგორც ვხედავთ, ტერმინი „ჭონი“ ტყავ-ბეწვეულის მკერავ ოსტატს ნიშნავს. აღნიშნული ტერმინის რიტუალთან დაკავშირების მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ „კარკარ მოსიარულე მომღერლები ტყავ-ბეწვეულის ტანსაცმელს იცვამდნენ და ნიღბებს იკეთებდნენ“ [191, 310].

კარდაკარ ჩამოვლა და სპეციალური რიტუალების შესრულება ადრეგაზაფხულის უძველესი ხალხური სანახაობის, ბერიყაობის. ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. ბუნების აღორძინების, ნაყოფიერების კულტურთან დაკავშირებული საგაზაფხულო კარნავალის ძირითად სიუკეტურ ხაზს ბერიყების და მისი ამაღლის კალათებით, ტიკებით, ხურჭინებით კარდაკარ საციქველის შესაგროვებლად სიახლული და რიტუალური ტექსტის შესრულება შეადგენდა. ბერიყაობის აღწერალობებში ყოველთვის ხაზგასმულია, რომ ბერიყას არჩევასთან ერთად ირჩევდნენ მებარგულეებს, მეკალათებსაც:

„მათ (ბერიყებს) მოჰყვებიან მებარგულეები, ხალხი, რომლებიც ატარებენ კალათს კვერცხებისათვის, აბგებს — ფქვილისთვის და ტიქს — ღვინისთვის, რომლებსაც საჩუქრად იღებდნენ ბერიყების ცეკვებისათვის“ [444, 226].

ბერიყაობის დროს შესრულებულ კარდაკარ ჩამოვლის რიტუალს, მაგიური დანიშნულება ჰქონდა, მიზნად ისახავდა ოჯახებისათვის უხვი ზოსავლის, საქონლისა და ფრინველის სიმრავლის, საერთო კეთილდღეობის მინიჭებას:

ბერა მოდგა კარავსაო,
აღურიალებს თვალებსავო.
ხელი ჩაპარ ხალამშიო,
ღმერთი მოგცემს ბარაქასო,
ვინცხა ბერას არას მისცემს,
მელას მისცემს ქათმებსაო [191, 66].

ხალხს სწამდა, რომ რიტუალის შემსრულებელთა სიტყვა აუცილებლად შესრულდებოდა. ამიტომ ყველა ოჯახი ცდილობდა არ გაენაწყენებინა ჩამოცლელები, უხვად დაესაჩუქრებინათ ისინი, რადგან თუ „მოსიარულენი ძლვენით უკმაყოფილონი დარჩებოდნენ... რომელიმე წევრი ეზოში გაგორდებოდა, რაც ოჯახისთვის ცუდი ამბავის მომასწავებლად ითვლებოდა... ხალხის რწმენით ამათი ყანები განადგურდებოდა, ხახლში ხბო და ქათამი არ გაიზრდებოდა“ [150, 8].

ბერიყულ ტექსტებში ხშირად იგრძნობა მუქარის კილოც:

ბერიყაის კარასაო,
გაჭყრიალებს თვალასაო,
ჩქარა თუ რას გამოვიტან,
თორო გმიტვევე კარასაო [191, 66].

სვანეთში „ბერილი გონჯოს“ შესრულებისას „გონჯად ჩაცმული კაცი ეზოში ხმალს ფალოსით ლესავდა, სხვები კი მღეროდნენ:

ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაპერ ხალამსა,
აშეოდე თეთრი უკელი,
ჩაგვიდევი კალათსა,
თუ არ მოგვცემ საციქელსო,
გამოგითხო საძირქველსო
[ბსკიფა, საქმე № 36, გვ. 90].

ბერიკულები, ძირითადად, მცირე ზომის, ოთხ-ექვეს სტრიქონიანი ტექსტებია. გვხდება შედარებით ვრცელი ლექსებიც.

ნიღბოსანთა ჩამოვლა, „კიჭებია“, ხარება დღესაც იცოდნენ. კვახის ნიღაბს თეთრი ლობიოს კბილებს უკეთებდნენ და ოჯახებს სათითაოდ მიულოცავდნენ:

კიჭებიო, კიჭებიო, სახლი აშენოს ღმერთმა,
ხარება და ხარხარება, ოჯახში მქონს გახარება [352, 279].

ხარებას უკავშირდება ჩამოვლის შემდეგი ტექსტიც:

ხარება და ხარხარება, შენ ქმარ-შვილსა გახარება,
ხეები, ხეები, დაგუზრდება ხბოები,
მთაზე გოგრები გაეთალე, გამოვუშვი გორებითა,
შენი ოჯახი ეიცხო პურითა და ქონებითა [191, 61].

გოგრის, კვახის ნიღბების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო საგაზაფხულო დღეობების დროს, ბერიკაობას, სააღდგომოდ: „ღვინის ამოსალებ კვახს თვალებს გამოუჭრილნენ, პირზე მიიღდგამდნენ და გაიძახოდნენ:

ეი, კიჭები, კიჭები, კვერცხისთვის დაეირიჭები... [70, 83].

აღდგომის წინა ღამეს „რამდენიმე ახალგაზრდა გამოეწყობა ნაბ-დებში, ცხვრის ტყავის ქუდში, სახეზე კვახაბერას გაიკეთებს... დადიან სოფელში სახლ-სახლ საციქეელზე კალათებით. კვერცხს არავინ უკავებს შიშით, მელა ქათმებს არ შეგვარჩენსო“ [თსუფა, № 7373].

ჩამოვლით წეს-ჩვეულებებს უკავშირდება, როგორც ჩანს, სამეგრელოში გავრცელებული ჩვეულება „გაძიგია“. დიდმარხვა რომ განახევრდებოდა, 24-ე დღეს, საგანგებო ფაფას ამზადებდნენ, გაზაფხულის პირზე ამოსულ ბალახ-ბულახს შეაგროვებდნენ, გაძლიყას თაროს უწყიბდნენ. გაძლიყა (გაძიგია) ჩამოვლიდა და ვინც უხვად გაუმას-პინძლდებოდა, იმას დალოცავდა, ზარმაცს კი — დასწყევლიდა:

„ვისაც აქვს, მეტი მისცესო!“ [107, 312; 334, 374].

შეადარეთ ასევე ხევსურული ბერიყაობის აღწერა:

„ბიჭები ჩაიცვამდეს ჭალის ჯუბებს, ქალები ბიჭების ტანსაცმელს და ულვაშებს დაიხატავდეს. ამორჩევდეს სამს ქურდებად... ბერიკები იძახდეს, სადაც მივიღოდეს:

ახა, ბახიაო,
ყვავნი გედგა კრშიაო,
ვინცა ბევრას გამოგვიტანს,
ბევრა ხეონდა სახლშიაო.

თუ გააჭირებდნენ:

ვინც არას გამოგვიტანს
. ჯამშიაო
[თსუფა, № 22578].

მოყვანილი ტექსტი კარგად ეთანხმება ხელმწიფის კარის გარიგების ცნობას ანალოგიური ჩვეულებისას: „ვინც პურად ავადია (ე. ი. ძუნწი), აგინებენ და რაც უარესია, გალექსეის დროს აკადრებენ“ {240, 230}.

ჩამოვლას ზოგან აღდგომამდე რამდენიმე კვირით ადრე იწყებდნენ:

„ჭონაზე სიარული ვიცოდით დიდმარხეაში. დიდმარხევის სამკვირანახევრის გასელის შემდეგ დავიწყებდით ჭონაზე სიარულს აღდგომის დღის გათენებამდე“ [40, 45].

ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე,
ვერხეო ვერხესა ეხვეოდა,
ჟველაწმინდა ღვთისმშობელი,
სულ თქვენს ოჯახს ეხვეოდა,
დათვი ტყიდან გამოვარდა,
თავის ორთა ბელებითა,
ბატონებო, გაგისტუმრეთ,
თორემ წავალთ ტუტუნითა [191, 59].

საყოველთაო ხასიათი ჰქონდა ჭონაზე სიარულს აღდგომის წინა კვირაში. „აღდგომის წინა კვირიდან დავიწყებდით სიარულს ახლო-მახლო სოფლებში... თან მიგვქონდა კვერცხებისათვის დადი კალათი... ბანიდან კალათს ჩავუშვებდით... შიგ კვერცხებს ჩადებდნენ. ჭონაზე იმღერებოდა: სიმღერა ჭოოონა იწყებოდა, მერე ბანს მისცემდნენ: ალა-თასა, ბალათასა“ [40, 2].

საინტერესოა კ. სონღულაშვილის ჩაწერილი ჭონას ტექსტი, რომელიც მასპინძლის შექებით იწყება:

„ღმერთო, აშენე ეს ოჯახი, პიეც მშვიდობა და ბარაქა! მთახსენეთ გიჭებო, ოჯახი აქა ყოფილა, სხვაგან ტუშილად გვივლია“. —

რასაც მოსდევს ტრადიციული ტექსტი [235, 82].

საგაზაფხულო დღეობათა ციკლის ჩვეულება ჭონა განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაულს დაუკავშირდა, რის შედეგადაც ჭონას ზოგიერთმა ტრადიციულმა ტექსტმა გამოკვეთილად ქრისტიანული შინაარსი შეიძინა:

ჭონას დავალთ გალობითა,
ღმერთი თქვენის წყალობითა,
ლოცვას ლამანთ მოისმენთ ქრისტე ღმერთის ბრძანებითა.
ლიტანია შემოუვლით სამხედ კელაპტარებითა,
გარდამოხსნას დასცერიხართ თქვენი კეთილ თვალებითა.
ადე, ქალო, კვერცხი ჩადე, შენი ოქროს ხელებითა. და ა. შ. [106, 108].

რიტუალური ჩამოვლა „დედოფლობის“ სახელითაც იყო ცნობილი: „შობის წინ დღეს ან აღდგომის წინ დღეს დაივლიდნენ სახლებს და მღეროდნენ, დედოფალა ჰქონდათ გაკეთებული და დატარებდნენ:

დედოფალა პურს არა სჭამს,
გარდა კვერცხის გულის მეტსა,
დედოფალა კარს მოგადგათ
გამოგვიტანეთ კვერცხია
[ფ. არქ. ს. № 103, გვ. 127].

ამ ჩვეულებას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღვიწერს ჭ. ჯაფარიძე: „ვნების კვირაში კარდაკარ დადიან ბავშვები თოჭინით ხელში და მღერიან:

დედოფალა კარს მოადგა, დრა უცხო და უვალი,
სახლათ ღმერთმა აგაშენის, მოგცეს დიდი ბარაქა.
სახლო სახლენოთ დადგმულო, დერეფან ჩამოხატულო,
დედოფალა არასა ჭამს, მარტო კვერცხის გულის მეტსა.
ალათასა, მალათასა, ხელი ჩაჟყავ კალათასა
თუ ორი კვერცხი არ იყოს, ერთი მაინც ჩქარათასა [303, 118].

„დედოფლობა“ ძალიან გავს ლაზარობას, გონჯაობას, რომლის დროსაც „თეთრი ბამბის ფარჩის სარტყლის კუქს გააკეთებენ, კარდაკარ სიარულში თან წყალს ასხამენ ამ კუქს“ [176, 145], თან მღერიან:

ლაზარ მოდგა კარსაო,
აბრიალებს თვალსაო,
მიღვა-მოდგა თაროშიო,
ხელი ჩაყო ქილშიო... და ა. შ.
[106, 110].

ლაზარობის ტექსტებში თაროს ხშირი ხსნება ჩამომელელთა სანოვაგით დასაჩუქრებაზე შიუთითებენ სწორედ. აჭარაშიც, საღაც გამაპ-შადიანების შემდეგაც შემორჩი ძველი კალენდარული ჩვეულებები, ლაზარობის რიტუალის შესრულებისას დედოფალას დატარებდნენ სიმღერით:

ლაზარ მოდგა კარსა,
აღურლულებს თავსა,
შინო-შინო, შინაო,
ჩიტმა შემაშინაო,
ყალი ფეხი მომტეხა,
ყალი შემარჩინაო.
აბლახანუმ, ყალხანა (ბიცოლა, ადექი),
იაღ ქულეგა კარსანა (თაროზეა კარაქი),
აბლა მიდგა თაროსო,
დიემსგავსა მთვარესაო [129, 132].

აჭარაში ლაზარობის შესრულებისას გოგო-ბიჭები ცოცხს მოკაზ-მავრნენ დედოფლად (ქეფჩა-ხათუნი). ჯოხზე წამოაცვამდნენ, წითელი ქსოვილის ნაჭრით მორთავდნენ, ყველა მოსახლის ეზოსთან ჩერდებოდნენ და მიულექსებდნენ ხოლმე:

ალათასა, ბალათასა,
კვერცხი უნდა კალათასა,
იაღი უნდა კილაფასა [218, 163].

გასამრჩელოდ ჩამომვლელები ითხოვდნენ სხვადასხვა სანოვაგეს:

დედოფალო, რა გინდა?
ლერთიდან წვიმა მინდა,
ყვითელი ძროხის — კარაქი,
შავი ქათმისა — კვერცხი,
მოსავალი ბეერ-ბევრა,
ბელლები — პურით სავსე,
მიღექ-მოდექ თაროსაო,
დამსგავსე თვარესაო...
[ბსკიფა, ს., 174, გვ. 154].

კარდაკარ ჩამოვლა გავრცელებული იყო აგრეთვე გვალვისას შესასრულებელი მაგიური რიტუალის, „დიღდებას“, დროს:

„გაზაფხულობით, რომ კარგი მოსავალი მოსულიყო, ქალები შეიკრიბებოდნენ, რამდენიმე ქალი, ხოლოდ ფეხშიშველები უნდა წასულიყვნენ. ყველა ოჯახში მივიდოდნენ, ხელს ჩააბამდნენ, მღეროდნენ:

დიდება და ღმერთს დიდება!
პირველად ღმერთი ვახსენოთ,
მერე ყველა წმინდაო,
პურით აგვივსეთ კალთაო,
ლეინით აგვივსეთ მარანი”

[თსუფა, №26373].

როგორც ვხედავთ, რიტუალური ჩამოვლის ჩვეულება და შესაბა-
მისი ლექს-სიტერების წარმოთქმა კალენდარული საწესჩვეულებო
პოეზიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს
ტექსტები სრულდებოდა სხვადასხვა კალენდარული დღესასწაულების
თუ წეს-ჩვეულებების შესრულებისას (ბერიკაბა, დედოფლობა, ხა-
რება, აღლგომის კვირა, ლაზარობა და ა. შ.), მათ ერთი ფუნქცია,
ერთგვარი დანიშნულება ჰქონდა, რამაც განაპირობა ჩამოვლის ტექს-
ტების პოეტური შინაარსის ერთგვაროვნებაც. სწორედ ამ მიზეზების
გამო იგრძნობა კალენდარული-საწესჩვეულები პოეზიის ანიშნული
ციკლის ერთი ტერმინით გაერთიანების საჭიროება. ამაზე მიუთითებს
ტერმინ „კონას“ გაფართოების ტენდენციაც. სლავურ ფოლკლორშიც,
მიუხედავად იმისა, რომ რიტუალური ჩამოვლის სიმღერების სხვადა-
სხვა ტიპები არსებობს იუlia, веснянки, вьюшные, егорьевские
песни და ა. შ. არის ტერმინი, რომელიც იყრითანებს კალენდარული
ფოლკლორის ზემოთ ჩამოთვლილ სახეებს — „обходные песни“.
ყველგან იმღერება სახლიდან სახლში ჩამომღლელ მომღერალთა მიერ
განსაკუთრებული მისალოცი სიმღერები, რომელთა გასამრჩელოდაც
სახლის პატრონები ვალდებული არიან გაიღონ საჩუქრები... საგაზაფ-
ხულო წეს-ჩვეულებები ყველა ინდოევროპულ ქვეყანაში საერთო
თვისებებს შეიცავს“, — შენიშნავდა ე. ანიჩკოვი [256, 50].

ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა, რომელსაც, შეუძლია ზუსტად გა-
მოხატოს არა მარტო სხვადასხვა კალენდარული ციკლების ჩამოთვლი-
თი ტექსტების ერთიანობა, არამედ მათი ფუნქციიდან გამომდინარე
სპეციფიკაც; ჩამოვლა სანოვაგის, საციქველის შესაგროვებლად —
კალმასობა. მით უფრო, რომ ამ ტერმინის ხმარების შემთხვევა ერ-
თხელ უკვე დასტურდება სამეცნიერო ლიტერატურაში ხალხური წეს-
ჩვეულებების მიმართ.

ს. მაკალათია ერთგან შენიშნავს როგორ ეწყობოდა გვალვის
დროს „ღვთის ბედობის კალმასი“, რომლის მოსაკრეფად ფეხშიშველი
ქალები სოფლებს დაივლიდნენ და კალმასს მოითხოვდნენ“ [115, 75].

ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვიყენოთ „კალმასობის ტექსტები“,
როგორც სამუშაო ტერმინი და აღვნიშნოთ ამ ტერმინით კარდაკარ
რიტუალური ჩამოვლის ხალხური ლექს-სიმღერები.

რიტუალური ჩამოვლის ფუნქციური დანიშნულება განაპირობებდა ამ დროს შესასრულებელი ტექსტების სტრუქტურულ აგებულებას, მხატვრულ თვეისებურებებს.

პოეტური ტექსტების სტრუქტურას, ძირითადად, ტრაფარეტული ფორმულები შეადგენს. აღნიშნული ციკლის ლექსების დასაწყის სტრიქონებში ზოგჯერ გვხვდება მანიშნება ტექსტის კავშირზე ამა თუ იმ კალენდარულ რიტუალთან:

„ჭონა, ჭონა, ვარდის კონა...“
„ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე...“
„ლაზარ მოდგა კარსა...“
„ბერა მოდგა კარსა...“
„ოცდახუთსა ამ თვესა...“ და სხვა.

ხშირად გვხვდება შემდეგი ტიპური საწყისი ფორმულები:

„ალათასა, ბალათასა, ჩამოვეიღვძ
კალათასა...“
„ჩიტი ლობეზე შემოჯდა...“
„ტყიდან მგელი გამოვარდა...“
„ტყიდან დათვი გამოვარდა...“ და სხვა.

შესავალ ფორმულებს მოსდევს მიმართვა, რომელიც ხშირად შერწყმულია სანოვაგის მოთხოვნასთან:

„მასპინძელო, გამოგვხედე...“
„ადე, ქალო, კერძები ჩადე...“
„დედი, ერთი კვერცხი მომე...“ და ა.შ.

როგორც ტექსტებიდან იჩვევეა, ყველაზე უფრო ხშირად მიმართავდნენ ოჯახის დიასახლისს, ახალგაზრდა ქალს ან ახალმოყვანილ პატარძალს, თუ ასეთი იყო ოჯახში [150, 12].

ახალმოყვანილი პატარძლები, ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალები. საგაზაფხულო წეს-ჩევეულებების, დღესასაწაულების მთავარი პერსონა-ჟები იყვნენ ყოველთვის: ჭონაზე ჩამომვლელები „ჰკრეფიდნენ და აგროვებდნენ... იმას, რაც ოჯახში გასათხოვარი ქალის ხელიდან გამოვიდოდა... ეს საჩუქარი წილად ხვდებოდა იმ ჯგუფს, რომელიც ყველაზე ადრე მიულოცავს. მომავალ საპატარძლოს... მომღერალთა მისვლა და მიმღერება ერთგვარი ნიშანი იყო იმისა, რომ ქალწული მზად ყოფილი-ყო მომავალი ბედნიერებისათვის“ [161, 21—22].

გავრცელებულია ასევე რიტუალური ტექსტების დაწყება ოჯახის, კერის დალოცვით:

ჯერ ადლეგრძელოს კერაო, იმას უცქერის ყველაო.
მერე სახლის საძირკველი, სტუმარი და მასპინძელი... [235, 93]:

ან:

გიდლეგრელოთ ყველა, გიდლეგრძელოთ კერა,
მის შემყურე ყველა,
ჯამი, ჯამფილი, ქვაბე, ქაფქირი,
საბძელი და კალო, მარგილი და პალო.
სახლი აგევსოთ შვალოთა, საბძელი შვილიშვილითა...
[235, 95].

კალვნდარული ჩამოვლის პოეტურ ტექსტებში ოჯახის სიმღდიდრული ხშირად ჰიპერბოლურადაა აღწერილი. სასურველის რეალურად წარმოდგენა საწესჩვეულებო ფოლკლორის ერთ-ერთი თავისებურებაა. საერთოდ [397, 238]⁵. ქართულ კალვნდარულ პოეზიაში ხშირად გვხვდება მასპინძლის ოჯახის, კარ-მიღამოს, სახლის დალოცვა:

„ლმერთო, აშენე ეს ოჯახი, მიეც შვეიობა და ბარაქა...“
„ამ ოჯახის ოთხივ კუთხე, მაღლა ლმერთო, შენ აურთხე...“
„სახლო ლმერთმა აგაშენოს, სამართალმა ღვთისამაო!“
„ახალი სახლი დაგიღვავს, დაგიხურის ფიჭვიო...“
„სახლო, ეინ აგაშენაო? დერეფანი ეინ დაგიღვა,
თარო ეინ დაგიმშვენაო?“
„ჩვენი მასპინძლის სასახლე ტურფად ნაგები ხეაო...“ და ა. შ.

ოჯახის სიმღდიდრის იდეალიზაცია და ჰიპერბოლიზაცია დალოცვის ტექსტების ჩვეული მოტივია:

მაღალმა ლმერთმა შენ მოგცეს ალმასის დერეფანები,
ვერცხლის დედაბიძის ედგას, ზედ ოქროს გასაყარები,
ასა-ორასი საპანე სუ ზურმუხტი და ლალები,
რიც შენ მოგცეს უფალმა, შენს მტერს დაუდგეს თვალები,
დაგებას ბედაურები, დაგეკრას ოქროს ნალები [233, 293].

დალოცვის მოტივები თანდათან გამრავალფეროვნდა, განივრცო, დამოუკიდებელ დალოცვით ტექსტებად ჩამოყალიბდა:

უფალმა ლმერთმა შენ მოგცეს ოჯახი საძირკვლიანი,
ხარი-ამერი გუთნებით, ტრმები საესე, ძნიანი,
რმყოფებოდე ხალხ-მრავლად დედ-მამა-რძალ და ძმიანი,
ლამაზი შემოგეყანოს მშევნერი და კევიანი [235, 96].

მთლიანად დალოცვითი ხსიათისაა სამეკვლეო ტექსტები საახალ-წლო ციკლში:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ლმერთი,
ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!

ტაბლა შემიკაზია, ბედის პურიცა ტაბლაზე დევს,
სამი სანთელი ანთია,
ახალწელიწად დღეს შემოიყვანეთ სახლშია,
ასე ტქბილად დამიბერდით!
წმინდა ვასილის წყალობა შეგეწიოთ... [თსუფა, № 3866].

მეცკვლე მიუკელევდა ბეღელს, კერიას, მარანს, ბოსელს, ვენახს
და ა. შ. იგი მნიშვნელოვანი ფიგურაა საყალანდო ციკლში. მისი და-
ლოცვა მომავალი წლის ბეღნიერების, ბარაქიანობა-სიუხვისათვის
ლოცვაა:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ლმერთი!
მოვიდა ახალწელიწადი
ლვინიანობისა, პურიანობისა,
ნათელისა და ქორწილისა!
შეგეწიოს უე, მრავალ ახალწელიწადს მოესწრეთ!
[191, 6].

ზოგ სამეცკვლეო ლექსს უტყობა გარკვეული სტილიზაციის კვალი:

ახალ წელიწადს, წლის თავსა, გვიკლევ ვაზისა ჩქითამცა,
შენამცა სახლი ავსილა ტყავ-ჯაბა ზარბაბითამცა,
ცერწნედამც შაგისხდებიან შშვილდ-ისრიანნი ხმლითამცა,
კარხედმც მოგადგებიან ცხენ-ჯორა მაფრაშითამცა,
ტახტზედმც დაგილგებიან თავ-ოქტო-გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბრმავდების, ეშმაკი ხმელით-ცითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალ გზითამცა,
ჟური-ლვარნო ულვეველი, ვით მონადირე წყლითამცა,
სიცოცხლე გახარებული, მოუწყინარი დღითამცა,
ასრე დასტები ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვათმც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა.

ახალი წლის დღესასწაულის ასევე საზეიმოდ და ამაღლებულად
აღნიშვნის ტრადიციას შემდეგნაირად გადმოგვცემს ვახუშტი ბატონი-
შვილიც:

„ახალწელს, ერთს იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკვლევ-
და მეფეს ჭყონდიდელი ჭვარსა და ხატსა და სამქაულსა მეფესა და
დედოფალსა და სანუკვარსა შაქრისასა.

და შემდგომად სრულიად სპათა მოლოცვისა შექმნიან პურიბა დი-
დი განცხომითა და სახიობითა“ [51, 395].

დალოცვას, ხალხის რწმენით, დიდი ძალა პქონდა. დალოცვის
ტაქტიული დახატული სამყარო, როგორც წესი, აღემატებოდა რეალურ
გლეხურ ყოფა-ცხოვრებას:

თქენი კოდები ყოფილა,
სავსე და — წმინდა ფქვილითა;
თქენი ქვეერები ყოფილა
სავსე და — წითელ ღვინითა;
თქენი ფარეხი ყოფილა
სავსე და — ცხვრითა, ბინითა,
თქენი გომური ყოფილა
სავსე და — ძროხის ბინითა

[191, 56].

ასეთი იდეალური სურათის დალოცვის ტექსტებში უნდა გავიგოთ, როგორც მხატვრული ხერხი და არა რეალური ყოფის ასახვა. ყოველ-გვარი სიკეთის სიუხვით ბოძების სურვილი დალოცვის ტექსტების ორ-განული მოტივია.

თუ რამდენად დიდი იყო სურვილი მიმღოცეულისა, ესიამოენებინა ოჯახის პატრონისათვის, კარგად ჩანს ჭონას შ. გოზალიშვილისეული აღწერილობიდან:

„მასპინძელმა უთხრა სტუმარსაო: „მუხას ვაშლი ასხიაო“,
სტუმარი ეუბნებაო: „ა ემტენები, მუშტის ტოლები ასხიაო“.
სტუმარს უნდოდა ესიამოენებინა მასპინძელიო“ [40, 6].

ჰიპერბოლა ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ მასშტაბებს იღებს. გლეხის უბრალო კარ-მიდამო რიტუალური ჩამოვლის ტექსტში ღვთაების ბალთანაა გათანაბრებული, შეადარეთ ცნობილი საფერხულო, ბატონების საბოლიშო:

ბატონების ბალშიაო, იავნანინაო,
მუხას ვაშლი ასხიაო, იავნანინაო... [115, 68].

ჩამომვლელთა ყურადღების ცენტრში ექცეოდა ოჯახის მომავალი თაობა, ხშირია ტექსტებში მათი დალოცვა, ჯანმრთელობის, დღეგრძელობის და კეთილდღეობის სურვილები:

... დედაშენსაც დაზრდება
ქოჩიანი ბიჭებიო,
ჩამდენიც ჩვენ კიჭებიო,
შენც იმდენი ბიჭებიო
[ფ. არქ. № 1219].

ან კიდევ, ბერიკულ ტექსტში:

ეროსანი, მეროსანი,
ცხრანი ფრთენი წეროსანი,
ყმაწეილებიც მოგეზრდებათ
სკამზე გვსხდეს წვეროსან!
[191, 66].

წევროსანი ყმაწვილების და ქოჩრიანი ბიჭების ნატერა დალოცვის ტექსტების გავრცელებული მოტივია და არა მარტო ქართულ ხალხურ პოეზიაში.

ეს კედელი, ეს კედელი,
შუაზე არის ამბარი,
ამბარი და ამბარის კუთხე,
ქრისტე ღმერთო, შენ აკურთხე,
ვინცა იყოს თხუთმეტი წლის!

[224, 196].

ხშირია შემდეგი ფორმულებიც:

„სიცოცხლე და დღეგრძელობა სულ თქეენს შეილებს ეხეოდა...“
„ღმერთმა ყველა გაგიზარდოთ, გოგო იყოს თუ ბიჭიო...“
„კიჭებიო, კიჭებიო, დაგეზრდება ბიჭებიო...“

დალოცვისას, გამრავლების გარდა, პირველ რიგში უსურვებდნენ ქორწილებს, ოჯახურ ბეღნიერებას, დღეგრძელობას!

„...მოლხენა თქეენს ოჯახია, სიმთელე და ქორწილობა“. „მანამდის ღმერთმა გაცოცხლოს, სანამ მთვარე და მზე არია...“

საქორწილო პოეზიაში გავრცელებულია დალოცვის ტექსტი:

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში
ლხინსა და გახარებასა,
ქალისა გასტუმრებასა,
ვაჟისა ქორწილობასა [40, 45].

როგორც ჩანს, ეს ლექსი თავდაპირველად კალენდარული პოეზიის კუთვნილება იყო. მას ხშირად ასრულებდნენ ჭონაში. ცნობილია, რომ „უფრო გვიან გამოყოფილმა საქორწილო პოეზიამ უამრავი რამ აგრა-რული კალენდრიდან შეიწოვა და შეითვისა“ [56, 90].

დალოცვის ტექსტებს, გარდა დღესასწაულებზე ჩამოვლისას, ხშირად წარმოთქვამდნენ სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის (ხვნა, თესვა, მოსავლის აღება) დაწყების ან დასრულების შემდეგ:

„დაილოცა გაზაფხული,
გაიშლება ტყე და ველი,
შევიღობით მოგაქმევინოთ
ჭერ კალო და მერმე რთველი“
[174, 243].

მოწეულ მოსავალს ასე ლოცავდნენ:

„მშვიდობაში, გამარჯვებაში,
ეუების ქორწილობაში,
ქალების გთხოვებაში,
ორმოში ჩადი, ძველად გადი,
ეს ძველი და სხვა ახალი“ [195, 573].

კალვნდარული წესების შესრულების ღროს ლოცავდნენ არა მარტო ოჯახის პატრონებს ან წევრებს, არამედ მათ მაცოცხლებელ ვაზისაც, ხარსაც, გუთანსაც და კარ-მიდამოსაც:

გაუმარჯოს ხარის ქედსა,
ცის ნამსა და მოსავალსა,
ხარის ქედსა, გუთნის ღვედსა,
სანისა და საკვეთელსა,
მზესა და მთვარესა,
სტუმარსა და მასპინძელსა! [195, 275].

მოსავლის დალოცვის მოტივები განსაკუთრებით საშემოდგომო დღესასწაულების და წეს-ჩევაულებების შესრულებისასაა გავრცელებული:

ადღეგრძელოს ცის ნამი,
კაცის მარჯვენა, ხარის ქედი,
ღვედამიწის მოსავალი,
გუთნი და გუთნის ღვედი [235, 92].

საღლესასწაულო დღეებში კარღაკარ მოსიარულენი გასამრჯელოს სახით სხვადასხვა სანოვაგეს ითხოვდნენ: ყველს, კვერცხს, ჩირებს, ფქვილს, ქალებს და სხვა.

„თითო კვერცხი მოგვეცით, კორკოტი შეგვაჭამეთ...“
„ამორე თეთრი ყველი, ჩაგვიდევი კალათასა...“
„გამორტანეთ ჩირები, სიცივემ დაგვძრა ფრჩხილები...“

შეგროვებული სანოვაგე, როგორც ცნობილია, საერთო ტრაპეზის ხმარდებოდა, რიტუალური საკვები მაგიური დანიშნულების იყო და ნაყოფიერების გაძლიერებასა და გაზრდას ემსახურებოდა, განსაკუთრებით მარცელებული, მისგან დამზადებული სანოვაგე [330, 161]. ასეთივე დანიშნულებით იხმარებოდა კალვნდარულ რიტუალებში კვერცხი, რომელიც შეესაბამება მარცვალს ცხოველურ სამყაროში [374, 6]. კვერცხი, ყოველგვარი ორგანული სიცოცხლის ხილული წყარო, საყოველთაო წარმოდგენით, სიცოცხლის, გამრავლების, ნაყოფიერების სიმბოლო, მნიშვნელოვანი მითოპოეტური წარმოდგენების წყარო და „დედამიწაზე ისტორიული ცხოვრების მთელი პერიოდის განმავლობაში, მის ყოველ კუთხესა და ზოლში ყოველთვის იყო და ახლაც

არის ხალხური რწმენის, შემოქმედების და კულტის სხვადასხვაგვართ გამოვლენის საგანი“ [446, 7].

ჩვენთვის საინტერესო ტექსტების დიდ უმრავლესობაში სწორედ კვერცხი ფიგურირებდა საჩუქრის გამოთხოვისას. ექვება გასათვალისწინებელია ასევე ხანგრძლივი ქრისტიანული ტრადიცია⁷. კვერცხი, როგორც სიყვდილ-სიცოცხლის ერთ არსში მომცველი საგანი, ქრისტეს აღდგომის სიმბოლოდ იქცა, ამ მოვლენას დაუკავშირდა ქრისტიანულ ქვეყნებში გავრცელებული ჩვეულება სააღდგომოდ წითელი კვერცხების შეგრძოვებისა⁸. უნდა ვითქიქოთ, რომ თავდაპირველად კვერცხს ისე-თივე მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც სხვა რიტუალურ საკვებს: „ძველად კვერცხის აღება არ ყოფილა წესად... ჭონაზე ჰქონება და აგროვებდნენ არა კვერცხებს, არამედ... რამე ნობათს, უბრალოც რომ ყოფილიყო“ [161, 21].

ჩამომვლელები სხვადასხვა მოტივებით აჩქარებდნენ ოჯახის წევ-რებს:

„დედი, ერთი კვერცხი მოგვე, სხვაგანაც გვინდა მისელათ...“
„ჩეენ შორი გზიდან მოვსულვართ...“
„პატარა ლროზე გამოგვიტა, ვირო გვყავ აყიდებული...“
„გთხოვ, რომ მალე გაგვისტუმროთ, შინც ვუპირებთ მილოცვასა...“
„გამოგვიტანეთ ჩირვბი, სიცეემ დაგვძრა ურჩხილები...“

თუ მასპინძელი იგვიანებდა საციქველის გამოტანას, ტექსტებში მუქარის კილო ძლიერდებოდა:

„ბატონებოთ, გაგვისტუმრეთ, თორებ წავალთ ტუტუნთა...“
„ადე, დედი, გაგვისტუმრე, თორებ წავალთ დუდუნთა...“
„ვინცა ბერას არას მისცემს, მელას მისცემს მის ქაომებსო...“

ჩამოვლის ტექსტების ტიპური დაბოლოებებია:

„არიელი, მარიელი, არ გამიშვა ცარიელი...“
„თუ გამიშვი ცარიელი, არ დამჩრები მაღლიერი...“

საჩუქრის მოთხოვნა ხშირად კატეგორიულია:

„თუ არ მოგვცემთ საციქველსო, გამოგითხრით საძირქველსო...“

ან:

„ჩქარა, თუ რას გამომიტან, თორო გიმტვრევ კარსაო...“

დღესასწაულის დღეებში კარღაკარ მოსიარულენი, ხალხის რწმენით, მაგიური ძალის მფლობელნი იყვნენ და ყოველგვარი კეთილ-დღეობის ბოჭება შეეძლოთ. მათ მიერ საჩუქრის გამოთხოვა კი ჭანი-ნიერი მოთხოვნა იყო გასამრჩელოსი დალოცვისა და შეპირებული კე-

თილდეობის სანაცვლოდ. „ჩვენ ხომ მთხოვნელი არა ვართო“, — ხაზგასმითაა აღნიშნული ჩამოვლის ტექსტებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ კალენდა-რული დღესასწაულების დღეებში კარდაკარ მოსიარულენი წინაპართა სულებს განასახიერებენ. მათი სანოვაგით დასაჩუქრება კი იგივეა, რაც წინაპართა სულების დაპურება მათი კეთილგანწყობის მიზნით [397, 227].

რწმენა გაზაფხულზე ბუნების საყოველთაო აღორძინებასთან ერთად მიცვალებულთა სულების აღდგომის შესახებ, საყოველთაოდ იყო გავრცელებული. საქართველოში მიცვალებულთა სულებს აღრე-გაზაფხულზე განსაკუთრებულ დღეობასაც უხდილენ (ლიფანალი). ცნობილია, რომ მჭიდრო კავშირი არსებობდა წინაპართა და აგრძარულ კულტებს შორის⁹. ძველად სჯეროდათ, რომ მიცვალებულთა სულები აქტიურ გვლენას ახდენენ ცოცხლად დარჩენილთა ცხოვრებაზე, შეეძლოთ ებოძებინათ მათთვის ყანების მოსავლიანობა, საქონლისა და ფრინველის ნაყოფიერება, ჯანმრთელობა, ამიტომ ცდილობდნენ მათი გულის მოგებას: „ყველა სიხარულით ელოდა მათ; ეზოში შემოსულ მოთამაშეებს ოჯახის უფროსი შეეგებებოდა, მუხლმოყრილი თავის გაჭირვებას ეტყოდა და შველას სთხოვდა“ [150, 7].

კარდაკარ ჩამოვლის რიტუალური ტექსტების მჭიდრო და ხანგრძლივმა კავშირმა საშობაო და საალღომო ციკლებთან, ბუნებრივია, გამოიწვია ტექსტების ცალკეული მოტივების გადააზრება. ლექს-სიმღერებში ჩნდება მოტივი, სადაც ჩამომულელები ქრისტეს მახარობლად მოიხსენებიან („ჩვენ ხომ მთხოვნელები არა ვართ, ქრისტეს მახარობლები ვართ“).

ჩამოვლის ტექსტები ხშირად დალოცვის შემდეგი ფორმულებით ბოლოვდება:

„... თქვენი სახლი ბარაქითა“.

„... ღმერთი მოგცემთ ბარაქასა“.

„... შენი შეიღების მზესაო“.

ზოგჯერ ტექსტებში ერთადაა ორი დაბოლოება, მიმართული უხვი ან ძუნწი მასპინძლის მიმართ:

„... დღეს მოგვეცით ფქვილი,
ხვალ მოგივა მზეო.

— კიძო, კიძო!

— ბევრს თუ მოგვეცემთ,

ვაჟი გეყოლებათ,

ცოტას თუ მოგვეცემთ,

ქალი გაგჩნდებათ,

ისიც აკვანში გაგისკდებათ.

— კიძო, კიძო! [230, 126].

· დაბოლოების ასეთივე სტრუქტურა ახასიათებს შემდეგ ტექსტსაც:

ეს სახლი ვინ ააგო, ვინ დახურა მუხის გული,
ჯერ იმისი დედა ცხონდეს, მერე იმის მამის სული.

ან:

ჯერ იმისი დედა ცხონდეს, მერე იმის მამის სული.

კალენდარული დღესასწაულის დროს კარდაკარ რიტუალური ჩამოვლის ლექს-სიმღერების გავრცელებული სახეა მცირე ზომის, ოთხ-სტრიქონიანი ლექსი აღნიშნული სტრუქტურით, დასაწყისი, მიმართვის, სანოვაგის მოთხოვნის, დალოცვის თუ მუქარის დამაბოლოებელი ფორმულებით.

ჩამოვლის რიტუალური ტექსტების სიმრავლე, მრავალგვარობა, ორგანული კავშირი სხვადასხვა კალენდარულ წესჩვეულებებთან ნათვალყოფს მათ მნიშვნელობას ქართულ საწესჩვეულებო პოეზიაში.

თავი II

კალენდარული საწესჩვეულებო ციკლის მაგიური რიტუალების პოეტური ტექსტები (შელოცვები)

კალენდარული საწესჩვეულებო ფოლკლორის ყველაზე უფრო არქაულ ფენას შელოცვები შეადგენს. დიდი ადგილი უკავია ამ ტექსტებს საგაზაფხულო საწესჩვეულებო პოეზიაშიც. შელოცვების მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის მაგიური ძალით ზემოქმედება მოეხდინა ბუნების ძალებზე, გამოეწვია მათი ნაყოფიერება, დაემორჩილებინა სხვადასხვა მავნე სულები.

მაგია ადამიანის უძველეს მსოფლმხედველობას უკავშირდება, ზებუნებრივი ზემოქმედების ძალა მიეწერება არა მარტო ადამიანის რიტუალურ მოქმედებას, არამედ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც.

ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან უძველესი დროიდანვე კოსმოსურ მასშტაბებს მოიცავდა. ასტრონომიული მოვლენები ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ყოველგვარ საქმიანობასთან [367, 17].

მზის ყოველდღიური თუ ყოველწლიური დაცხომა და გასხივოსნება, მთვარის ყოველთვიური მცხრალობა და სისავსე, თანავარსკვლავედთა პერიოდული გაქრობა და გამოჩენა პორიზონტზე ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა და ოდითგანვე მისი ყურად-

ლების ცენტრში იყო. ქართველები, ისევე როგორც სხვა ხალხები, მნა-თობთა მოძრაობაზე აგებდნენ თავიანთ უძველეს კალენდარს, მნათო-ბები პქონოდათ მიჩნეული „განსაყოფელად შორის დღისა და შორის ლამისა და სასწაულებად დღეებად და უამებად და წელიწადებად“ [126, 48].

ჩროის აღრიცხვის სისტემები, როგორც ცნობილია, ძველ ცივი-ლიზაკიებში მზის დღესა და მთვარის თევს ეყრდნობოდა.

მთვარის კალენდარი და, შესაბამისად მთვარის კულტი თითქმის ყველგან წინ უსწრებდა მზისას, ოვიდიუსის თქმისა არ იყოს. ძველი ხალხებს რწმენით, „luna regit menses“ (მთვარე განაგებს თვეებს). უძველეს ხანაში ქართველების საკულტო მსახურების საგანი მთვარე გოფილა [242, 90; 43, 199].

მთვარის ყოველთვიური გაქრობა და ხელახალი გამოჩენა პქმნიდა საფუძველს მითოსური წარმოდგენებისათვის, რომლებიც მთვარეს მა-რადიული აღორძინების, აღდგომის სიმბოლოდ სახავდნენ. ამგვარ წარ-მოდგენას გულისხმობს შემდეგი ხალხური ლექსიც მზესა და მთვარეზე:

ერთ სოფელში ორსა კაცსა,
ორსავ ერთი ფერი აქვსო,
ერთი მუდამ სიყრმეზე დგა,
ერთს სიბერე ახლო აქვსო,
ერთსა ჯარი უთვალავი,
ერთს მარტოკა ტახტი აქვსო [236, 118].

აჭარულ ფოლკლორში გარელებულია გამოცანა მთვარეზე:

თხუტმეტ დღეში იბადება,
თხუტმეტ დღეში კაცი ხდება,
კარგად არას, უცბად კვდება,
ორ დღეს უკან გაცოცხლდება [15, 281].

მთვარის ფაზების ყოველთვიური ცვლა, რომელიც გავლენას ახ-დენდა ცოცხალი ორგანიზმების ფიზიოლოგიურ თვისებებზე, მრავალ-გვარ რწმენას ბაზებდა ხალხში. ახალი მთვარე, განსაკუთრებით კი გა-ზაფხულს იხალმთვარეობა (ამ უკანასკნელს მთელ რიგ ქვეყნებში დღემზე უკავშირებენ ახალი წლის დაწყებას) ხალხში მრავალგვარ რწმენას უკავშირდებოდა. სჯეროდათ, რომ მთვარე გავლენას ახდენს აღამიანის შთამომავლობაზე, ცხოვრების კეთილდღეობაზე.

ჩვენი წინაპრებიც დიდ უურადღებას აქცევდნენ მთვარის ფაზების ცვლას. მას უკავშირებდნენ სხვადასხვა საქმიანობის დაწყებას. ახალი მთვარის გამოჩენას დამიანი საკუთარი ცხოვრების განახლების იმედ-საც უერთებდა:

გამოსვლას და გაზაფხულისკენ მობრუნებას. ცნობილია, რომ სვანები შემოდგომას ეძახიან „მეუღვერს“, რაც ნიშნავს: „მზე მიღის“, გაზაფხული კი, შესაბამისად ის დროა წლისა, როცა მზე მიღის, ბრუნდება [127, 65].

გაზაფხულის მზე, „დიდ და საოცარ გარდაქმნათა“ მიზეზი, სი-ცოცხლის, სითბოს, სინათლის განსაკუიფრებელი წყარო იყო. „მოუღლელი მზის“ (sol invictus) საგაზაფხულო აღორძინების სიმბოლოდ ქართული მითოსური აზროვნება მარადიული განჭაბუკების უნარის მქონე ორბს გვისახავს:

ორბი მოჯდა ორასი
ფრთა გაშალა სამასი,
კანკი ათას ხუთასი (მზე), [105, 137].

გაზაფხულის პირას, პირველი თბილი მზე რომ გამოვიდოდა, ამ სიტყვებით შეეგებებოდნენ:

მზე, ამოდი ვაკესა, ცხვარს დაგიკლამ მაკესა,
შეგიწევამ, შეგიმარილებ, მაღლა ბუჭეჭზე შეგიდებ [ფ. არქ. 11, 23].

მზის გამოხმობის რიტუალურ ტექსტებში ხშირად მეორდება ცხოველის ან სხვა რაიმის შეპირების მოტივი:

მოდი, მზიანო (დღეო), თვალებ ბარჩხალა მზეო,
მოდი მზიანო დღეო, ელარქს გვაჭმევენო [153, 11].

„მზეს არამც თუ თაყვანსა სცემდნენ და აპიროვნებდნენ, მასვე სწირავდნენ ზვარაქს და მაღლობას უძღვნიდნენ აღმობრწყინებისათვის. ახლაც გაიგონებთ წვიმის დროს შემდეგ ლექსს, რომლითაც ბავშვები მიმართავენ ხოლმე მზესა“, — წერს ალ. ხახანაშვილი [237, 12].

ლრუბლიან, წვიმიან ამინდში მზეს სხვადასხვა შელოცვებით უხმობდნენ:

„აჭერ-გაჭერ, ლრუბელ გაჭერ, მზეო, გამოიიო“ [თსუფა, № 24342].

მზის მცხუნვარებისაგან გაბეზრებული მეძროხე ფშავლები კი „როცა დღე გრძელდებოდა და მზე ცას აღარ შორდებოდა, მზეს ასე ეძახიან, რომ უფრო მაღლე ჩავიდეს:

მზეე! მზეე! დედაშენს ვჟი გასჩენია,
აკვანი არა ჰქონია, ერაში დვეწვინა,
წადი აკვანი მიუტანეო! — მზე გაიგონებს და ჩავაო“
[ფ. არქ. № 2041].

არხოტელი მწყემსები კი, როცა მზის ჩასელას ეშურებოდნენ, ამ-
ბობდნენ:

ოფროფინო, ოფროფინო, მზემა პირი გარმოხფინო.

შეუ მზეო, ჩახე მზეო!

შენსა დედას ოჯა ხყვანდა, არცა ხქონდა აყავანი, არცა გადასაკრავანი,
ციხით ქალმა დაუძახა: მია მაქვა აყავანი, ოქროს გადასაკრავანი.

შვილ მომიტანს აყავანსა, ოქროს გადასაკრავანსა [177, 207].

მათი რწმენით, ამ ოინით მოტყუებული მზე დედისკენ გაეშურე-
ბოდა. ლექსის თქმასთან ერთად გოგონები გამეტებით აქნევდნენ თა-
ვებს და მზეს თავიანთ თმებს უშლიდნენ. ესეც მზის გულისწყრომასა
და მალე წასვლას გამოიწვევდა. თუ ბიჭები აჩვენებდნენ ქოჩებს,
მზე, პირიქით, დაყოვნდებოდა. ამიტომ მალე შინ წასვლის მსურველი
გოგონები, ვაეებს თავის განძრევას უშლიდნენ“, — ასეთ კომენტარს
უკეთებს მოყვანილ ლექსს აღ. ოჩიაური [177, 311].

ანალოგიურ რიტუალს მიმართავდნენ ბუნების სხვა ძალების თუ
მოვლენების დამორჩილების დროსაც: „მისნური სიმღერებით და ცე-
რემონიებით ჩნდება და ქრება ღრუბლები და ქარიშხლები, დგება
გვალვა და უნაყოფობა, თავიდან აიცილება წვიმა, მზის ნათება, სე-
ტყვა...“ [380, 1189].

ძალიან გავრცელებული მოტივია მოგონილი საბაბით ღრუბლის,
ნისლის (ბურის), წვიმის განდევნა:

ბურო, იარე, იარე,
ცხრა მთას იქით გადიარე,
შენი ცოლი ორსულია, ორგულია,
თამი შეილი ჰყოლებია,
ერთი ბრძა, ერთი გლახა,
ერთი ყველას ჭობნებია.
მალე მიხვალ — მოგირჩება,
გვიან მიხვალ — მოგიკედება [185, 8].

ასევე მიმართავდნენ ღრუბლებს:

ურბელ-ღრუბელო, ცისა ღრუბელო!
ხულღუბულღუ, ბალის ხანგარი.
ზეთი, ზეთი სუფთა.
შენი დედა, შენი მამა ხიდზე ჰყიდიან.
ყველა მიღის, შენ რატომ არ მიღიხარ?
— მე ფეხშიშველა ვარ, ვერ მიღივარ
[163, 261].

მზის, ნისლის გამოწვევის თუ განდევნის რიტუალი კავკასიის სხვა
ხალხებშიც მსგავსი შინაარსის ტექსტებით სრულდებოდა.

საგაზაფხულო ციკლში მეურნე გლეხის ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით წვიმა ექცეოდა. ნათესებისათვის ზომიერი სინოტივის და ნამის მოპოვება, ჭარბი წვიმის აცილება მათი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა:

წვიმის გამოწვევასთან დაკავშირებული რიტუალები მრავალფეროვანი და მრავალგვარია. შესაბამისი მაგიური ტექსტები არქაულობით გამოირჩევა:

წვიმა, იარე, იარე,
ცხრა მთას იქით გადიარე.
შენი ცოლი ავად არის,
სამი ვაჟი ჰყოლებია,
ერთი კოჭლი,
ერთი ბრუციანი,
ერთიც ავად ჰყოლებია.
ღროჩე მიხეალ — მოგირჩება.
არ მიხეალ და — მოგიყდება!
[თსუფა, № 9407].

ზალხის აზრით, „ყანა ამინდის შვილია“, ამიტომ გაზაფხულზე ჟვნა-თესეის დაწყებისთანავე ამინდსა და ჭირნახულზე ლოცვას შეუდგებოდნენ:

შე დალოცვილო ყანაო,
ეგრე ამ მოგიყვანაო,
კარმა მენა, კარმა დამთესა,
მეუფემ პირი მბანაო [თსუფა, № 25491].

საქართველოს სხეადასხვა კუთხეში გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში ხშირად უქმობდნენ კარგი ამინდის დასაბევებლად. კვირტობა, ცხრამარტობა, ქაშატობა, მესეფობა, შვილმაისობა, კოხიობა და სხვა ამ შინაარსის დღეობები იყო.

ხალხის შეხედულება მიწის „პირის მბან“ მეუფეზე იმდენად ტრანსფორმირებულია და იმგვარი სიჭრელით ხასიათდება, რომ თითქმის შეუძლებელს ხდის თავდაპირველ ვთთარებაში გარკვევას, სხეადასხვა უპოქათა დანაშრევების გამოცალებებას.

მიწათმოქმედთა უძველეს წარმოდგენებში კულტის საგანს უშუალოდ წვიმა, წყალი შეადგენდა, ისევე როგორც ბუნების სხეა სტიქიები.

არქაულ ხასიათს ატარებს წვიმის გამოწვევის რიტუალები, საქართველოში რომ ტარდებოდა: მიცვალებულის ძვლის განბანეა; მოკლული გველის ხის ტოტზე გადაყიდება; 40000 კენჭის ჩაგდება მდინარეში; ბაყაყის მოკელა, წყლის მოხვნა, ხატის წყალში განბანვა და ა. შ.

არქანგელო ლამბერტის აღწერილობა ძველ და გვიანდელ აწმენათა სიმბიოზს გვთავაზობს. „წვიმისას ხატს მდინარეში ამოავლებენ წვიმის გამოსათხოვრად. წმინდა ელიას მიმართავენ, თხას უკლავენ — ტყავს გასტევენ ჩალით და იქვე სადმე ჩამოჰკიდებენ ხეზე“ [93, 154].

წვიმის გამოწვევის რიტუალს საქართველოში უძველესი წარმოდგენების კვალიც შემოუნახავს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა გ. ჩიტაის მიერ დაფიქსირებული მასალა: „გვალვის დროს სოფლის ქალები აჩაჩს წაიღებენ ხევში, წყალზე. იქ თავმოყრილი ქალები დატიტვლდებიან. მათგან ნაწილი აჩაჩში შეებმის, ნაწილი „გუთნის დედა“ და „მეხრეები“. სხვები ერთი-მეორეს წყალს ასხამენ, ასველებენ... თითოეული ცდილობს ყოველი ლონისძიებით მეორეს წყალი შიგ საცრხვინელ ნაწილებში შეასხას. ამავე დროს „გუთნის დედა აჩაჩს მართავს. „ხარებს“ მიერექება: ერთ-ერთი ქალი, რომელსაც ჯოხი პერია (ვრომ ფალოსი) მამაკაცურ სქესობრივ წესებს იჩენს სხვების მიმართ, განსაკუთრებით იმ ქალის მიმართ, რომელიც *vulva*-ს სახელს ატარებს. „გუთნის დედა“ კი „ხარებს“ დაპყივის: გასწი, გასწი, კარგად მოხანი, შე ასეთო, შე ისეთო“, უწმაწურ სიტყვებს ცის გასაჯავრებლად ხმარობენ, ავდარი რომ მოვიდეს“ [212, 224].

აღწერილი რიტუალი დიდ მსგავსებას იჩენს ძველი აღმოსავლეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთის მისტერიებთან და პირველყოფილი არქაულობით გადმოვცემს უძველეს რწმენას. რომელიც აერთიანებდა წარმოდგენებს ქალური საწყისის თავდაპირველი კავშირისა მიწისა და წყლის სტრიებთან¹¹. „უწმაწური“ მეტყველება ჩვეულებრივი იყო დემეტრას ელევსინის მისტერიების დროსაც, რომელიც, ასევე, მიწის ციური ძალით განაცოფიერების საიდუმლოს გულისხმობდა. საქართველოში კავკაცელებული „ძუძუს ქვები“ შეესაბამება აწმენას ბუნების, კის წყლების მფლობელი ქალღვთაების შესახებ და ანალოგიურია სხვა ხალხებში გავრცელებული წარმოდგენებისა: „ცისა და წყლის ქალღმერთი, გამოხატული მხოლოდ ერთი სიმბოლოთი — მისი ძუძუბით, ცხადია, სწორედ ის არქაული წინაპარია, რომელსაც უკვე სამრათასი წლის წინათ თვლილნენ ყოველი არსებულის საწყისად და ყველა ღმერთის დედა“ [387, 34].

ამინდთან დაკავშირებული ქვის ფიგურები ფართოდ იყო გავრცელებული კავკაციაში და სხვაგანაც¹². ქართველთა აწმენითაც, წვიმის ქვის ქალი აგზავნიდა დედამიწაზე. წვიმის გამოწვევის მიზნით ქვის ლოდს წყალს ასხამდნენ, აბრუნებდნენ: ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს ამ რიტუალს: „პატიკანს ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი, გვალვასა თუ გარდააბრუნონ და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ გარდააბრუნო, იქმნების უწმიმობა“ [51, 430].

საქართველოს სხვადასხვა სოფელში (მანგლისი, ბოდბე, ქიზიყი, კოჭორი...) იყო გავრცელებული ე.წ. „მამიდაის ქვები“, რომელსაც ასევე შენამავლნენ, ან წყალში ჩააგდებლნენ, რომ გაწვიმებულიყოა: „ამყე, მამიდა, ბარნაბანთი ვარო“; ან „ამყე, მამიდა, გოგილაანთ ქალი იყავო“ [იხ.: 401; 89, 335; 232, 209; 164, 95].

აღწერილ ჩვეულებაში იკვეთება ქვის, როგორც მითური წინაპარის სიმბოლიკა: „ქალქვა აღრე იმათი იყო, ბარნაბაანთიო“ [437, 19].

რიტუალს, ძირითადად, ქალები ასრულებდნენ.

ამ შემთხვევაშიც წვიმის გამოწვევის რიტუალი ქალურ საწყისსა უკავშირდება. ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ-თვის საინტერესო მაგიური რიტუალის უძველეს სახეს წარმოადგენს წეს-ჩვეულების შესრულება ქალების მიერ: წყლის მოხვნა, ან ქალის გამოსახულების თოჯინის, დედოფალას ჩამოტარება, გაწუწვა, წყალში ჩაგდება და ა. შ.

„გვალვის დროს დედაკაცები წელს ზემოთ დატიტვლდებიან, სახ-ნის-უღელს წაიღებენ და წყალზე კვალს გაავლებენ. ორი ქალი უღელს შეებმის, მაჯნავი უკან მიჰყვება. გუთანს წყალში სამჯერ გაატარებენ. წყალს ერთმანეთს შეასხამენ და იმახიან:

„აღარ გვინდა გორახიო,
ღმერთო, მოგვეც ტალახიო“, — გადმოგვცემს ს. მაკალათია [116, 222].

წვიმის გამოწვევის მიზნით ქალის გაწუწვის ჩვეულებას, ი. ჯვა-ხიშვილიც ძევს, წარმართობისღროინდელ ღრუბელთა ბატონის ღვთა-ებისაღმი მსახურებად მიიჩნევდა [242, 118]. იმ უძველესი დროიდან შემორჩი შესაბამის სიმღერებს წარმართული ინტონაციები და კილო [8, 7; 220, 14].

სამეგრელოში მსგავსი რიტუალის (ძიძავა) შესრულების დროს „ქალურად მორთულ დედოფალას დაიტირებდნენ, წყალში გადააგდებ-დნენ და დაახრჩობდნენ... ამის შემდეგ დაურბენდნენ მდინარის ნაპირს მოთქმითა და ვაი ვიშით“ [107, 331].

მესხეთში გვალვის საწინააღმდეგო რიტუალის შესრულების დროს პროცესისას წინ ქალი გაუძღვებოდა, „თავზე თასს დაადგამდნენ, შიგ წყალს ჩაასხამდნენ, წუწაობდნენ, გაწვიმდესო“.

მოგვიანებით, როცა ქალის, ცოცხალი არსების ნაცვლად თოჯინას ჩამოატარებდნენ, მასაც დედოფალასავით რთავდნენ: „ბავშვები შეკაზ-მავდნენ გოგოს სურათს, ციცვის თავს გუკეთებენ, კლავებს, ჩაატე-ვენ გოგოს ტანისამოს... წაიღებენ სოფელში“ [128, 61].

აჭარაში გვალვისას გაკეთებულ დედოფალას (ქეთჩა-ხათუნი) „ქალს დაამსგავსებდნენ“, ისე ჩამოატარებდნენ „კვამლი-კვამლ“ სოფელში, თან თათრულად ან ქართულად ეტყოდნენ:

მოსავალი ბევრი გვინდა,
ამ დედოფალს წვიმა უნდა,
ღმერთო, წვიმა მოგვეცი¹³.

საქართველოში გავრცელებული „დედოფლობა“ მოგვაგონებს „წვიმის გოგონასთან“ დაკავშირებულ რიტუალებს ეცროპის სხვადასხვა კვეყნებში¹⁴.

ანალოგიური წეს-ჩვეულებები კავკასიის სხვა ხალხებშიც იყო გავრცელებული. წვიმის დედოფალას (Годи, Коди, Доди, Нури და სხვ.) ჩამოატარებდნენ გვალვისას და ასრულებდნენ რიტუალურ ტექსტებს, რომლებიც დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ქართული ფოლკლორის წიმუშებთან¹⁵.

მაგიური რიტუალის მთავარმა პერსონაჟმა სპეციფიკური გარეგნობის („გონჯად ჩაცმული“) გამო გონჯას სახელი მიიღო. სოფლის დედაქაცები განვეძ გამურულ ქალს ფეხშიშველნი მიჰყვებოდნენ სიძლერით:

გონჯა მოღვა კარებსაო,
აბრალებს თვალებსაო,
აღარ გვინდა გორახიო,
ღმერთო მოგვეც ტალახიო.
გონჯას წყალი შემოასხიო,
დაუყენებს ტალახსაო,
ააყვავებს ყანებსაო [70, 179].

ქრისტიანობის გავლენით წვიმის გამოწვევის რიტუალი ქრისტიანულ წმინდანთა სახელებს დაუკავშირდა. თუმცა, ზოგჯერ იმ შემთხვევაშიც, როცა ლაზარეს ახსენებდნენ, მხედველობაში აქვთ ისევ და ისევ დედოფალა: „ლაზარია ახალგაზრდა, მორთული დედოფალიაო“, — გადმოგვცემენ მთქმერევები აჭარაში¹⁶. იმერეთშიც ლაზარობის ჩატარებისას კაცს ქალად გამოაწყობდნენ [70, 179].

გაზაფხულის წვიმის გამოთხვევის რიტუალი ლაზარეს სახელს სხვა ქრისტიანულ ქვეყნებშიც დაუკავშირდა. ვრცელ ბალკანურ და სლავურ არეალში. რაც, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ ქრისტიანი წმინდანის, ლაზარეს, ხსენების დღე საგაზაფხულო ციკლის დღეობებში შემოდის (ალდგომის წინა შაბათი)¹⁷. სახარების გადმოცემით, ვნების წინა კვირაში მივიდა იესუ ბეთანიად „და დაუმზადეს მას მუნ სერი, და მართა ჰმსახურებდა მას, ხოლო ლაზარე ერთი

მეინაკეთაგანი იყო მისთანა“ [იოვანქ, 12, 2]. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ლაზარე ქართველობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მახლობელი, პოპულარული წმინდანი იყო, რაც აისახა კიდევ ქრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა დარგების ნიმუშებში. „სიყვარულმა მოგვიყვანა“ კი ის საგალობელი იყო, რომლითაც საქართველოში ტრადიციულად იწყებდნენ ლხინის სუფრას:

სიყვარულმან მოგვიყვანა
უფალმან ბეთანიად ლაზარეისა,
ხოლო შენ ხთავბო აღადგინე
ოთხისა დღისა მკედარი
ჯოჯოხეთით, ვითარცა
გოწყალე ხარ! [217, 131].

მესხეთში გაერცელებული აპოკრიფული ლეგენდა ასე ხსნის ლაზარობის წეს-ჩეეულებას: „მე ეყოფილვარ ლაზიბი*, მორწმუნე. ესო ქრისტე უადის და ხალიჩებს უფენენ, პატივი დასდეს. მე ვიფიქრე, რომ ხალიჩები არა მაქ, ზეზე ავედი მალლა. ესო ქრისტეც ზის ჯორი-კაზე, რო გამოიარა. მე მალლიდან ვარ. ლაზარეო, შენ უფრო დიდი პატივი მეციო. მენაო, იცი, რა ძალას მოგცემო? ძალიან გვალვა რო იქნება. წმინდა ლაზარეს დაგარქმევენ და ივლიან:

ლაზარ მოდგა კარსაო,
ელორლოშებს თაესაო,
გბრილებს თვალსაო,
პატივს სცემს მათა უფალსაო,
ცერილი აგორებულაო, წვიმაც გაჩქარებულაო*.

თ. სახოյა ლაზარეს უკავშირებს ლუკას სახარებას, იგაეს მდიდარსა და ლაზიბზე, საღაც ლაპარაკია ვინმე გლახაკზე, ლაზარეზე, რომელიც „დაერდომილ იყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა“ [ლუკა, 16, 20]. ჯოჯოხეთში მოხევდრილი მღიდარი ეედრება აბრაამს: „მამაო აბრაამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე, რაითა დააწოს მწუერვალი თითისა მისისაი წყალსა და განმიგრილოს ენაი ჩემი“ [ლუკა, 16, 24].

ლუკას სახარების ლაზარე ქართულ ხალხურ მეტყველებაში გარკვეულ ფრაზეოლოგიურ პარადიგმას ქმნის. ნაკლებმოსალოდნელია, რომ ლაზარობის ტექსტებს კავშირი ჰქონდეს „ქართულ მეტყველებაში საძრახის წოდებად“ მიჩნეულ ლაზარესთან, რომელიც „სინონიმია ჩა-

* მთქმელს ლაზარე ერქვა და ლეგენდას პირველ პირში გვიაშობდა.
* ავტორის საეკლე მასალები, რე. № 5, გვ. 23—24.

ჩულია, ჩაგრული, უნიათო აღამიანისა, რომელიც თავის უბადრუკობით სხვებში აშეარად ერჩევა, ყველასაგან აბუჩად აგდებულია, სულ მუდამ სუფრის ბოლოსაა მიგდებული“ [159, 353]¹⁸ პირიქით, ლაზარობის ტექსტებში ლაზარე დიდებულ ბატონად, იმედად და მწყალობლად გვევლინება:

ლაზარ მოდგა კარებსაო, ლაზარ ბატონო!
აბრიალებს თვალებსაო, ლაზარ ბატონო!
წვიმა გაჩქარებულაო, ლაზარ ბატონო!
ცხრილი აგორებულაო, ლაზარ ბატონო!
ღმერთო, ღაგნამე, ღაგნამე, ლაზარ ბატონო!
მარგალიტის წვიმითაო, ლაზარ ბატონო!
ალარ გვინდა გორიხიო, ლაზარ ბატონო!
ეხლა მოგვე ტალახიო, ლაზარ ბატონო! [159, 353].

ლაზარობის რიტუალი ყველგან იყო საქართველოში გავრცელებული. გვალვისას დაიკლიდნენ დედაკაცები, გალობდნენ, თან დაჟონდათ ხატი, თეთრი ფარჩის (მატყლის) კუჭს გააკეთებდნენ, კარდაკარ სიარულისას მას წყალს ასხამდნენ და მღეროდნენ [176, 145]:

ლაზარეკო, ლაზო
აზანზარებს მთასო
ჩეენ არ გვინდა წვიმა, წყალი,
ღმერთო, მოგვე მზე და მთვარე,
ღმერთო, გამოადრევიო...
[თსუფა, № 16423].

ყურადღებას იქცევს ლაზარობის ტექსტების ზოგი მოტივი. ტექსტებში ხშირად გვხვდება „ცხავი აცხავებულა, წვიმა აჩქარებულა...“, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ცხავი ლაზარობის ტექსტებში დასტურდება, როგორც წვიმის სიმბოლო [88, 154]. ჩვენი აზრით, ცხავის ხსენება, შესაძლოა, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ტექსტებში, რომლებიც გულისხმობენ კარდაკარ ჩამოვლას სანოვაგის შესაგროვებლად, ხშირად არის ნახსენები საოჯახო ნივთები (ცხავი, ცხრილი, გობი, საცერი...), იმ მიზნით, რომ სანოვაგის მომზადების სურათი წარმოვიდგინონ:

... ადგა ქალი, დაძრა ტანი
ქვეშ გობია, ზედ საცერი,
ალვა ცრა და მუშკი ზილა,
აცხო იმან ქადა პური... [106, 108].

გასათვალისწინებულია, ასევე, ის გარემოებაც, რომ წვიმის გამოწვევის რიტუალის დროს საოჯახო ნივთებს იყენებდნენ ხმაურის გამო-

საწევევადაც, რომ დაეფრთხოთ პარტიი მყოფი დემონები: „მაგარი წვიმა რომ მოვიდოდა, დად ქვაბს გადმოაპირევაებდნენ და ეზოში დადებდნენ, გადაიღებდა“ [თსუფა, № 24340]. ასეთივე წარმოდგენები ფართოდ იყო გავრცელებული სხვა ქვეყნებშიც [425, 463].

საყურადღებოა, ასევე მოტივი ლაზარეს (გონჯას) მთვარესთან გაიგივებისა („ლაზარ მოდგა თაროსა, დაემსგავსა მთვარესა...“ და ა. შ.) ცნობილია, რომ მთვარე, მისი ფაზების ცვლა გავლენას აძლენდა ამინდის ცვალებადობაზე, რამაც ასახვა პპოვა მითოპოეტურ წარმოდგენებშიც. მთვარის სახით ევლინებოდა მონადირეს ნადირთ (ლრუბელთ) პატრონიც, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია ამინდის გამცებლობაც იყო [54, 72].

გვალვის დროს ჩამოვლისას მესხეთში მთვარეს ეველრებოდნენ წვიმის, ნამის ბოძებას¹⁹.

დვდამთვარეს ვენაცვალე,
ჩვენი საჩჩო მოგვეც მალე,
წვიმა მოგვე კეთილი,
ჩვენთვის გვინდ წვიმა კარგი,
დაგვიღამოს კეთილი*.

სამეგრელოს ხანგრძლივი გვალვით შეწუხებული ხალხი ზეციერა ღმერთს მიმართავდა ლოცვა-ველრებით:

გეხეწები: ზეციერო ღმერთო,
კაცთა წვიმა გვიწყალობე,
დანამე გოროხი,
რაც კი დღემდე გაახმე,
არ გამოკეტო, არ დაწვა
ჩვენი ბედის კოლოფი [199, 73].

ამინდის მართვის ხალხური წეს-ჩვეულებების შესრულებას, თითქოს, გარკვეული თარიღი არც უნდა ჰქონოდა და ჭირბი წვიმის ან ხანგრძლივი გვალვის კონკრეტულ შემთხვევებს უნდა დაკავშირებოდა, მაგრამ ხალხის საუკუნოვანი გადმოცემების, დაკვირვების საფუძველზე. წლის განმავლობაში მონიშნავდნენ ხოლმე მიჯნებს, როცა ამინდის ჭირვეულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „ბედიანმა ყანა მოხნა, დათესა და ნამიც მოხვდაო“, — ამბობს ქართული ანდაზა.

ამინდის მართვის თვალსაზრისით, ხალხურ კალენდარში მაისობები გამოირჩევა. ეს ის პერიოდია, როცა ხვნა-თევსა, ძირითადად, დასრულებულია და გლეხის მთავარ საზრუნავს ნათესებისათვის, მიწის

* ავტორის საელე მასალები, რვ. № 4, გვ. 61.

ნაყოფერებისათვის აუცილებელი წამისა და სინოტივის მოპოვება შეაღენს (მაისის წვიმა ოქროაო). მაისის პირველი რიცხვებიდანვე იწყებოდნენ საგანგებო წეს-ჩვეულებების შესრულებას:

„პრველ მაისს, ზოგჯერ უფრო ადრე, ქართველების ყველა წლოვანების ტოლ-ტოლი ქალები რეა წლიდგან ვიდრე ორმოცდაათ წლამდე — შეიკრიბებიან ერთად და იწყებენ სოფელში კომლეულად სიარულს „ლაზარზედ“ [210].

ხალხურ კალენდარში გამოირჩეოდა შვიდმაისობა, რომელიც კოხის საწინააღმდეგოდ „შეწირულ“ დღედ ითვლებოდა, ამ დღეს ხალხი ფანებში არ დადიოდა, იხდიდა საგანგებო დღეობას, კოხინჯრობას.

„ღროებაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ასე აღწერს შვიდმაისობის დღესასწაულს: კაკლის ქვეშ გაშლილ ლურჯ ჭრელ სუფრებს დედაკაცები მოსხდომიან: „ქალებო! მოდით და ერთი კიდევ ჩავკლაკნოთ ჩვენი „ლაზარე“ და ვსთხოვოთ გამჩენელს ღმერთს, რომ შეისმინს ჩვენი ვეძრება და მოსცეს ქვეყანას წევმა“.

მერე იმღერეს მაყრული, სამგზავრო და ვინ იცის რა ღილინები არა! „გაშო მზეო, გამიგონეც“ კი არ დააგდეს უმღერლათ... შეგროვდნენ ყველანი ერთად და „ლაზარეს“ სიმღერით გასწიეს მდინარისკენ...“ წყალში ჭიდაობის შემდეგ მართლაც გაწვიმებულა: „ვერ დავა-ქუხეთ, აა! ვენაცვალე ჩვენ ლაზარეს!“ [210].

ამ დღეს ქალები ფოჩიან გვირგვინებს იდგამენ თავზე, ტოტები კოჭებამდე სცემდათ, თან მღეროდნენ:

შვიდმაისის ნამი,
თვაზე დამჟფინა,
შვიდ-შვიდი ნაწნავი,
ზურგზე დამჟება [236, 83—84].

შვიდმაისის წვიმას თმებს უშვერდნენ, სველდებოდნენ:

შვიდმაისის წვიმაო,
კოჭამდის თმა დაგიფინვო
(საველე მასალა, რვ. № 5, გვ. 45).

ხალხის რწმენით, მაისის წვიმა თმებს ზრდიდა, შესაბამისად, იგი დედამცწის თმების“, მცენარეული საფარის ზრდასაც იწვევდა. საგულისხმოა. რომ მთის სათიბებში, ერთ ბალას ქალის თმას ეძახიან [117, 189].

შვიდმაისობას თუ წვიმა მოვიდოდა, იტყოდნენ: „რა მაღლი მოხდა, წყალობაა. წყალობაო!“

შვიდი მაისის წვიმის მაღლზე ბევრი ანდაზა ლაპარაკობს:

„შვიდ მაისის წევიძად არა ღირსო“;

„შვიდ მაისს რომ შვიდი ძირი ყანა იდგეს, შვიდ მაისის წევიძად რომ მოხვდეს, მაინც ყანად იქცევაო;“

„შვიდ მაისის წევიძაო, შვიდ ათასად იქცევაო;“

„შვიდ მაისის წევიძაო, შვიდიას თუმნად ღირდაო, საწყალსა და არას მქონეს აღარ გაუჭირდაო“ და სხვა.

7 მაისის ხალხური კალენდრით ერთგვარი მიჯნა იყო გაზაფხულსა და ზაფხულს შორის, უკვე ზაფხული შედიოდა ძალაში და გაზაფხულის ჭირვეულობა აღარ იყო საშიძი:

... ბანიდან მარტი ჩასძახის:

— კუდავ, გამოდი კარშია!

— შვიდ მაისობას გამოვალ,

გადავგორდები ლაფშია! [195, 44].

მაისის დასაწყისი იყო ის კალენდარული მიჯნა, როცა ნათესები-სათვის აუცილებელი იყო მაცოცხლებელი ნამი. მაისში უწევიმობა „აოხრებდა ყანებს და საძოვარ ბალახს“ [210]. ხალხური გამოცდილებით, სასარგებლო და საჭირო იყო მაისის წევიძა საერთოდ:

მაისის წევიძა ოქრო და

ივანობისა — ერცხლი,

კვირცვების თვისა — მღულარე და

ავისტოსა — ცეცხლი [359, 85].

კონკრეტულად მაინცდამაინც შვიდ მაისს არ აღინიშნებოდა, რვა-შიც იხდიდნენ, ცხრაშიც და მერჩუ, მოსავლის აღებამდე [437].

გაღმოცვმათა უმრავლესობა კოხობას სეტყვას უკავშირებს: „კოხი ცოცხალი ახსება ეგონა ხალხს... მის მოსამაღლიერებლად ლოცულობდა, მას აქვებდა, ადიდებდა, მსხვერპლს სწირავდა, ღამეს უთევდა, დღეობას იხდიდა“ [ფ. არქ. № 17363].

ხალხური კალენდრის წესები, რომლებიც გაზაფხულზე, მაისის დასაწყისიდან სრულდებოდა, შვიდ მაისს, როგორც ჩანს, ქრისტიანული ჯვარპატიოსნობის დღესასწაულის გავლენით დაუკავშირდა. ხალხური კალენდრის დღეობა შეერწყა იერუსალიმში ჯვრის გამოჩენის ქრისტიანულ დღესასწაულს (იოანე ზოსიმეს კალენდრით, „გოლგოთს გამოჩინება ზეცით პატიოსნისა ჯუარისა, 351 წ.). ქართული ტრადიციით, შვიდი მაისი მცხეთის ჯვრის აღმართვის დღეა. საქართველოში ნიშნად იმისა, რომ „ქრისტე ურიათა საროსა, ნაძვსა და ფიჭვსა ზედან ჯვარს აცვეს“, მეფის და ერის მოქცევის შემდეგ მოჭრეს საღმრთო კვართზე ამოსული ხე და ოღმართეს სვეტიცხოვლის ძელი, რომელიც

ქართველთა გაერისტიანების წმინდა სიმბოლოდ იქცა („მოქცევისა ჩევნისა ნიშანი“ [72, 70]): „მაშინ თუესა მაისსა ერთსა შექმნეს ჭუარნი ეშვე და შედსა ამის თვისასა აღმართნეს...“ [180, 120].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ შვიდმაისობის წესჩვეულებები, რომლებიც ხალხური მკურნალობის წესებს უკავშირდება, სამკურნალო მცენარეთა შეგროვება, სისხლის გაღება, ამ ღლეს და ა. შ. უნდა აიხსნას აღმოსავლურ თქმულებებსა და მთოლოგიაში გავრცელებული მოტივით შვიდის ღვთაებრიობის შესახებ. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც ამოსავალია ქრისტიანული ტრადიცია, რაც დასტურდება ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში. შვიდ მაისს აღმართულ საროს ისევე, როგორც სხვა რელიგიურ რელიგიებს, სასწაულებრივი განკურნების უნარი გააჩნდა: „...ოდეს დაჭრილი ნაღირი შეეხებოდა ამ ხესა, განიკურნებოდა. აგრეთვე ავადმყოფნი, ანუ ფრინველნი მტკიცნეულნი განიკურნებოდნენ“ [72, 70].

მცხეთის ცხოველმყოფელი სვეტის ერთ-ერთი ზებუნებრივი ნიშანი ავადმყოფთა კურნება იყო. მისი ძირიდან ამოედინებოდა „ცხონებად მიმყანებული სითხე“, წყარო, „რომელი აღმოაცენეს ცრემლთა წმინდისა ნინოსთა“: „ნეტარი ნინო ცრემლთა შეაზავებდა წყაროსა მას და იქმნებოდა კურნებანი და სასწაულნი ღიღინი“ [180, 120—121].

ძველ ქართულ ხელნაწერებში ჩაწერილ ლოცების ტექსტებში სვეტი ცხოველი სხვა ხატ-სალოცავებთან და მკურნალ წმინდანებთან ერთად მოიხსენიება: „წმინდანო ქალწულნო ქალნო: თეკლე, ირინე, მარინე, ბარბარა, წმინდაო პატიოსანო ჯვარო ცხოველმყოფელო შეეწივნეთ, დაიგსენით ყოვლისა ჭირისაგან, მოსავი თქვენი სახელით იხსენით სენისა, სნებისა, ცხროსა და კურვებისაგან...“ [მსე, 16—17, 275].

შეიდგამაისის წვიმის სამკურნალო დანიშნულების მოტივი ქართულ ზღაპრებშიც დამკვიდრდა. „ქალქვის“ ზღაპარში ირემი ცათამდე მიბჯენილ რქებს მაისის წყლით დაიცვენს [64, 53]. „სამი ძმის“ ზღაპარში კი საიქიოდან დაბრუნებული ვაჟი ირემს ასეთ პასუხს მოუტანს: „შვიდ მაისის წყალი დალიოს და გასცვინდებაო“ [ბსკიფა, ს. № 2, გვ. 183—186].

გაზაფხულზე განსაყუთრებული რწმენით ეგებებოდნენ პირველ წვიმას, პირველ ქუხილს. ამ ღროს სამჯერ დაიძახებდნენ:

თავ რკინა, გული მაგარი,
ჩვენი ყანა გამძლარი,
ლექებისა დამპალი [103, 173].

ან:

ზურგი, ზურგი მაგარა,
ჩენი ყანა გამაძლარა,
ლექებისა დამპალა [253, 82].

ამ სიტყვებით ზურგზე ქვას დაიღებდნენ, შემდეგ კი იმ ქვას იმ
ჰეზე დადებდნენ, რომელიც არ ისხამდა.

გაზაფხულის პირეელ წვიმის შემდეგი ხალხური ლექსითაც ეგვ-
ბებოდნენ:

წვიმა, წვიმა, დაუშვე,
კოჭობანში ჩაუშვე,
კოჭობანი დიდია,
ლობიოს გუმერია... [164, 48].

მიუხედავად იმისა, რომ ამინდის მართვის რიტუალურმა ტექსტმა
გარკვეული ცვლილებები განიცადა, იცვლებოდა მიმართვის ობიექტები
და ა. შ., შეიძლება ითქვას, რომ ამ ტექსტების ფუნქცია და, ნაწილობ-
რივ, პოეტური შინაარსიც თითქმის უცვლელი დარჩა.

ლაზარობის ერთ-ერთ ტექსტში დედოფალა შეკითხვაზე, თუ რას
ისურვებდა იგი, პასუხობს:

ხაროები სავსე იყოსო,
კოლოები ბლომად იყოსო.

ამინდის საგაზაფხულო რიტუალურ ტექსტებში ხშირად იხსენიება
შწერები, ჭიები, სხვადასხვა ქვემდრომები, რომლებიც გაზაფხულის სი-
თბოს გამოყავდა მიწიდან. ამგვარ კონტექსტში განიხილავს კოტეტი-
შეილი „მუმლი მუხას“: „მწერები, ჭია და ბუზანკალი ამინდსა და მო-
სავლიანობასთან არიან დაკავშირებული“ [89, 409].

გაზაფხულის პირველი წვიმის დროს სახლის ბანზე ავიდოდნენ,
ერდოდან სველ მიწას ჩამოყრიდნენ და დაიძახებდნენ:

ჭია ჭუა გადავყარეო,
კარდის კონა ჩამოვყარეო [106, 110].

ჭია. ისევე როგორც სხვა ფენოლოგიური ინდიკატორები მნიშვნე-
ლოვან როლს ასრულებდნენ ხალხის სამეურნეო ყოფაში. ხალხური
მეტეოროლოგიური დაკვირვებებით ჭიას თუ გაჭყლეტ, იმ დღეს გა-
წვიმდება; გაზაფხულზე ბაყაყს პირველად თუ დაინახავ, კარგი წელი
იქნება; ბაყაყის ყიყინი წვიმის მოაწევებს; ჭიანჭველების, კოლოების
სიმრავლე წვიმიან ამინდს, ე. ი. მოსავლიან, ბარაქიან წელიწადს ნიშ-
ნავს და ა. შ. [358, 228—251; 388, 57—62; 406, 229].

ბაყაყთან დაკავშირებულ ფენოლოგიურ დაკვირვებებს შეესაბაშება ს. მაკალათიას შემდეგი ცნობაც: „გაზაფხულზე ბაყაყის ყიყინისას შესხეთ-ჯავახეთში შემდეგ დიალოგს ასრულებდნენ:

- ყარნი ყაყანებენ, რას ყაყანებენ?
- ჩვენს ხარებს ქედები არ ასტყივდესო.
- ყარნი ყაყანებენ, რას ყაყანებენ?
- ჩვენს ძროხებს ძუძუები არ ასტყივდესო,
- ყარნი ყაყანებენ, რას ყაყანებენ?
- ჩვენს ცხრებს ძუძუები არ ასტყივდესო! და ა. შ. [106, 110].

ქალენდარულ ციკლში გავრცელებული იყო ხალხურ გამოცდილებაზე ღაფუძნებული ლექსები, ე. წ. მეტეოროლოგიური შინაარსისა. საყოველთაოდ იყო გავრცელებული კალენდარული დღეობების დროს მკითხაობა ამინდზე, მოსავალზე. ხალხური ჩამონით, ამაღლება დღეს კარგი დარი მდიდარ მოსავალზე მოასწავებდა:

ალდგომა სჭობს ნამიანი,
ამალლება დარიანი,
სხვას კი არას მოასწავებს
პური მოდის ძალიანი [191, 43].

ამინდის რიტუალურ ტექსტებში ხშირად ერთად იხსენიება ლაზარე და ელია. წმინდა ელიაც, ქართული ხალხური წარმოდგენებით, ამინდის მფარველი და გამგებელია, თავდაპირველად, უნდა ვიგულის-ხმოთ, რომ ლაზარობა და ელიობა ამინდის რიტუალის ორ სხვადასხვა კალენდარულ მიჯნას გულისხმობდა, ლაზარობა გაზაფხულის ციკლის დღეობაა. ელიობა კი — ზაფხულისა, 20 ივლისი.

როგორც ჩანს, ტექსტები, რომლებიც ერთგვარი სტრუქტურით, პოეტური მოტივებით და ფუნქციური დანიშნულებით ხასიათდება, შეერია ერთმანეთს და, ფაქტიურად, შეუძლებელია ლაზარობის და ელიობის რეპერტუარის გამიჯნა ერთმანეთისაგან.

წმინდა ილიას ქრისტიანულ დღესასწაულს (ძვ. სტ. 20 ივლისი) სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი ტრადიციული წარმოდგენა და წეს-ჩვეულება დაუკავშირდა. ეს განსაკუთრებით ითქმის აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნების შესახებ (საბერძნეთი, ბულგარეთი, რუსეთი), სა-დაც წმ. ილია გვევლინება ამინდის, მოსავლიანობის გამგებლად. „ლოცვითა შენითა გახმენ ცვარნი წვიმისანი“, — მიმართავლნენ ქრისტიანულ სალოცავებში წმინდანს, რომელიც „თავისი მიწიერი ცხოვრების დროს სასწაულებრივად მოველენდა ხოლმე გვალვას თუ მაცოცხლებელ წვიმას და ნაყოფიერებას ანიჭებდა მას“ [417, 84]. ანალოგიური

წარმოდგენები დაუკავშირდა წმ. ელიას (ილიას) სახელს საქართველოშიც:

... ცაში დეიძვრა ღრუბელი, წიმოვა ნიალვარია,
ჩეილი ყლორტი ძირს ჩამოვა, დარჩება ხმელი სარია.
შეეხეხეშოთ ელიასა, ავანთოთ კელატარია [189, 169].

თქმულებაში „იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმ. გიორგი, ელია ეუზნება გლეხს: „მე ელია ვარ, პურის მოსავალს გაძლევთ, თქვენ ყანას წვიმას ვუგზავნი ხოლმე და გლეხყაცის ჭირნახულს მფარველობას ვუწევო“.

წმიდა ელიას ზოგჯერ გვალვის თავიდან აცილებას ეველრებიან:

აქ, ელია, ელია, ღრუბლებქვეშა მღერია,
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა, შენ მოგვიყვან წვიმასა [188, 109].

აქ უნდა გავიხსენოთ ბიბლიური გადმოცემა, რომლის თანაბძადაც ილია თეზბიტელმა ცოდვილ აქაბ მეფეს გვალვა მოუვლინა ღვთის რისხვად (მეფეთა წიგნი, III, 18). ამ ამბაეს ასე გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“: „არა იყო მათ უამთა შინა თესვა, და არცა ჟენება ყოვლადვე, ვითარ დღეთა აქაბ მეფისათა ილიას მიერ სამ წელ და სამ-ექუს თუე“ [181, 310].

წმინდა ელიას დღეობაზე (20 ივლისს) კლავდინენ სხვადასხვა სამსხეერპლო ცხოველს (ხბოს, ცხვარს, ხარს, მოზვერს):

ორობეში ტალახი, მინდვრის ბოლოს ბალახი,
თეთრი ფური ფურბერწი შენთვის მოგვირთმევია,
თეთრი თხა და ციკანი თქვენთვის მოგვირთმევია,
ეს ელია, ელია, რასა მოგვწყენა [176, 145].

ივლისის დიღი დღეობის, ელიობის, მთავარ საველრებელს სწორედ სეტყვისა და ჭარბი წვიმისაგან მფარველობის თხოვნა შეადგენდა, რადგან „ხანდახან გაგიუებული ელია წინამდლვარი“ [174, 241] მავნებელ ავდარს მოავლენდა:

...მაშინვე კაცი გაგზავნა, დაიბარა ზენა ქარი:
მანდედან რა წამოხვიდე, წამოიდე ქარიშხალი,
სულ შუშტის ტოლა ისროლე 3-4 წირეს ხანი
ბანები სულ გადალესე, ალარ ჩანდეს ერდო-კარი,
ჯამ-ჯურშელი ააცურე,
როგორც გაძართული პავი [83, 119].

ფოლკლორული ნიშულების მიხედვით, წმ. ილია ბუნების სხვადასხვა ძალებს განაცემს: წვიმებს, ცეკვა-ქუპილს, ელვას, ქარს. ეს დასტურდება ეთნოგრაფიული ხასიათის ჩამატებითაც. კახეთში ფიქსირებუ-

ლი მასალის მიხედვით, „20 ივლისს ეველრებოდნენ ელიას ქარი არ ამოქარდნილიყო“ [თსუფა, № 12361].

ელიობას ზოგჯერ ელვის დღეობად მიიჩნევდნენ (ისევე, როგორც ხარება, თითქოს, ხარის დღეობაა): „ელიობა ელვის დღეობაა. 20 მეათაფეს დღესასწაულობდნენ. ეშინიათ ხეხილი, ყანები არ მოელვოს“ [ფ. ოქ., № 17367].

რ. ერისთავის გადმოცემით, ხალხს წმ. ელია წარმოედგინა ცაზე ცეცხლოვანი ეტლით მსრბოლავ არსებად, რომელიც ელვას იწვევს [47, 47] ისევე, როგორც, სლავების წარმოლგენით, ჰექა-ქუხილის დროს, თითქოს, ელია წინასწარმეტყველი დასეირნობს ცაზე ეტლით [361, 506]. ეტლის წინ მორბენალს წარმოგერიდგენს (ელია) ილია თეზბიტელს ბიბლიური მეფეთა წიგნის შემდეგი პასაკიც: „აღამზადენ ეტლი შენი და შთაედ, ნუუკუ გეწიოს შენ წვიმაი... და იყო, ვითარცა იგი მიმოქცეოდა, ცა დაბნელდა ლრუბელითა და ქარითა და იყო წვიმა ძლიერი“ [მეფეთა წიგნი, III, 18; 44—45]. ბიბლიის ამ პასაკითაა შთაგონებული შემდეგი მხატვრული სახე „ქართლის ცხოვრებისა“. ქართველთა ლაშქრის სისწრაფეზე საუბრისას „ისტორიანი და აზმანის შარავანდედთანის“ ავტორი მას ადარებს სისწრაფეს ილიასას, „სინიასა შინა წვიმისა ერთი ლრუბლითა შემკრებელისა ანუ თუ ელვისა ეტლითა აღმავალისა“ [181, 16].

სიტყვის გარეგანი მსგავსების გამო დაუკავშირა ხალხმა ელიობას იული. სამეცნიეროში „ამ დღეს სახლის წინ იელს დაასობდნენ და ლოცულობდნენ“:

წმინდა ელია, გვაძატია,
შეგვინდე ურჩისა მონებასაო [თსუფა, № 12206].

ელიას, სხვა წმინდანებთან ერთად, სეტყვის თავიდან აშორებასაც ეველრებოდნენ:

გაუგარჯოს ელიასაო,
ხირსის წმ. სტეფანესაო,
რომ მინდორს სეტყვა არ მოიყვანოსო [თსუფა, № 198, 45].

სვანეთში, სადაც ელიობას უქმობდნენ ელვა-ქუხილის, წვიმისა და სეტყვის თავიდან ასაცილებლად, სწომდათ, რომ „სეტყვა ბრმა არის. წინამძღვანელად მას ეშმაკი ჰყავს მიჩენილი და დროვამოშვებით მოისურებს ქვეყნად გასეირნებას... წასვლის წინად სეტყვა სთხოვს ეშმაკს, სოფლების ახლო და ნამეტნავად ყანებზე არსად გამატაროვო. მაგრამ ეშმაკა ატყუებს: განგებ გაუძღვება დათესილ ყანებში“. სეტყ-

ვის საწინააღმდეგოდ ზოგ სოფელში შემდეგ შელოცვა-სიმღერას ამ-ბობენ:

კარუციალო ბერიერო! ლელე-ლელე იარეო,
კოხის წინა მძლომელო, გვიშველე,
გვიშველე უენის მადლისათვის,
მთვარარანგელოზო, გვიშველე [127, 146].

ასეთივე ლოცვით მიმართავდნენ წმ. ელიასაც [427, 129]. სეანების რწმენით, ჰექა-ჭუხილი ცაზე დევების ბრძოლის შედეგად ხდებოდა: „როცა ცაზე დევები ჩხუბობენ, შეგახებისას ქუხილს იწვევენ, თოფის გასროლისას კი — ელვას“ [47, 221]. ან ასე წარმოოდგინათ: „ეშმაკები სპილენძის ქვაბს აგორებენ და იმისგან არის ქუხილი“ [127, 146].

ჯავახეთში ულვისას იტყოდნენ: „ბრმა ელია ეშურება გორების-კენ“. თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ლეგენდის მიხედვითაც, ელია ბრმა არის და ავი სულების ჩაგონებით მოუვლენს ხოლმე აღამიანებს სეტყვას: „ბრმა ელია უძლვება წინ სეტყვასა და წვიმას. რადგანაც ბრმა არის, იმიტომ ვეღარა ჰედავს ქვეყანას და ხან საღ დაპკრავს სე-ტყვას და ხან საღ“ [242, 118].

ელიობის დღვესასწაულის აღწერილობებში ბშირადაა ხაზგასმული, რომ ამ დღეს აღიოდნენ „მაღლა, სერზე, მთაზე“ და ა. შ. „ამინდის მავიური მართვის მიზნით მაღალ მთაზე მასობრივი ასელისა და ტარო-სის ღვთაებისადმი ვეღრების წარმართული ჩვეულების შესრულებას“ ადგილი ჰქონდა შუამთობის დღესასწაულისას აჭარაშიც, რომელიც დაახლოებით იმავე დროს იმართებოდა, ივლისის ბოლოს. საინტერე-სოა ისიც, რომ „მუსლიმანური საეკლესიო პირები ცოდვად მიიჩნევ-დნენ ამ ტრადიციულ ხალხურ დღესასწაულს“ [62].

წმინდა ელიას ვინაობა დავიწყებულია აჭარაში, მაგრამ ქობულე-თის რ-ნის სოფლებში დღემდეა შემორჩენილი მისი სახელის და ამინ-დის რიტუალთან მისი კავშირის ხსოვნა: ელიობასო, იტყვიან, ნისლი ან სოფელში დარჩება, ან მთაში წავაო.

ელიას ციხე, გადმოცემით, თამარის აშენებულია. ამ ციხის ნან-გრევები რამდენიმე სოფლიდან მოსჩანს და მის სახელთან გარკვეული თქმულებებიცაა დაკავშირებული: „ელიას ციხე ძველი ყოფილა. ელიას აუზიდია ქვა, კინტრიშიდან, ოთხი თახი აუშენებია, ნაქართველა-რიაო“*.

ელიას ციხეზე გამოუთქვამს შემდეგი ლექსი ერთ-ერთ სახალხო მთქმელს გურიიდან:

* ავტ. საველე მასალები, რვ. II, გვ. 18.

ელიას მთაო, მაღალი, წინდა ელიას სახლ-კარო,
რას იბურები ღრუბლებში, მაშინებ, ვერ გადახელო,
ჩატურად (მსტოკრად) სიოს მიგზავნი, ყურში ჩამძახი ტყე ხარო,
წმინდა გიორგი მწყალობს და გული მიჩივა ჩახვალო.
რისთვის ირჯები, რას მერჩი, ფეხშემორკილი გვახარო,
ერთი ყელამდე ამიშეო, ქვემოთკენ თავი დაეხარო,
ეელარ დამიჭრ, თუ გინდა თავს რისხვა გადამყარო,
ელჭექო, ჭეჭა-ქუხილით რომ შესძრა მთელი სამყარო,
ხოშეაკლით, თოლის ზვავებით, სავალი გზვბი დაფარო,
ყველამდი თოვლში ჩაფლულო, გვგონოს ვერ წამიხეალო,
მოგიყდე, თვარ გათქმევინო, ვჟეკაცი დეგას გაეხარო*.

ელიას სახელი ისმის აჭარაში სხვადასხვა ტოპონიმებში (ელია-წმინდა, ხულოში), ასევე შელოცვებში (ელია, მელისა... ელი მუა ელითა... და ა. შ.). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ელიობას უკავ-შირებენ თიბევის, ლეწვის, კალოობის, მოსავლის აღების დაწყებას. ხალხურ კალვნდარში ელიობა ერთგვარად დაკავშირებული იყო საშე-მოდგომო ციკლზე გადასვლასთან: ელიობას საღილობამდე ზაფხულია და საღილობის შემდეგ — შემოდგომაო, — ამბობდნენ ხალხში.

სეტყვის, ჭეჭა-ქუხილის, ულვისა თუ ბუნების სხვა მრისხანე და საშიში მოვლენების დაკავშირება დემონურ ძალებთან, ავ სულებთან, მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული, შესაძლოა, მსგავსი წარმოდგენების გამო დაუკავშირდა წმ. ელიას დღეობას საქართველოში წარმოდგენები, რომ ამ დღეს ავი სულები, ეშმაკები, მზაკვარნი მოედებიან ქვეყანას და მხიარულ თავყრილობებს მართავენ [425, 458].

ცნობილია, რომ „იყო განსაზღვრული დღეები წლის განმავლობაში, როცა გრძენეულები და კუდიანები განსაკუთრებული ხალისით მიემგზავრებოდნენ ხოლმე თავიანთ უწმინდურ თემობაზე“ (ვალპურგიის ღამე 1 მაისს, წმინდა იოანეს დღე 24 ივნისს და ა. შ.), [425, 458]. ასეთ დღეობებზე მათ დასაფრთხობად აწყობდნენ ღამისთევებს, ანთებუნენ კოკონებს, სანთლებს.

ასეთ საშიშ, კვიმატ დღეებად საქართველოში მიჩნეული იყო ვნების კვირის ხუთშაბათი, დაღეები (1 სექტემბერი), ღვთისმშობლის მიძინების და ელიობის წინა დღეები. ელიობის წინა ღამით იმართებოდა სამეცნიეროში ჭეჭეთობა (ავი სულების განდევნის დღე): „ჭეჭეთობა ღამეს კუდიანები დადიან და ყველაფერს თვალივენ. ჭეჭეთობა ღამეს იციან თავშეურა, დიდ ცეცხლს ანთებენ, რათა კუდიანები გაფანტონ. შემდეგ მღერიან, ცეკვავენ გათენებამდე [თსუფა, № 11134].

* ქობულეთის რაიონის კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1981, გვ. 9.

ჭეჭეთობას ხალხის რწმენით, კუდიანები, მჩხიბავები, მზაკვალნი ტაბაკონის მთაზე იყრებიან. ამ დღეს ჩვეულებადა აქვთ კოცონების დანიება და ზედ გადახტომა, ეშმაკებმა რომ არ დაიბუდონ მათ ტანში, თანაც მლერიან:

მჩხიბავები ჩხიბვის დღეს,
ნეტავ სულ არ იყოს,
ტაბაკონისკენ აპირებდნენ
საქონლის გარეკვას,
იქ იქნებიან მოლხენაში,
იმღერებენ და ილეკვებენ,
ვაი, სულო საყვარელო,
მჩხიბავები (ნეტავ) არ იყვნენ,
რაც შამფურებია,
ზელა გაავარვარა,
ვინც მჩხიბავია,
იმის თვალებში ჩარქო [221, 67].

ეშმაკეულთა გასაფანტავად „ლამით ფხიზლობდნენ, ბუქს უკრავ-
ლნენ, ისროლნენ თოფს, ერთობოლნენ სიმღერითა და ფერხულებით
[334, 231]. სხვადასხვაგვარი ხმაურით, ზარების რეკვით, ავი სულე-
ბისა და ჭეჭა-ჭუხილის დემონების განდევნის ჩვეულება ბევრგან იყო
გავრცელებული და თან არა მარტო ქრისტიანულ ქვეყნებში.

ამ დღეს ეშმაკების თუ კუდიანების დასაფრთხობად ჩვენში იელის,
თხმელას ან სხვა მცენარის ტოტებისაგან გაკეთებულ ჯვრებს დაასობ-
დნენ ეზოში, „რათა თუ ლამით ეშმაკი, მზაკვარი ან ავი სული გამო-
იყლის, პირველად ეს ჯვარი უცეს თვალში, რათა ოჯახი არ გაითვა-
ლოსო“ [თსუფა, № 21305]. ამ მიზნით ასობდნენ ჯვრებს ყანებში,
თმებში სანთლებს „იბეჭდავდნენ“ [427, 102].

ელიობას ანთებულ სანთლებს და მცენარეთა ტოტებისაგნ გაკე-
თებულ ჯვრებს ამაგრებდნენ ყანებში, ბოსტნებში, ვენახებში, მარნებ-
ში, ბოსლებში, სახლებზე, საბუდარებზე და ა. შ. წმ. ელიას ევედრე-
ბოდნენ:

წმ. ელია, დიდებულო,
ჩემისაზე ჯვარი დამიწერე,
და შენ ლაითარე
ჩემი ნაშრომი (მონაგარი),

[თსუფა № 11334].

როგორც ალვნიშნეთ, ელიაობის გარდა, წლის განმავლობაში გა-
მოაჩიევდნენ ხოლმე სხვა დღეებსაც, რომლებიც საშიშ, ნავსიან, კვი-
მატ დღეებად იყო მიჩნეული. ამ დღეებში საქართველოს თითქმის ყვე-
ლა კუთხეში ისმოდა ყანებში, ვენახებსა თუ ეზოებში გაჩაღებული
54

კოცონების ირგვლივ კუდიანების, ავი სულების, სხვადასხვა დემონური ძალების დასაფრთხობი შეძახილები:

ჯვარი აქა, ჯვარი აქა!
შენი სვი და შენი კამე
ჩვენსას ჯვარი დაგვიწვრე,
უუ, კულანებო! [427, 101—102].

მიუხედავად ეკლესის მხრიდან აკრძალვებისა, ავი სულების გასაღენად კოცონების დანთება და ზედ გადახტომა, შელოცვების წარმოთქმა საყოველთაოდ იყო გავრცელებული: „დიდ-მარხვის ვნების კვირის ოთხშაბათს დაგრჩენია ძველი ჩვეულება ცეცხლით განწმენდისა მაგნე სულთა გავლენისაგან. აბრიალებენ ამ დღეს თივას ან ბურბუშელას, ზედ გადაახტებიან სამჯერ დიდი თუ პატარა და თან ამბობენ: „ალული კუდიანებსა“, ე. ი. ალი კუდიანებსაო“ [237, 11].

აღდგომის კვირის ხუთშაბათ დღესაც ცეცხლს უვლიდნენ ირგვლივ და იძახნენ:

წია, წია, კოკონია
ჩვენს კვერცხებსა გამოდგომა,
სხეის კვერცხებსა ჩხალა-ჩხული,
ჩვენს ბუღეში ლორისთავი,
სხეის ბუღეში ძალის თავი
[ფ. არქ. ს. № 103, გვ. 19].

ამ დღეებში გავრცელებული იყო, აგრეთვე სხვადასხვა საგნებით ზმაურის გამოწვევის ჩვეულება: „უვლიან ეზოს, ურტყამენ ქვაბს რკინის ნატეხს“, ან „მოურასუნებენ რკინა-ქვას ერთი მეორეს და გასცვინდებან კუდიანები“ [ფ. არქ. № 17369, 34889]. ჩწმენა იმის შესახებ, რომ ავი სულების, დემონების, დაფრთხობა შეიძლებოდა მეტალის ხმით, ბევრგან იყო გავრცელებული [425, 453].

კუდიანების „ფეხის შესაკრავად“ გაზაფხულზე ახლადშეფოთლილ და აყვავებულ ხეთა თუ მცენარეთა ტოტებს ჩასობდნენ ყანებში, ვენახებში, ეზოებში, ჩაუყრიდნენ საქონელს ბაგაში, მორთავდნენ სახლის ფანჯრებს: „აღდგომის კვირაში... თხილის ტოტს, ასკილს ადებენ ყველაფერს, ბარაქა რომ არ გაუქრონ კუდიანებმა ფეხის დადგმით, ყანებში, ვენახებში არჭობენ ასკილს, თხილის ჯოხებს, აწყობენ ჭია-კოკონობას“ [32, 59].

წია, წია, კოკონია, წიია კოკონი!
ჩვენს ქალებს ტახის თავი.
სხეის ქალებსა ვირისთავი,
ჩვენს ბუჭერში დიდი ცომი.

სხვის ბუჭერში დიდი ლოდი,
ჩეენ კურებში ღვინო მწვანის,
სხვის კურებში გელ-ბაყაყი,
ჩეენ ბელელში მარცვალი,
სხვის ბელელში ხეარხვალი
[303, 119].

ი. ყიფშიძე აღწერს მეტად საინტერესო რიტუალს, რომელსაც სამეგრელოში ატარებდნენ ვნების კვირაში: ლელქაშის სასტურებით და სალამურებით, მოწყარუნე საგნებით შეიარაღებული ოჯახის წევ-რები უმძრახი ქალიშვილის მეთაურობით პროცესიას აწყობენ და უვ-ლიან სახლს, ბელელს, ფარეხს, საქათმეს, მარანს, თან უსტურენენ, სა-ლამურზე უკრავენ, რეკენ, ხალხის აზრით, სადაც ისინი ფეხს დაბი-ჭებენ, იქ ავი სულები ვერ გაივლიან [334, 398].

სხვადასხვა დემონური ძალების საწინააღმდეგო რიტუალების შეს-რულებისას განსაკუთრებით მსხმოიარე ხეებს, ვენახს შეულოცავდნენ ხოლმე:

ჩეენ ვენახში ძინა-ძინა,
სხვის ვენახში კიბპლა-კუმპლა,
ჩეენ ვენახში ყურძენიო,
სხვის ვენახში ფურცელიო
[თსუფა, № 4921].

„ჭიაკოკონბა“, როგორც ჩანს, ორ რიტუალს აერთიანებს — ჭიის და ვენახის (კოკონი, ღვინის საწყაო) შელოცვისა:

გაზაფხულზე გავრცელებული იყო ჭიის უქმე დღის ლოცვა, ბალ-ბოსტანი ჭიალუებს რომ არ გაეფუჭებინათ, შეულოცავდნენ:

ალული კუდიანებსაო,
ჭიაჭუა გავყაროთ,
ვარდი კონა გადმოვყაროთო,
ალული, ეშმაკებსაო... [106, 109].

დიდ ხუთშაბათს ჭიის შელოცვის მაგიურ რიტუალს ატარებდნენ: „უმძრახი ადამიანი ადგებოდა, დაყრეფდა ბალახს, ავიდოდა მალლა სხვენზე, წალდს აიტანდა ზევით და ბალახს ჭრიდა. ქვევიდან ვინმე დაუძახებდა:

— რას ჭრი?
— ჭია ლუას თავ ვაჭრი” — 3-ჯერ გამეორებდნენ
[თსუფა, № 4921].

გაზაფხულზე, ყველიერში, ვნების კვირაში, როგორც აღვნიშნეთ, ვენახსაც შეულოცავდნენ. ადგილის დედას უცხობდნენ მტევნის ფორმის ქადებს, ვაზის განატეხს და ვენახში ლოცულობდნენ:

ელია, ღრუბელთ წინამძღვარო!
აშორე ჩეენს ვენახებს ელვა,
პექა და ყურძნის ტევნებს ნაცრის მოყრა... [398, 11].

ყველიერში კოკონის უქმესაც იცავდნენ, ამ დღეს ვაზის ხელის ხლება არ შეიძლებაო“ [236, 239].

კოკონი (ლეინის საწყაო) „ჭიაკოკონობის“ შელოცვაშიც გვხვდება („წია, წია, კოკონია, წია, კოკონ...“).

შემოდგომის დაწყებისთანვე, 1 სექტემბერს, დადეგობას, ისევე როგორც ვნების კვირაში დიდ ხუთშაბათს და ელიობას, ყანებში ხის ჯვრებს დაასობდნენ, ნათესების შუაში დადგებოდნენ და შეულოცავ-დნენ.

დადეგობა გურია-აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხებში, გავრცელებული დღეობა იყო. ამ დღეს პაპა-ჯვარს (ჯვარი იელის გვირგვინით) „ყანებში დაარჭობდნენ, სახლს, სამზარეულოს, სასიმინდეს, ბოსვლ-საქათმეს, მარნის კარებს სანთლის პატარა გუნდებს აკრავდნენ, ოჯახის ყველა წევრს, „შებეჭდავდნენ“ სანთლით, თო-თებს ისროდნენ, ყვიროდნენ:

ჰაუჭო! შენი სეი და შენი ჭამე,
ჩემსას ჯვარი დამიწერე“.

კუდიანებმა ბარაქა რომ არ გააუქმონ ფეხის დადგმით, ყანებში, ვენახებში არჭობდნენ ასკილის, თხილის ჯოხებს. ეს ჩვეულება აჭარაშიც ფართოდ იყო გავრცელებული: დადეგ ღამეს ყანაში სიმინდი „შებეჭდენ“, ე. ი. სიმინდის ფურცელს სანთელს მიაკრავენ, რომ ავმასულმა ჭირნახულს ბარაქა არ გამოულიოს“: ყანები შებეჭდე, ჯაზებმა რამე არ აწყენიოსო. იტყვიან ასევე: დადვგობას ავდარს იზამდა, იმ ღამეს ჯაზები გაფრინდებიან-მოფრინდებიან. დაწოლის წინ ამ ღამეს პირზე სამჯერ ჩამოისვამდნენ ხელს, ჯაზი არ ჩაგვიძვრესო და ა. შ.*.

ენახის შელოცვა იცოდნენ მარიამობის დღესაც:

დღეს მარიამობა მობრძანდება,
შენ წყალობა მომეცა მე.
საღაც ავრდე,
ხმელი გამინედლე,

* ავტორის საველე მასალები, რე. № 1, გვ. 48.

ნედლი გამაგრე,
გული გამიმაგრე,
შენი წყალობა მომეცა [188, 147].

ამ ლექსს ვაზთან წარმოთქვამდნენ. ამ დროს სრულდებოდა ხილის, კურნძის ლოცვა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგი გადმოცემა: „ვაზი საერთოდ წმინდა მარიამის გაჩენილია. პატარა მარხვის ღრის მოხუცები მარიამის სახელზე ქვევრს ავსებენ. მარიამ დედას დაუბარებია თხუთმეტი დღე ჩემს მაგივრად იმარხულეთო. მეთექვსმეტი დღეს ქვევრს თავს მოხდიან და ლვინოს სვამენ მარიამ დედის ქვევრიდან“ [თსუფა, № 24339].

კალენდარულ ციკლში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვენახის შელოცვის რიტუალს, აგუნას, რომელიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოში სრულდებოდა: „გურიაში ყველგან, ხოლო სამეგრელოში ზოგ ადგილას კალანდა საღამოს იხდიან აგუნას“ დღესასწაულს. სახლის უფრისი ყველა თავის ოჯახის წევრების თანხლებით ანთებული თაფლის სანთლებით მიდის მარანში ან იქ, სადაც საწნახელი დგას, თან მიაქვთ ხაჭაპურები, მოხარშული ღორის თავი, ღვინო და სხვა. სახლის უფრისი აღლებს ცელს ან თოხს და ყუით დაუწყებს ცემას პირველ ჯამპაბილ საწნახელს და ამასთანავე სიმღერით დაიწყებს შემდეგს:

აგუნა, აგუნა, გაღმეიარეო! ბახვა, ასკანა გამეიარეო!
ოლიჩხუშ-ორკობე გაღმეიტანეო!
ჩევენს მაღლები ყურძენიო, სხეოს მამულში ფურცელო!
ჩევენს ქალებს ყაჭი და აბრეჭუმიო!
სხეოს ქალებს ტარი და კეირის-თავიო!

ამ ტექსტს სამჯერ იმეორებენ [„კვალი“, 1897, № 9].

აგუნას რიტუალი, ჩევეულებრივ, საწნახელთან სრულდებოდა. აპ. წულაძე ასე აგვიწერს ამ ჩევეულებას: „ყველას ხელში უკავია ან კომბალი, ცელი, ნახახი, კურნძის მოსაჭყლეტი ურო, საწნახლის გარშემო ჩამწკრივდებიან, გადაძახებით ასრულებენ: აგუნა, აგუნა, გაღმეიარე, ბახვი, ასკანა, გაღმეიარე...“. დანარჩენები ბანს შესძახებდნენ ხო-ჭო-ხო-ხო-იო და რიტმულად უბრახუნებენ საწნახელს: ჩევენს მამულში ყურძენიო, მტრის მამულში ფურცელიო! ჩევენს ქალებს ჩერიაკვირისთავიო, მტრის ქალებს „ჩხირი“ და ვირისთავიო.

გადამძახებელი ზურგზე „მოიკუტურებს“ პატარა ვაჟს, ჩამოეკიდება ხელთ ვაზს (ამით მან ისურეა ვაზსაც ისეთივე მძიმე მტევნები მოესხა, როგორიც მას ჰყიდია ზურგზე) და გადასძახებს, გადაიმღერებს:

ანალოგიური რიტუალი იმერეთშიც სრულდებოდა, სამეგრელო-
შიც. რაჭა-ლეჩხუმში ოჯახის უფროსი კაცი დაძახებდა:

ანგურამა ჩამერარა. ჩეენი მამული ჩერარაო,
წივი მერტეხაო, ლვანის ლვარი ააყენაო: ისხა, ისხა, ისხა...
გამორმა კვარს თავე,
გაღმა ვარს თავე,
გამორმა ყურძენა.
გაღმა ფურცელი [195, 793].

ამის ძახილით შემოივლილა ვენახს და მერე შინ შემოვიდოდა. .

აგუნას რიტუალს საგაზაფხულო ციკლშიც ასრულებდნენ. მ. კე-
ლენქერიძე მას საშემოდგომო ჩვეულებად მიიჩნევდა და ბახუსის, ლვი-
ნის ღმტვრის, მისტერიებს ადარებდა. „წარმატულია აგრეთვე... გუ-
რული საშემოდგომო ჩვეულება აგუნა, რომელიც მოგვაგონებს ბახუ-
სის, ლვინის, შემოდგომის ღმტერთს მისი მისტერიებით“ [185, 15].

აგუნა მიჩნეულია ასევე მიწის და მოსაელის კეთილ ღეთაებად,
მაგრამ მის ფუნქციებში აშეარად იყვეთება ვენახის, ლეინის ღვთაების
კულტი. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ე. ნაკაშიძე აგუნას კერპთაყვა-
ნისმცემლობის დროინდელ მოსავლის მფარეველ ღვთაებად თვლიდა.

აგუნას შელოცვის ტექსტებში ნახსენებ ბახეს და ასკანას უკავ-
შირდებდნენ ბახუსს და ასკანიოსს, ძველბერძნულ ღვთაებებს, და მათ
კულტებს შემოტანილად მიიჩნევდნენ.

საგულისხმოა ი. მეგრულიძის თვალსაზრისი, რომელიც მან „ბეღი
ქართლისაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გამოთქვა“ [№ 48—49,
გვ. 109—111]. ავტორი ითვალისწინებს ლვინის და ვენახის კულტის
სიძველეს და მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიაში, ასევე
იმას, რომ სიტყვა „ღვინო“ როგორც ვარაუდობენ, სწორედ ქართვე-
ლური ენებიდან, დასავლურ-ქართველური სამყაროდან უნდა იყოს
შესული ძველბერძნულსა და, საერთოდ, ინდოეროპულ ენებში და
ასკენის, რომ ბახევი, ასკანა, ისევე როგორც აგუნას კულტი საქართვე-
ლოდან წაიღეს ბერძნებმა, და არა — პარუკუ.

გვხვდება აგუნას ნაკლებადამაჯერებელი ეტიმოლოგიაც. ა. ლე-
კიაშვილი აგუნას უკავშირებს ძველბერძნულ „ჯვარის“ (მებრძოლი)
და წმ. გიორგის კულტს [94, 146].

საგულისხმო ულემენტებია დაცული აგუნას ჩვეულების შემდეგ
აღწერაში (მასალა ჩატერილია სამეგრელოში): გიდელში ჩააწყობენ 4
ხაჭაპურს და პატარა ქალს წააღებინებენ მარანში. ამავე დროს ქალის

შესახვედრად მარნილან გამოდის პატარა ვაჟი, რომელსაც თან მოაქვს ერთი ღოქი ღვინო. ესენი შეხვედრისთანავე დაეტაკებიან ერთმანეთს და ცდილობენ ხაჭაპურის ან ღვინის წართმევას... გამარჯვებული შედის მარანში. საჭიახელზე უჭახუნებს ჭოხს და თან მლერის:

ოი, გილელი, გილელი!
ჩვენ გამულში კი ყურძენიო!
სხვის გამულში მარტო ფურცელიო!

ვაჟმა თუ აჭობა ქალს, მაშინ კარგი მოსაერთო იქნება ღვინისა და პურის, თუ ქალმა აჭობა, მაშინ კი ზევრი მოვა აბრეშუმი და საზოგადოდ ყველაფერი, რასაც ქალები აკეთებენ [348, 15].

ევნახის მოსავალთან დაკავშირებით შემოდგომაზე სხვა რიტუალებიც სრულდებოდა. როველის დღესასწაული რომ ძელთაგანვე დამკვიდრებული ჩვეულება იყო საქართველოში, ამას პარხლის გამაჰმადიანებული ქართველებში შემორჩენილი წესებიც გვიდასტურებს, ექვთიმე თაყაიშვილმა რომ აღწერა: „ტანგახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ და ყურძნის მტევნებს იყიდებენ ტანზე. ეს წესი პარხალს ქვემოთ მდებარე სოფულებშილა“ შემორჩენილა, თვით პარხალში კი მოლები უკრძალავდნენ ახალგაზრდებს ტანთ გახდას. ეს გაშიშვლებული ვაჟები ჩვენებურ აგუნას და კლასიურ ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ“ [218, 2].

საგაზაფხულო რიტუალებში თავს იჩენს გადამფრენ ფრინველთა აულტი, რომელიც ღრმა სიმბოლიზმით ხასიათდება.

აღრე გაზაფხულზე ბუნების გამოლვიდების, ალორძინების პარველიშნებს „ზამთრის გალიიდან განთავისუფლებული ჩიტების“ (ვ. კოტეტიშვილი) ხმებიც გვამცნობს. ხალხის წარმოდგენით, გაზაფხული ჩატებს მოჰყვება ხოლმე თან, ამიტომ იყო, რომ გაზაფხულის მახარობელ ფრინველთა გამოჩენას განსაკუთრებული რწმენით და წეს-ჩვეულებებით, შელოცვებით ხვდებოლნენ.

საქართველოში გაზაფხულის „მომყვან“ ფრინველებად მცრცხალი, შაშვი, გუგული, წერო, ოფოფი, ურნატა და სხვა ჩიტები ითვლებოდა. გავრცელებული იყო რწმენა იმისა, რომ გაზაფხულზე მოფრენილ ფრინველებს უჭმელი კაცის დაძლევის უნარი ჰქონდათ.

გ. რადე ასე ხსნის ქართველებში გავრცელებულ ამ წეს-ჩვეულებას: „ისინი თვლიან..., რომ გადამფრენ ფრინველებს თან მოაქვთ ავად-მყოფობები, რომელთაგან თავის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ საგანგებო მომზადებით ამა თუ იმ ფრინველთან შესახვედრად, რომლებიც ამ შემთხვევაში კარგავენ თავიანთ მავნე ძალას“ [377, 102].

ყველა ცდილობდა ფეხზე ამდგარი, დანაყრებული შეხვედროდა
მძლევარი ფრინველის გამოჩენას, რომ იმ წელს მოსავლიანობა და ჯა-
ნის სიმრთელე დაბედებოდათ. ამ დროს მერცხალს ასე მოიკითხავდნენ:

მერცხალ! მერცხალ!
როგორ შენ და შენი ინდოეთი?
ფასკუნქს თვალი როგორა აქვსო?“

[4, 27].

მერცხლის შელოცვის წარმოთქმისას აუცილებლად ფეხზე წამოდ-
გებოდნენ, მაგიურ ტექსტს რამდენჯერმე გაიმეორებდნენ:

მერცხალო, მერცხალო,
სხვაში არ გამცვალო,
რას დაჭიუპებებ,
ყური დაუგდე,
ის ფეხზე არის
და ეერ მოუგდე
[ბსკიფა, ს. № 253, გვ. 3].

გაზაფხულის ფრინველთა დაძლევის რწმენა ყველაზე უფრო მე-
ტად გუგულის სახელთან იყო დაკავშირებული: „ვისაც გუგული აჯო-
ბებს, იმისი ყანა არ ივარებს, გაწილდებაო, ამიტომ მუშაკაცმა გუ-
გულს უნდა დაასწროს დაძახება“ [ბსკიფა, ს. № 253, გვ. 7].

ამგვარ რწმენას გამოხატავს ხალხური ლექსი:

მაშინ დამძახე გუგულო,
მუშა რო დაეგუგუნო,
გვერთ მოვიდგა ტიქით ღვინო,
კულა რომ დაეარუერუეთ [175, 83].

ხალხის რწმენით, გუგული თუ დაძლევდათ, ნათესები წაუხდებო-
დათ, მოსავალს ვერ მიიღებდნენ, რადგან ყანა „გაუთხელდებოდათ“
[თსუფა, № 6516].

მძლევარი ფრინველების კულტი აგრარულ მაგის უკავშირდებო-
და. გაზაფხულის, მზის, სითბოს „მომყვანი“ ფრინველები ორგანულად
დაუკავშირდა ნაყოფიერების კულტს. ხალხურ ლექსებში, თქმულებებ-
ში გუგული, წერო, მერცხალი და სხვა ფრთოსნები ღალის, ბარაქის
მომტანები არიან.

გუგულო, ღალა მოგპარე,
ღო ხშირი, ერთო ძლიერიო.

ამ სიტყვების ძახილით შიშველი მამაკაცი გუგულის ხეს უვლიდა
გარშემო რიტუალის შესრულების დროს [117, 37].

გაზაფხულზე წერო რომ გადმოფრინდებოდა, დაიძახებდნენ:

წერო ენას დაწყობილი,
შინ ჯალაბნი მოწყობილნი,
საფუარი მფუნი,
სახლი ბარაქიანი [208, 181].

გუგული რომ ხალხს მარცვლეულის, მინდვრის პარაჭის მცველად
წარმოედგინა, შემდეგ ხალხურ ლექსშიც ჩანს:

შენ, გუგულო, ხელოსანო,
ხელი მარგალიტისანო,
პური კალათში გქონია,
კამა ვერ მოგიგონია [117, 99].

ზოგი თქმულების მიხედვით გუგულს, წეროს, ყარყატს თავთავი
მოაქვს და ხალხს უტოვებს. მათი ნობათი, „ზეციური ქერის ოქროს-
მარცვლები მიწიერთათვის წლიური ჭირნახულის საწინდარი და პირ-
ველსახე იყო“ [219, 52].

სამხრეთ საქართველოში გავრცელებული გადმოცემებით გაზაფ-
ხულზე მოფრენილი ლაკლაკი (წერო, გუგული) „თუ თავთავს მოიტან-
და, კარგი მოსავალი იქნებოდა“ [117, 40]. სხვა თქმულების მიხედვით,
ყოველ გაზაფხულზე ლუგლეგი წისქვილთან უტოვებდა ხალხს ხორბ-
ლის მარცვალს ან სისხლიანი ქსოვილის წაჭერს და იმის მიხედვით
გებულობდნენ, ის წელიწადი ხვავიანი იქნებოდა თუ გვალვიანი და
უბედურებათა მომტანი [ბსკიფა, ს. № 154, გვ. 2—4]²⁰.

სხვა ფრინველების დაცდაც იცოდნენ ხალხში. დილას სკვინჩას-
დანახვაზე დაიძახებდნენ: „ჩიტო, კაი ხებერი (ამბავი) მე და ოქროს
ნისკარტი შვნ“ [ბსკიფა, ს. № 246, გვ. 38]. სკვინჩის მოფრენა იმის
ნიშანი იყო, რომ უკვე სახვნელის გაბმა შეიძლებოდა. სკვინჩას ასეც
შეულოცავლნენ ხოლმე:

სკვინჩავ, გამარჯობა,
მე მშვიდობა,
შენ მიმინო ღაგაჭება,
კაი თუ იცი დეიძახე,
თუ არა, თვალი წეითხარე.
ქორი მუა გლეგილი,
შენი ხორცის მგლეჭელი,
წადი, მომშორდო!*

* ავტორის საველე მასალა, რვ. № 2, გვ. 21.

სამეგრელოში ყველიერის შემდეგ ორშაბათს, დილით, ყვავის და-
ჩხაფლებამდე უნდა მოესწროთ წამოდგომა და 3-ჯერ დაეძახათ: „ყვა-
ვო, მიჯობნიათ“. „ოჯახის უფროსი კაცი წინაღამით მოხარშული კვერ-
ცხების. ნაჭუჭებს, რომელიც ლომით იყო საესე, ეზოს გარეთ გადაყრი-
და, ვითომც ყვავს ატყუებდა, კვერცხები მოგართვიო და თან სამჯერ
ხმაშემაღლებით დაიძახებდა:

ჩუჩელია, ჩუჩელია,
ჩვენი მამული დახუნდლული იქნა და
სხვის მამულში ფურცელიო“
[153, 9].

ადრე გაზაფხულზე თანდათან დნებოდა ჭიკვათ-თოვლი, საგუგუ-
ლო თოვლი, წეროს თოვლი და ხალხიც ამ დაცვილი ნიშნების მიხედ-
ვით მიპყოფდა ხელს მინდვრის სამუშაოებს.

წეროს დანახვაზე დაიძახებდნენ:

წერომ გუთანი შეაბა,
სახნის-საკვეთი გაფერაო [117, 37].

გუთნის ჩიტის მოქნიას მოთრენაც იმის ნიშანი იყო, რომ ხვნის
დაწყება შეიძლებოდა, მასაც შეეხმიანებოდნენ:

მოქნია, მოხველ შშეიდობით!
ინდოეთი როგორია? [208, 181].

გაზაფხულის მახარობელ ფრინველთა სიმბოლიზმი ქართულ ფოლ-
კლორში უძველეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება და
ანალოგიურია სხვა ხალხებში გავრცელებული წეს-ჩვეულებებისა. ფ-
რინველთა კულტი თითქმის ყველა ხალხის წეს-ჩვეულებებსა და სა-
წესჩვეულებო ფოლკლორში აგრარული კალენდრის დამახასიათებელი
მოვლენა იყო.

კალენდარულ ციკლებთანაა დაკავშირებული ნაყოფიერების ძა-
ლების დამწყალობება, ავი სულებისა და ავადმყოფობათა დემონების-
გან თუ სხვა მავნებლებისაგან თავის დასაცავი რიტუალები.

გაზაფხულის სუნზე „ყველა ხილული და უხილავი ძალა გველი-
ვით წამოჰყოფს თავს“ (ვაჟა-ფშაველა). ხალხი ყველა ამ ფრინველის,
ცხოველის, მლრღნელის თუ მწერის დასაძლევად საგანგებო რიტუა-
ლებს ატარებდა: „იღუმალ ძალთა დამწყალობება, მიწათმოქმედების
წარჩატებას რომ განაპირობებს, სამეურნეო წლის დადგომისთანავე
იწყება, გაზაფხულიდან. წელიწადში ერთხელ, სწორედ გაზაფხულზე
დამკვიდრდა ჩვეულება მოსავლის, ნათესების, მავნე ცხოველების,

მიღრლნელების გამასპინძლებისა, რათა მათი გული მოეგოთ მთელი წლის მანძილზე” [437, 22].

ფულუს დასამწყალობებლად მრგვალ კვერებს გამოაცხობდნენ, „თავის ეზოს გადაღმა, სხვის ეზოში გადაიტანდნენ ბალები და თან თვალდახუჭული ილოცებოდნენ:

„ა, ფულუ და ფულუს კვერი,
აა, მიწა და უკუძვრი“ [70, 181].

აღების დამეს „თაგვების გასარეკად ქალები ასკილის ტოტებით სახლს უვლიდნენ, ურტყამდნენ:

თაგვო, თაგვო, გადი,
ანგელოზო, შემოდი“ [115, 72].

თაგვების „გასალალავად“ ხორციელის აღება ლამეს შეიქრიბებოდნენ სოფლის გოგო-ბიჭები, ჯოხებით ხელში ყველა სახლიდან ურეკებოდნენ თაგვებს, თან კატებივით კნაოდნენ. „თაგვის ვალს“ კი, ასკილის ჯოხზე წამოცმულ პურს, ყველს და ა. შ., სახლიდან რაც შეიძლება შორს გაიტანდნენ, რომ მავნებლებიც ასე შორს გაეტყუებინათ [350].

თაგვების წინააღმდეგ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში არსებობდა სამიწათმოქმედო ტრატატი. აპოლონ სმინთევსის (თაგვისა) კულტშიც შერტყმული იყო თაგვების, როგორც მავნე, ნათესების გამანადგურებელი და ავადმყოფობის გამავრცელებელ სულიერთა წინაშე შიში და თაყვანისცემაც [321, 234].

„თაგვობის“ რიტუალი ხშირად შერტყმულია „ჩიტფაფობასთან“. ჩიტების და თაგვების „დასაქრთამად“ საგანგებოდ ამზადებდნენ ფაფას, ნაფოტებით „ქარმიდამოზე“ დაწყობდნენ, ჩამოურიგებდნენ ვენახს, მიწას, ბაღს და იტყოდნენ: „აი, ჩიტო (თაგვო), ეს იქმარე, წლამდის შენი საზრდო ეს არისო“ [თსუფა, № 21676]. იმართებოდა რიტუალური დიალოგი კერასთან ჩვეგომ დედასა და ეზოში ან ბანზე მყოფ ბავშვს შორის:

- დეღა: დეღა, რას აკეთებ? — ჩიტთა ფაფასაო.
- დეღი, მე კი არას მავმევ? — გაჭმევ მრავალსაო.
- თაგვნი ეს ყანას მიან? — ნაღიბანთაო.
- თაგვნი ეს ყანას კენკენ? — ქიმმრიანთაო.
- თაგვნი ეს გოდონსა სკრან? — ქავთარაანთაო

[თსუფა, № 5080].

ამ რიტუალს იმისთვის ასრულებდნენ, რომ ჩიტს და თაგვს მოსავალი არ შეეჟამა, არ გაეფუჭებინა. „ჩიტფაფობას“ დაღამებულში ას-

რულებდნენ. საინტერესოა შემდეგი ჩანაწერი: „ამოვიღეთკვე ფაფა ჯა-მებში, ერბო დავასხით და ვქამითკე. მემრე პატარა ხავშეი გარეთ გა-ვალის და იქიდან შამაუძახებსკე... (მოდის ტრადიციული ტექსტი)... ამას რო იტყვიანკე, გაუტანენკე ჯამით ფაფას გარეთ და იმანაც ჭა-მის — ჩიტმა“ [74, 55—56].

გვხვდება ისეთი ტექსტებიც, საღაც სხვადასხვა ფრინველთა, მლრღნელთა, მტაცებელთა „პირის შესაკრავი“ მოტივებია გაერთიანებული:

- დედა, რას აეთებ? — ჩიტა ფაფასა.
- ვას აჭმევ? — შენ, შალვას, ივანეს...
- რას ჭამს მელა? — სხვის ჭამას.
- რას ჭამს შეელი? — სხვის ცხენს [303, 116].

ამ სიტყვებით ღობეზე ფაფას შემოსდებენ: „ეს მელას, ეს მგელს, ეს დათვსო“. ყველიერის კვირაში საგანგებოდ გამომტხვარ ბოხჩუანებს მაღლა ისროდნენ და ყვიროდნენ:

ამ სიმაღლე პურის ხვავი,
ამ სიმაღლე ქერის ხვავი [თსუფა, № 25669].

ყველიერის კვირაში დათვის უქმესაც იხდიდნენ. იმ დღეს დათვს ქადას გამოუცხობდნენ და ჯალას ჩამოურიგებდნენ სიტყვებით:

გერიდოს ნადირის პირი, ჩვენმა საქონელმა იაროს თვეისუფლადა,
ნადირის პირი არ მიეკაროს, არ შეჭამოს“ [თსუფა, № 5081].

საგანგებო კვერებს უცხობდნენ ასევე მელას, მგელს და სხვა მტაცებლებს. თუშეთში, დიღმარხვის კვირას „აცხობენ ჯიხვის, ირმის, მგლის, დათვის და სხვა ნადირთა ქანდაკებებს, რომლებიც შემულია ხილით და ტკბილეულით. ამ ნამცხვრებს მოედანზე დგამენ და ბავშვები მას მშვილდისრით თოფავენ“ [103, 195]...].

დიღმარხვის წინა შაბათს მგელთუქმეს იხდიდნენ. ხალხის რწმენით, „ეს დღე ღმერთმა მგელს არგუნა და თუ კაცი მას არ შეინახავდა უქმად, მაშინ განრისხებული მგელი საქონელს შეუჭამდა“ [179, 195]. ხალხში აპბობდნენ, ისე გაღარიბებულიყავი, ყველიერის შაფათი გემუშავოსო.

აღრე გაზაფხულზე მგლის კულტის გამოელენა მწყემსურ ყოფას უკავშირდება და ბევრგან იყო გავრცელებული. ძველ რომშიც იხდიდნენ 15/II-ს საგანგებო ღლეობას მგლის სახელზე, ლუპერკალიას [330, 14]. მგლის უქმე ღლები ბალკანური ტრადიციითაც დიღმარხვის პირველ შაბათს ემთხვეოდა [258, 101].

გაზაფხულზე საქონლის საძოვარზე პირველად გარეკვისას მწყემსორკინის ნატეხს ჩაიღებდა პირში, მერე მინდორში გადააგდებდა და შეულლოცავდა: „სანამ მე არ მოგძებნი, მანამ მგელი არ დაეცეს ჩემს საქონელსო“ [47, 218].

მგელს შეულლოცავდნენ: „ლმერთო, შეკარ, შებეჭდე პირი მგლისა, ხელი მეკობრისა, ენა მიე ნაბდისა, კბილი მიე სანთლისა“ [176, 146].

ლამპრობას ბავშვები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ:

ლამპრობა, ლამპრობა,
მამალი მგლის გაპობა [42, 150—189].

ცნობილია, ასევე მგლის რიტუალური მოკელის ცერემონია, როცა მგლის ფიტულს გრძელ ჭოხზე დამაგრებდნენ და სიმღერით ჩამოუცლიდნენ სოფლის ყველა ოჯახს, თან საციქველს აგროვებდნენ („ოშა-მგელობა“):

ოშა მგელა, დიდი მგელა!
ის მგელი მიტომ მოვეკალი,
შენი და ჩემი მტერია...
ოშა მგელა, დიდი მგელა...
ეს მგელი მიტომ მოეკალი,
თხა შემიტამა ნისლაო,
მასპინძელო, გავისტუმჩვე,
სხვაგანაც გვინდა მისვლაო [246, 28].

დრამატული ხასიათის მაგიურმა რიტუალებმა აღრევე დაკარგეს საწესჩვეულებო ხასიათი და ბავშვების გასართობებში გადაინაცვლეს.. უკვე გასულ საუკუნეში საბავშვო თამაშობებში აღწერდნენ მელაობას, ძერაობას, კატა-თაგვიობას და ა. შ., თუმცა, მათი თავდაპირველი საწეს-ჩვეულებო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს.

ძველი მეურნე გლეხი, როცა წლიურ მოსავალზე იწყებდა ზრუნვას და ხენა-თესვას შეუღებოდა, მავნებელთა წილსაც ითვალისწინებდა. ალ. ოჩბელიანის გადმოცემით, წინ გამძღოლი ბერიკაცი მარცვალს „ხან აქეთ და ხან იქით მოაბნევდა ამ სიტყვებით: „...ეს ფრინეელს, ეს პირუტყვს...“ ასე გაშინეთ, ჭიათურებისთვის, თაგვებისათვის და ჭიებისათვისაც თქვა“ [132, 227]²¹.

გაზაფხულის პირს, მარტის პირველ რიცხვებში და მერეც, ოჯახის რწყილისაგან განთავისუფლების, განწმენდის რიტუალსაც ატარებდნენ: „აღრე დილით სიტყვის უთქმელად სამ რწყილს დაიჭირენ და ქილაში ჩასვამენ. ასტამით ნაცარს აიღებენ, გაიტანენ თავიანთ ეზოს. მიჯნას იქით, სხვის ადგილში გადაყრინ და თან იტყვიან:

მარტი, მარტმეტი,
ყოველი თვის მეტი,
ჩემსას პწყილი არც ერთი,
სხვისას ნიჩბით სახვეტი [128, 57].

რწყილის განდევნის რიტუალი დიალოგურადაც სრულდებოდა. სამეგრელოში, ვნების კვირაში, მაგიური რიტუალის შემსრულებელი ქალი კერასთან თოხნის იმიტაციას ახდენდა, მეორე კი სხვენზე ასრულებდა მოქმედებას, ვითომ რწყილს კლავდა:

— სად ყანა და სად სხვენიო?
— სად სახლი და სად რწყილიო?
რწყილი მიწაში დასამარხიო
[107, 312; 334, 339].

„წყირიში ჭოროფუას“ რიტუალს 3-ჯერ იმეორებდნენ. აჭარაში ანალოგიური წეს-ჩვეულების შესრულებისას რწყილის დაკოდვის იმიტაციას ახდენდნენ:

— მანდ რას იჯები?
— ია და ვარდსაო.
— მანდ რას იჯები?
— პწყილ ვყვერავო [129, 126].

ამგვარი რიტუალებით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ რწყილების გამრავლება. მოეშორებინათ ისინი სახლისა და პირუტყვისა-თვეის.

შელოცვების ციკლში უნდა განვიხილოთ ასევე საახალწლო ციკლში გავრცელებული ცეცხლის შელოცვის ჩვეულება. ახალ წელს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი ხდებოდა საოჯახო კერა, მის ძრევლივ სრულდებოდა ბევრი რიტუალი: ლოცვა, ცეცხლის გაღვივება, მუგუზლის „შეჩინჩილება“ და ნაპერწკლების დაყრა, საახალწლო ტაბლის შემოტარება და ა. შ. ახალწლის ღამეს კერაში ცეცხლის გაქრობა, ხალხის რწმენით, უილბლო, უმოსავლო და უბედურ მომავალ წელს მოაწავებდა, ამიტომ ულოცავდნენ:

ცეცხლო ელოდე, შელოდე,
მე შელოდე, მზეს ელოდე,
მთვარეს ეთაყვანებოდე,
დილა აღრე ვედგებოდე,
ღოჩხაურად ღამხვდებოდე [129, 125].

ალ. ხახანაშვილი შენიშვნას, რომ ახალი წლის ცეცხლის გაღვივება „უჩვენებს იმ დროს, როცა კერას ჰქონდა განსაკუთრებითი მნიშვნელობა“

ლობა და ცეცხლი იყო თაყვანსაცემი ღვთის პიროვნების გამომხატველი“ [237, 10].

კალენდარულ წეს-ჩვეულებებში დაიდი მნიშვნელობა ექცევა წყალ-თან დაკავშირებულ რიტუალებს, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული.

ახალწელს ძეველ წყალს შეინახავდნენ, მეორე ღღლეს ახალ წყალს მოიტანდნენ, თუ ახალი უფრო მძიმე იქნებოდა, მძიმე წელი იქნებოდა, თუ არა — მჩატე.

საინგილოში ოჯახის უფროსი წყალთან წაიღებდა აბგით საკენკს, თიხის ჩაფს. ახალ წყალს ჭურჭლის თაროზე შემოდებდა.

ახალ წელს ოჯახში შემოტანილ წყალს მოასხურებდნენ სახლში, ყანებშიც: ოჯახში სიმდიდრე იქნება, ყანებში კი — მოსავალიო [244, 175].

ხევსურეთში საახალწლოდ წყალს შეულოცავდნენ:

წყალო, ნაყრი მოგიტანე,
ნიჭი გამომაყოლეო.

ფშავში ახალ წელს წყალს ნაყრს მიუტანდნენ, პურს, ერბოს, ჩა-ყრიდნენ წყალში და იტყოდნენ:

წყალო, ნაყრი მოგიტანე,
ნაფუარი, საფუარი,
აზაფუე, კაცითა და საქონლითა,
დამიწერე ჯვარი ნაქონსა და ნაყოლს
[217, 160].

ახალწლის დილას სახლის უფროსი დედაკაცი საკენკს მიუტანდა წყალს, მიულოცავდა და ეტყოდა: „წყალო, ეს ნაკმაზი შენა და წრე-ულს ბევრი წვრილფეხი დამეზარდოს“ [176, 229—221].

საახალწლოდ ბევრგან აცხობდნენ საქონლის გამოსახულების კვე-რებს (ხარის ჩქას, ძროხის ძუძუებს), დაწყობდნენ ტაბლაზე. აბრა-მიანს (საახალწლო ხონჩა) შემოატარებდნენ დილით სახლს, ბო-სელს, წყალთან მივიღონდნენ და ყველაფერს წყალში ჩაყრიდნენ. სახლ-ში რომ მობრუნდებოდნენ, გაიმართებოდა დიალოგი მექელესა და ოჯახის უფროსს შორის:

— წყალმა რა დაგაბარაო?
— წყალმა ის დამაბარაო,
როგორც მე ვაზ დაულეველი,
ისე შენს ოჯახში არ დაილიოს
სიმდიდრე და სიკეთეო
[თსუფა, № 13425].

ამგვარი კალენდარული რიტუალების, მათი შესაბამისი ფოლკლორული ტექსტების უმთავრეს დანიშნულებას სიმღიღრის, ბარაქის, დოვლათის, გამრავლებისა და საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვა შეაღენდა.

ხალხურ კალენდარში ბეკრ დღეობას ორნიშნავდნენ შინაური ფრინველისა და საქონლის გამრავლებისა და სიმრთელისათვის. ბოსლობა დღეს (ყველიერის ციკლში) საქონელს კვერცხს გადაუსვამდნენ და შეულოცავდნენ:

„დათვი მცლე და შენ მსუქანი, გაზაფხულზე გასუქდებიო“ [თსუფა, № 6902].

ხალხს სჯეროდა, რომ სიმილური მაგით სასურველ შედეგს მიაღწევდა: „კვერცხს გადოუსობდით ყველა საქონელს, ცხენსაც, ხარებსაც, ხელებსაც, ძროხებსაც, რო ასე მგვალ და სუქანი ყოფილიყვნენ“ [ბსკიფა, № 227, გვ. 19]. ანალოგიური რიტუალების შესრულებისას თან დააყოლებდნენ:

„სუქდებოდე, კეთდებოდე, ნადირსა ერიდებოდე“ [თსუფა, № 16902].

ზოგჯერ საქონელს ღორის ქონს გადაუსვამდნენ ფერდზე და შეულოცავდნენ:

„გაზაფხულზე გასვინცრიყდი, დათვი მცლე და შენ სუქანი, ასე გარგვალდი, ასე გასუქდიო“ [თსუფა, № 25672].

ყველიერში ნაყოფიერების ძალების დასამწყალობებელ რიტუალებს ხშირად დრამატული ინსცენირების სახე ჰქონდა. ბოსლობის რიტუალის შესრულების დროს სრულდებოდა დიალოგური ტექსტი ბოსლიდან მობრუნებული ოჯახის უფროსის და შინ მყოფი დიასახლისის მიერ:

- ბოსლო, შინა ხარო? — შინ გახლავარო.
- ცხენი რამდენი გყავს? — ჭოვი.
- ძროხა? — ჭოვი.
- ცხარი და თხა? — ჭოვი.
- ღორი? — ჭოვი.
- ქათამი? — ჭოვი [228, 117].

საქონლის სიმრავლისა და ნაყოფიერებისთვის გამიზნულ ბოსლობის რიტუალში ჭარბად იყო მოცემული „ფალიური სცენები“, რაც ზოგჯერ ტექსტების ეროტიკულ ხასიათშიც მეღავნდება [123, 92].

„ბოსლე პატიოსანს“ შინაური საქონლისა და ფრინველის, ასევე ადამიანის გამრავლებას და კეთილდღეობას თხოვდნენ:

— ბოსლე, შინა ხარ? — შინ ბატონო.
— ძროხას მომცემ? ხარს მომცემ? ცხენს მომცემ?
ფრინველს მომცემ? კაცა შშვილობას მომცემ? — ბერს ბატონო
[348, 43].

საგაზაფხულო წეს-ჩვეულებებში, მიწის სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით მეურნე გლეხის ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით ხარი ექცევოდა: როცა გუთანს პირველად გაიტანდნენ „ხარს წითელი ძაფით ნაცარ ან ნახშირგამოკრულ ჩვარს კუდზე შეაბამდნენ და კისერზე ბალანსაც შეაკრეჭდნენ... ხმიადს გუთანზე გატეხდნენ და იქვე შეჭმდნენ“ [104, 168].

გუთნის გატანის დღეს ხარს, შუბლზე კვერცხს გადაუსვამენ, შეულოცავენ: „ასე გასჭდეს ავი თვალის პატრონი“.

ასევე გათვალის საწინააღმდეგოდ კუდზე წითელ ჩვარს, კისერზე კი ასკილის, ტყემლის, ვაშლის ან აკაციის ტოტებს მოავლებენ, ტაბიკებიც ისეთი ხისგან უნდა იყოს გამოთლილი, წითელ ნაყოფს რომ ისხამს [128, 59; 212, 222].

ხარის სახელზე 25 მარტს საგანგებოდ უქმობდნენ. ხალხმა ხარება ხარის დღეობასაც დაუკავშირა. „25 მარტს იცოდნენ დღესასწაული ხარება. ამ დღეს მერცხალი მოფრინდება და გუგული დეიძახებს კიდევ. ხარება ხარის დღესასწაულიცა. ერთხელ თურმე ტიროდა კაცი, დაკეკილი, გაჯეჭილი, ქალამან გაცევთილი. გამეიიარა ხარმა და კითხა რაი გატირებსო. რავა რა მატირებსო, ცოლ-შეილი ვერ ვარჩინეო, მიუგო გლეხმა. ხარმა უთხრა: წუ გუშინია, დამადგი ქედზე უღელი, შემაბი კავშიო. ოლონდ არ მომამშიო, არ მომაწყურო და მე გარჩენიებ ცოლ-შეილსაო. მხოლოდ იცოდე, ხარება დღეს კავში არ შემაბა, უღელი არ დამადგა, დამასვენეო. მერე დასწყევლა ხარმა: ვინც ხარება დღეს უღელში შემაბას, მარჯვენა შხარი შეახმესო“ [თსუფა, № 16441].

ხარება დღემდე მიწას არ შეძრავდენ, ძნელი უქმეაო, იტყოდნენ. 25 მარტიდან, ხარებობიდან კი ხვნა-თესვის თაღარიგს დაიჭირდნენ: „ამ დღეს გლეხი სამ კვალს გაავლებს და ერთ მუჭა ქერსა და პურს დათესავს... ამ დღეს დედაკაცები თავს დაივარცხნიან, ყანა დაიწმინდებაო“ [117, 195]. კალენდარულ ციკლებს (საახალწლო, საგაზაფხულო) დაუკავშირა ხალხმა ცნობილი რიტუალური ლექსიც:

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი ქვაზედა
საწყალი კაცის შენახვა
ვერავინ იღო თავზედა.
ადგა და ხარმა შაყვეირა
მე დამაწერეთ რქაზედა

ჩამობრძანდა ქრისტე ღმერთი,
 დაკოცნა ორსავ თოლზედა.
 ჩამოქანა ორი სანთელი,
 დააკრა ორსა რქაზედა,
 დაკოცნა და გამოგზავნა,
 იარე ქოყანაზედა,
 ვქესი დღე უღელში ები,
 მეშეიდეს დაწე მეარზედა.
 ვინც შენ კვირა დღეს შაგაბას,
 ხელი შიახმეს მკლავზედა
 [თსუფა, № 5139].

ძალზედ საინტერესოა შემდეგი განმარტება მთქმელისა, ახალ-წელს ხარს სუფრასთან მიიყვანდნენ, დალოცავდნენ: „რო შემოვიყვან-დით ხარს, რქიებზე სანთლებს დავუნთებდით, დავკიდებდით კოკრებს (ბასილას კვერი), თუ რქას გაიქნევდა, კოკორს ჩამოაგდებდა, ნაკლიანი წელი იქნებოდა, თუ არა — ბოლი (მდიდარი) წელი იქნება, მოსავ-ლიანი“*.

ერთი მთქმელის განმარტებით, „გაზაფხულის მოსვლას მარტიდან ანგარიშობდნენ, თესვას მაშინ იწყებდნენ. ამ დღეს უნდა შეაბა ხარი, თან დაილოცამდნენ, შუბლზე მიახლიდნენ კვერცხს, ლექს იტყოდნენ“:

წადი, ხარო, იმუშავე,
 ერთ კვირა თა და ბარზედა,
 ვინც კვირა უქმეს შეგაბას,
 ხელი შეახმეს კლავზედაო.

ხენის როგორც დასაწყისის, ისე დასასრულის რიტუალები ხარის სახოტბო ლოცვით სრულდებოდა.

გაზაფხულზე საძოვრებზე გარეკვის წინ საქონელს ბოსელში შეა-კითხავდნენ, ახალაყვაებულ მცენარეთა ტოტებს შეუყრიდნენ, შეუ-ლოცავდნენ:

ხარო, დადგა მაისი,
 ახლა ხორცით გაიესი,
 წყალია და ბალაზი,
 გასუქდი და გალალდი [234, 52].

ანალოგიური ჩეეულებები ბევრგან იყო გავრცელებული, სლა-ვებში ეს რიტუალი გაზაფხულის გიორგობას უკავშირდებოდა, საქარ-თველოში კი — მაისის პირველ რიცხვებს:

დღეს პირველი მაისია,
 ძუძუ-მკერდი აიმსია [თსუფა, № 4015].

* აუტორის საველე მასალ, ჩვ. V, გვ. 29, 37.

მაისის პირეელ რიცხვებში ოჯახის პატრონი ხარს ყურში ჩასდა-
ხებდა:

- ხარო, დადგა მაისიო,
- ხორცი კარგად მოისხიო
- ძროხა, დადგა მაისიო,
- ცური კარგად გაიმსიო [106, 75].

სამეგრელოში პირველი მაისიდან ერთი კვირით შეკრავდნენ ძრო-
ხის ნაწველს და ლოცულობდნენ, რომ ზადირისგან დაეცვათ საქონელი
[107, 329]. ყველიერის კეირაში და დიდმარხვაში კი შინაური საქონ-
ლის გასამრავლებლად ასრულებდნენ საგანგებო ლოცვას:

ჰეციერთ ანთარო,
პატრონო გამარჯვებულო,
ჩემი საქონელი შენ გაამრავლე,
ასობით ვიჭერდე და არაფერი აკლდებოდეს.
უშობელსა და ხბოიანს რომ ეერ ეარჩევდვ, ისე
[207, 329—330; 221, 29].

ბარაქიანობასა და დოვლათიანობასთან, განსაკუთრებით კი, შინა-
ური ფრანგელის სიმრავლესა და სიმრთელესთან დაკავშირებული რი-
ტუალები კალენდარულ ციკლში სახალწლო დღესასწაულებს, კერ-
ძოდ კი ბარბარობას, უკავშირდება. ამ დღეობას საქართველოს თით-
ქმის ყველა კუთხეში აღნიშნავდნენ: გურია, იმერეთი, ქართლ-კახეთი,
რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი. მთქმელები შენიშნავენ ახალი წლის მფერხა-
ობა ბარბარობიდან იწყებაო:

„ბარბალობა ოთხ ქრისტეშობისთვეში არის და ყველა დიახწვლე-
ბის დასაწყისად ითვლება. ამ დღეს განსაკუთრებით უქმობენ ქალები...
სამ ჯვარდასმულ ტაბლას გამოაცხობენ, ილოცებიან: „ღმერთო გავვი-
კეთე ნათეს-ნამუშევარი, ნუ დაგვაშევ, ნათეს-ნამუშევარს ნუ წაგვიხ-
დენ“ [202, 2].

გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში შინაური ფრინვე-
ლების გამრავლებისათვის ილოცებოდნენ ამ დღეს უმეტესად, სვანეთ-
ში კი ბარბალობას მსხვილფეხა საქონლის და ადამიანის სიმრთელესა
და გამრავლებას უკავშირებდნენ.

ვ. ბარდაველიძემ გამოწვლილვით შეისწავლა ბარბალობას წეს-
ჩევეულებები, რიტუალები და მათი შესრულების წესები და თავისე-
ბურებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დაადგინა, რომ ბარბა-
ლობას უკავშირებდნენ მზის მოქცევას... „მისი ძალა და მნიშვნელობა
მთელ წელზე კრცხულდებოდა“ [19, 1].

ხალხის ტრადიციული შეხედულებებით, ბარბალობიდან, 4 ჯეკემ-
ბრიდან, სამი დღის განმავლობაში მზე არ იძეროდა, ხოლო ამის შემ-

დღე დღე თანდათან მატულობდა. ბარბალობის შელოცვები, რომლებიც საქმაოდაა ცნობილი ეთნოგრაფიული ნაშრომებიდან, ამჟღავნებენ ამ დღეობის დანიშნულებას:

„ბარბალე მკურნალო, შენ გვიშველე, გაგვიმრავლე საქონელი... გვაშორე ცუდი სენი... გაგვახარე კარგი წლის მოსავლით, დაგვიცაერ ყოველგვარი სენისაგან... კარგ ზამთარს მიგვაყენე და აღდგომა მშვიდობით მოგვასწარი საქონელს და კაცს“ [19, 19].

ბარბალობა ხალხში ბეღნიერ დღვდ თვლებოდა, თვლიდნენ თუ ეს დღე კარგად დაებედებოდათ, მთელი წელი მათთვის კარგი და ბეღნიერი იქნებოდა: „ბარბალობა არის კაცის, საქონლის და ქათმის ფეხა-დობა, ის ყველაფრის ფერხვა არის, წლის ფერხვა არის“ [42, 157].

რაც შეეხება საჯუთრივ ბარბალობის დღეობის ფოლკლორულ ჩეპერტუარს, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ქათმის ფერხვის პოეტურმა ტექსტებმა. ჩვენ მოგვებოვება ასევე წმინდა ბარბალეს სახელთან და-კავშირებული ფოლკლორული მასალა, რომელიც კალენდარულად ზამ-თრის ციკლთან არ არის დაკავშირებული.

„ქათმის ფერხვის“ რიტუალი საქართველოს ბევრ კუთხეში სრულ-დებოდა ახალწლის ციკლში (ბარბალობას, ახალი წლის II დღეს): „დაკლავდნენ რამდენიმე ქათამს, ამოაცლიდნენ კუჭს, ფილტვს, ფე-ხებს, მოხარშავდნენ, მერე გამევიდოდით გარეთ, გავაღებდით კარებს და ვიტყოდით:

„აი, ღმერთო ასი დედალი,
ასი მამალი და
ასი მისი მოსაყოლი
მოგვეც მასზე ასჭერ მეტიო
[თსუფა, № 15717].

„ქათმის ფერხვის“ წეს-ჩევულება გავრცელებული იყო ქობულვ-თის სოფლებში, სრულდებოდა ახალი წლის II დღეს: „დილას წევღებ კაქალს, დუხმობ ჭი, ჭი, ჭი. იმ დღეს ვარჩევ ნიგოზს, რომ კარგად არ-ჩიოს ქათამმა:

100 დედალი, 100 მამალი,
100 მისი მოჩხოროზი,
ქორი მოვდეს, ხეჭე ადი
ტურა მოვდეს, შინ შემოდი*.

შეკნევ კაკალს. თავზე დევამხოთ, ჭუჭულები ქოჩორა რომ გა-მოვიდეს. „კრუხ, კრუხ“, — ვიძახით იმ დღეს, რომ აღრე მეიკოთეოსო (კრუხი იყოს).

* ავტორის საველე მასალა, რე. 1, გვ. 12.

ანალოგიური მასალა საკმაოდ აქვთ ჩაწერილი ჭ. ნოღაიდელს:

ჭი, ჭი, ჭი, დედალო,
ჭიჭი, ჭიჭი, მამალო,
ასი დედალ, ასი მამალ
ასი მისი მოჩხოროზი.
ზეით მიანეფერები,
ქვეით დადიანებით
ყველა ამას გეხეწებით,
შორეთ ნუ დეარებითო.
ტყეში სურო, ზღვში ქვიშა,
ლერთო, იმდენი ამრავლე“ [129, 54].

გურიაშიც ალნიშნული რიტუალი ახალი წლის მეორე დღეს ტარ-
დებოდა: „აშ დღეს აუცილებლათ ვკლავთ მამალ ქათამს... იმავე ღამით
ოჯახის ერთ წევრს უშვებენ სხვაგან დასაძინებლად და დილით სახლ-
ში მოსული სამჯერ მოისცრის სიმინდის მარცვლებს მუჭით და ამბობს:

„ასი დედალი, ასი მამალი,
ასი მისი მოსაყოლი
(3-ჯერ გაიმეორებდნენ), [201, 2].

„ქათმის ფერხვა“ შეერთებული იყო სახლის, ოჯახის, საქონლის
ფერხვებისთან საერთოდ:

„გააღე კარი
— რა მოგაქ?
მოგვაქ ყოლიფერი, ოქრო,
ვერცხლი, პური, ქონება,
ცხონება...“

„კართან დუღმიდით ჭორქოს, დაჭდებოდა, სამი გზობა წააჩინებ-
და, ბარაქა შემოვა ოჯახშიო“*.

„ქათმის ფერხვის“ რიტუალს უკავშირდებოდა სხვადასხვაგვარი
რწმენა — წარმოდგენა, რაც განპირობებული იყო რიტუალის მაგიური
დანიშნულებით და შეიცავდა სიმილური თუ პროფილაქტიკური მაგიის
ელემენტებს. ამ დღეს:

- სარკეში არ ჩეიხედავენ, ქორი ქათამს წეიღებსო,
- ოთახს არ გამოხვეტდენ, ქათამი ყოლითერს დაჭნიჭავს ბოს-
ტანშიო,
- წალდს არ იხმარდენ, ხმაურობა არ შეიძლება, ჭუჭულები
იკარკალებენ სალამომდეო (ან ლინკი მეექცევა ქათამსაო).

* ავტორის საველე მასალები, რე. № 1, გვ. 16.

— შფერხავს ლილები შეკრული უნდა ჰქონოდა, ქორი ჩამოვა ეზოშიო, იბრძოდნენ.

გავრცელებული იყო, აგრეთვე კერიაში „მუგუზლის ჩუჩხური“ შელოცვით:

ამდენი ქათამი,
ამდენი ძროხა,
ამდენი ცხვარი და ა. შ. [348, 36].

ნაპერწკლის და მოპნეული მარცვლის სიმრავლეს მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა და ფრინველის (ან პირუტყვის) სიმრავლე და ნაყოფიერება უნდა გამოეწვია, რაშიც ეთნოგრაფები ასევე სიმპათიური მაგიის რიტუალების გაღმონაშობს ხელავენ.

შელოცვები, როგორც განხილულმა მასალებმა გვიჩვენა, კალენდარული ფოლკლორის უმნიშვნელოვანეს ფენას შეადგენს. ერთი მხრივ, უდაოა, მათი კავშირი ქრისტიანულ სალოცავ-სავეტრებლებთან (მიმართეთა ღმერთისადმი, ჯვრის, წმინდანების, ანგელოზების მოხსენიება ტვესტებში და სხვ.). მეორვ მხრივ კი, მიუხედავად შელოცვების მიმართებისა ქრისტიანულ კალენდარულ საღლესასწაულო ციკლთან (მათი უმრავლესობა სრულდება საახალწ'ლო, ყველიერის, ვნების, ამაღლების, ილიაობის, მარიამობის და ა. შ. დღეობებში) აშეარაა მათი კავშირი უძველეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან, ტრადიციებთან.

სწორედ შელოცვებში მეღაენდება ყველაზე უფრო მეტად ხალხური რელიგიურობისათვის ნიშანდობლივი სინკრეტიზმი, რაც გულისხმობს სხვადასხვა ეპოქათა, მსოფლმხედველობათა, რელიგიათა დანაშრევებს.

მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებში დაგმობილი და აქრძალულია რიტუალები, რომლებიც ტრადიციულად სრულდებოდა საქართველოში სხვადასხვა კალენდარული დღეობების დროს: „ეწინა-აღმდევებიან კანონებს ისინი, რომლებსაც სჯერათ ჯადოქრობის, მისნების, კალანდასი, შელოცვების, მარცვლის მობნევის, შიგნეულით და ბეჭით მცითხაობის, რომელნიც ანთებენ კოცონებს ზედ გადასახტო-მად“ [427, 26]²².

აღნიშნული სინკრეტიზმი განასხვავებს სწორად ხალხურ ქრისტიანობას ორთოდოქსული სატაძრო აღმსარუბლობისაგან. მისი სფერო, ძირითადად, ტრადიციული ხალხური ყოფა და ფოლკლორული შემოქმედებაა.

შელოცვები შინაარსობრივად საკმაოდ მრავალფეროვანია. ტექსტების დიდი უმრავლესობა მოყლე მოცულობისაა, როგორც წესი, ორან თხხსტრიქონიანი. შელოცვების ავების ძირითადი კომპოზიციური ხერხია მიმართვა-მონოლოგი. მიმართვის ობიექტები, ძირითადად ბუ-

წების ის ძალები და მოვლენებია, რომელთა დაშორჩილებასაც ან კე-თილგანწყობასაც ისახავდა მიზნად შემლოცველი ამა თუ იმ რიტუალის ჩატარებისას:

„მერცხალო, მერცხალო...“
„შენ, გუგულო, ხელოსანო...“
„ხარო, დაღვა მაისი...“
„ძროხა, დაღვა მაისი...“

მიმართვას ხშირად უშუალოდ მოსდევს ბრძანება ან თხოვნა:

„მზეო, ამოღი, ამოღი...“
„წვიმა, წვიმა, დაუშვი...“
„თაგვო, თაგვო, გამოღი...“
„ბურო, იარე, იარე...“

მიმართვის ტონი კატეგორიულია, რაც გამომდინარეობს მაგიური აქტის არსილან²³: ვითარება ნაწილობრივ იყვლება, როცა რომელიმე დარგობრივ ღვთაებას ან წმინდას მიმართავენ, საღიღებელი და სავე-დრებელი ეპითეტებიც მატულობს, ტონიც უფრო მავეღრებელი ხდება.

მაგიური შელოცვის ტექსტების ფუნქციური დანიშნულება განაპირობებს მათ ლაკონურობას. შედარებით ნაკლებად გვხვდება ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები. საინტერესოა პოეტური ხერხი, როცა რომელიმე არასასურველი მოვლენის მოშორებას ცდილობენ რაიმე მოგონილი საბაბით (მზის, ლრუბლის, ბურის განდევნის ტექსტები):

ლრუბელო, ცის ლრუბელო,
ივანე იძახის, ბორცვით იძახის,
შენი სიძე ხიდზე ჰკიდია,
ყველა მიდის, შენ რაღ არ მიდიხარ?
[188, 112].

შელოცვების ტექსტებში ხშირადაა გამოყენებული დაპირისპირების ხერხი, რაც ასევე რიტუალის მაგიური დანიშნულებიდან მომდინარეობს და ითვალისწინებს რამე არასასურველი მოვლენის, მარცხის, ზიანის, ზარალის სხვისთვის გადალოცვას:

შენ დანი, მე ძმანი,
შენ ქაჩალი, მე თმიანი,
შენ თხიანი, მე ცხვრიანი [104, 174].

ან:

ჩეენს გამულში ყურძენიო,
მტრის გამულში ფურცელიო,
ჩეენს გამულში გოღრითაო,
მტრის გამულში გიღლითაო“
[188, 115].

შაგიური აქტი ყოველთვის გაიგებოდა, როგორც დიალოგი ორ მოპირისპირე მხარეს შორის. დიალოგური ტექსტები, ძირითადად, მოქმედებაზეა აგებული. მათვის არა დამახასიათებელი მხატვრული ხერხების მრავალფეროვნება და სიმრავლე. ძირითად კომპოზიციურ თავისებურებას დიალოგურ ტექსტებშიც განმეორებათა სიხშირე შეადგენს.

გარდა ზემოთ აღნიშნული თავისებურებებისა, შეიძლება გამოვყოთ განმეორებათა სიხშირე მაგიური შელოცვის ტექსტებში. ფიქსირებული ფორმის განმეორების ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელია ფოლკლორული ჟანრებისათვის. შელოცვის ტექსტებში ამ მოელენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მარტო რიტმულ და ბეგრით ორგანიზაციას კი არ აქვსრიგებს, არამედ აზრობრივ დატვირთვასაც იძენს სიტყვის მაგიური ძალის რწმენიდან გამომდინარე.

შელოცვის ტექსტებს ხშირად ერთვის მთქმელის შენიშვნა: მეორდება სამჯერ, ხუთჯერ და ა. შ. მეორდება როგორც შელოცვის მთლიანი ტექსტი, ასევე მისი ცალკეული კომპონენტები (მიმართვა, თხოვნა...):

„მზეო, მზეო, გამოდი...“
„მზეო, გამოდი, გამოდი...“
„წვიმა, წვიმა, დაუშვი...“
„ღმერთო, იდარე, იდარე...“

შელოცვის ტიპის ლექსებისათვის ორგანულია, ასევე, პერსონიფიკაციის ხერხი, რაც გარკეეული მსოფლიხედეველობის ანარეკლია. მაგრა, რ. რეინაკის მართებული განმარტებით „ანიმიზმის სტრატეგიაა“. ამის გამოა, რომ შელოცვების ტექსტებში გასულივრებულადაა წარმოდგენილი მიმართვის ობიექტი (მზე, მთვარე, წვიმა, ნისლი, ყანა და ა. შ.).

შელოცვების ტექსტების ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს, ასევე, გლოსალიების ხმარება მაგიური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებით დასაწყის სტრიქონებში („ეროსანი, მეროსანი...“, „ალათასა, ბალათასა...“, „ჩუჩჩელია, ჩუჩჩელია...“ და ა. შ.). თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ადრე სავსებით რეალური შინაარსით იყო დატეირთული და მერე იქცა ბუნდოვან, გაუგებარ მარცვალთა გროვად. ამ ვითარებას ალ. ხახანაშვილიც მიუთითებდა. შელოცვებს „აზრი დაჭკარგვია და ხალხი წარმოსთქვამს გაუგებრად“ [237, 89].

საფირხულო პოეზია

კალენდარული პოეზიის ციკლში ფერხულებს მნიშვნელოვანი აღგილი უკავია. საგაზაფხულო დღეობის, ბერიყაობის, ფერხულები ისეთივე თავისუფალი, ეროტიკული შინაარსით და მოქმედებებით ხასიათდება, როგორიც იყო ბუნების ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის ძალებისადმი მიძღვნილი ეს დღეობა საერთოდ: „ბერიყაობის დროს იმდენი გართობა და თავისუფალი ქცევა იცოდნენ, რომ სხვა დროს თუ ასე ვინმე მოიქცეოდა, უფროსები გაუჭავრდვებოდნენ, რა მოგივიდათ, ბერავანი ხომ არა ხართო“ [6, 125]²⁴.

ბერიყაობის მთავარი პერსონაჟები ტახი (ღორი) და დათვი ამ წილბოსნურ წარმოდგენებს ძველი ხალხების ზოომორფულ მისტერიებთან აახლოვებენ [438, 34—37; 365, 213].

დათვი, როგორც გაზაფხულზე ზამთრის ძილისაგან გამოლეიძებული ცხოველი, მრავალ ხალხში წარმოადგენდა გაზაფხულის, ბუნების ალორძინების, ნაყოფიერების ძალების სიმბოლოს, საგაზაფხულო კარნავალების მთავარ მოქმედ პერსონაჟს. ქართველი ბერიყები სხვა ცხოველების გარდა „დათვის ფორმაშიც შედიოდნენ“*. დათობერიყული სანახაობების დროს გავრცელებული იყო ქალების ფერხული:

დათვო, დათვო, ჩვენო დათვო, ჩვენო დათუნაო!
დათვი ხეზე როგორ ავა, ჩვენი დათუნაო!
ტოტს მოიწევს ისე ავა, ჩვენო დათუნაო!
დათვსა ცოლი ავათა ჰყავს, ჩვენო დათუნაო!
დათვო, მყითხავს აკითხვინე, ჩვენო დათუნაო!
დათვსა ცოლი კარგათა ჰყავს, ჩვენო დათუნაო!
ქალსა ძუძუ მოუსინჯე, ჩვენო დათუნაო!
ქალსა კოჭი გაუსინჯე, ჩვენო დათუნაო!
დათვო, ქალი აირჩიე, ჩვენო დათუნაო!
რომელიც მოგეწონება, ჩვენო დათუნაო!
დათვო, ცოლი ათამაშე, ჩვენო დათუნაო!
თუ ეგ ქალი აღარ მოგწონს, ჩვენო დათუნაო!
ეგ გაუშვი, სხვა შეირთე, ჩვენო დათუნაო! [235, 96].

მოქმედება დრამატული ინსცენირების ხასიათს ატარებს. ფერხულის წევრები მღერიან და მოძრაობენ იმგვარად, როგორც მოქმედებს „დათვი“: „თუ ფერხულში ამბობენ, ერთი კაცი შევა წრეში და, ეითომც დათვია, ამოირჩევს მეორეს საცოლედ. გაუხდება ამორჩეული

* ავტორის საველე გასაღები, რვ. № 5, გვ. 39.

ავად, უვლის, აჭმევს, ჩოხას ხურავს, ხან ჩხუბი მოუვათ და ამგვარად აცინებენ ხალხს“ [237, 65].

დათვი ეროტიკული, გამანაყოფივრებელი ძალის სიმბოლოდ ბევრ ხალხში იყო ცნობილი [418, 188]. სვანური მითოლოგიური გადმოცემების მიხედვითაც, სიყვარულის წამალი პირველად დათვს უპოვია, დათვისაგან კი შემდეგ აღამიანს მიუგნია მისთვის [131, 119].

ხეთური რიტუალების ტექსტებში დათვი მითური გამანაყოფიერებლის როლში გამოდის, რაც უძველეს ტოტემურ წარმოდგენებს უკავშირდება: „Медведь же на вас вскочил“ — ამ მაგიურ ფორმულაში ჩანს დათვის, როგორც ხეთა განმანაყოფიერებლის ფუნქცია [292, 498].

შესაძლოა, ანალოგიური შინაარსით იყოს დატვირთული ქართული ფერხულის სტრიქონები:

„დათე ხეზე როგორ ავა, ჩემო დათუნაო,
ტოტს მოიწევს ისვ გავა, ჩემო დათუნაო...“ 25.

ცნობილია, რომ ბერიყულმა სანახაობებმა საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და „წარმართული მითოლოგიის წიაღიძან... თანდათან საერო სანახაობად განვითარდა“ [140, 14]. „დათოობის“ ტექსტებში ეროვნული თუ სოციალური მოტივების შეჭრაც ამგვარ ცვლილებათა შედევრია.

- არალე, ჩეენო დათუაუ, ჩვენო დათუა,
აზნაური როგორია ჩვენო დათუაო,
(დათუა გაიჯიმება)
- არალე, ჩეენო დათუაო, ბეჩავი გლეხი
როგორია, ჩვენო დათუაო?
(დაენკილ ტყაპუშს წამოისხამდა)
- არალე, ჩეენო დათუაო, ხეზე როგორ გახოლ?
(ფეხებს მოხრის)
- არალე, ჩეენო დათუაო, მწაზე გამოვორდიო.
(ასრულებს).
- არალე, ჩეენო დათუაო, ცოლი შეირთე ჩქარაო!
(დათუა ქალებს დაერეოდა, ცოლს ოჩევდა), [102, 245].

აღრეგაზაფხულის დღესასწაულები (ბერიყაობა, მურყვამობა, ადრეკილად, მელიად-ტელეფიად და სხვა) საკმაოდაა შესწავლილი ქართველ მეცნიერთა მიერ და დაკავშირებულია ბუნების ნაყოფიერების კულტებთან [99, 242; 245, 150].

ამ დღეობების აღწერილობები დიდ მსგავსებას იჩენს ახლო აღმოსავლეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთის მისტერიებთან. ქართული საგა-

ზაფხულო რიტუალების და დღესასწაულების ცხოველური ნიღბები (თხა, დათვი, ტახი და სხვა), რიტუალური რეკვიზიტი (კალათა, საცე-რი, ფალოსი...), ეროტიკული ხასიათის მოქმედება (აღრეკილა, მე-ლიად, ტელეფიად...), ბილწისობრივი ანალოგიურია სხვა ხალხებში გავრცელებული კარნავალებია:

„ერთი რქით თხას მოათრევს, უკან მეორე კალათით ლეღვს ეზი-დება, ყველას თავზე კი აღმართულია მშობელი ძალის ემბლემა... ამას-თანავე ფალიკურ სიმღერებს მღეროდნენ“ — ასე აღწერს დიონისიურ დღესასწაულს არისტოფანეს ერთ-ერთი კომენტატორი [312, 110].

ადრეგაზაფხულის მისტერიათა საფუძველს საქართველოშიც მოკვ-დავი და აღმდგარი ღვთაების, საგზაფხულო აღორძინების იდეა შეადგვნდა [171, 175...; 245, 362]. მურყვამობის, ადრეკილას, მელიად ტე-ლეტიას და სხვ. თავის დროზე მწყობრი რიტუალებიდან, რომლებ-საც, ალბათ, საკუთარი რეპერტუარი ჰქონდა, მხოლოდ მცირე ფრაგ-მენტებია შემორჩენილი.

შედარებით უკვთაა მოლწეული ორსართულა და სამსართულა ფერ-ჭულების ტექსტები (ზემყრელო, სამყრელო).

ბერობანას დროს დიდ კალოზე ასრულებდნენ ფერხულს:

სამყრელო, სამყრელო,
ძირ ჩამოდი სამყრელო,
ცასა ბეჭვი ჰყიდია,
ქევშ ბუმბული გაგია,
ნუგეშ, ნუ გვშინია,
ქევშ ბუმბული გაგია!*

გ. სვანიძე აღწერს ფერხულის შესრულებას:

„ძირს მყოფთ, ხელი-ხელთ გადახვეულთ — დიდი ღონე ესაჭი-როებათ, და მუხლების გამძლეობა, რათა ზემდგომნი შეიმაგრონ და თანაც იმოძრაონ, სანამ სიმღერა არ დამთავრდება. წამყვანი (ქვემდგომ-თაგან) დარწყებს ერთგვარი შესაელით. მას მიჰყვება მთლიანად ძირს მდგომი ჯგუფი. ძირს მყოფნი რომ მორჩებიან, მათ მხრებზე მდგომნი, ანუ „ზე-მყრელი“ ჩამოართმევენ კილოს. იმეორებენ ძირს მყოფთა ნამღერს. ბოლოს, როცა დაბლა მდგომთ მოესურვებათ, ანიშნებენ ზე-მდგომთ მოძრაობის შენელებით და შეერთებული ძალით ამთავრებენ კიდეც ფერხულს“ [161, 24].

ზემყრელო, ზემყრელო,
ძირსა ჩამოსაყრელო,

* ავტორის საველე მასალები, რვ. № 3, გვ. 6.

თუ ჩამოხვალ, ჩამოდი,
თუ არა და ჩამოგყრი
[ფ. არქ. № 1805].

საფერხსულოების დიდი უმრავლესობა გაზაფხულის, ყველიერის ან აღდგომის კვირის, მაისობების სახალხო დღესასწაულებს უკავშირდება. საგაზაფხულო-საფერხსულო პოეზია სპეციალურად შეისწავლა ელ. ვირსალაძემ [35]. მკვლევარი შეეცადა სხვადასხვა ეპოქათა მსოფლმხედველობის მიხედვით მოეხდინა საფერხსულო ტექსტების კლასიფიკაცია: სამონადირეო ფენა („სამთი ჭიშხაში“, „ქალსა ვისმე“, „ბეფეილის დატირება“ და სხვა), მესაქონლეობის ფენა („მუმლი მუხასა“), ავრარული, სამიწათმოქმედო ფენა („აღდგომის ფერხსული. უუ-უუნას ფერხსული და სხვა).

ჩვენი აზრით, არ არის მართებული ცალკ-ცალკე გამოყოფა მესა-ქონლეობის და მიწათმოქმედების ფენებისა (მით უფრო ფოლკლორული მასალის საფუძველზე). ცნობილია, რომ საქართველოში ისტორიულად სამონადირეო ყოფის შემდეგ მათი სიბმიოზური განვითარებაა დადასტურებული. ამგვარ კლასიფიკაციას ისიც ამნელებს, რომ ზოგჯერ ერთ ტექსტშია გადახლართული სხვადასხვა ეპოქათა პლასტები.

თუ ერთგვარად გავიმარტივებთ საგაზაფხულო ფერხსულების შინაარსობრივ სქემას, შეიძლება წარმოვადგინოთ, რომ მათი ძირითადი ნაწილის თემები და მოტივები ქართული მითოლოგიის ცენტრალური პერსონაჟების ირგვლივ ტრიალებს: ბუნების პატრონი ქალღვთაება თავისი ძირითადი ფუნქციებით (ნადირთ პატრონი, ამინდის განმგებელი, ავადმყოფობის დემონთა განმრიგე), მისი ნება-სურვილის შემსრულებელი ღვთაებრივი ძალი (ყურშა), ღვთაებრივი ნების დამრღვევი მონადირე (საგაზაფხულო მსხვერპლი) და ღვთაების კარზე ამოსული სიცოცხლის ხე.

უველაზე უფრო მასშტაბურად ბუნების დიდი დედის, ქალღვთაების, სახე, მისი ღვთაებრივი კარის რეალიების ასახვა შემოგვინახა საგაზაფხულო (აღების, აღდგომის) საფერხსულომ „ქალსა ვისმე“:

ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა,
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედნი,
ბეჭედის თვალსა მოლი მოსრულა,
მოლთა შუა ნაძვი ასულა,
ნაძვის წვერსა ქორს ბუღე ეღგა,
ბუღე ეღგა აბრეშუმისა,
კვერცხი ჰქონდა იაგუნდისა,
შვილი ჰყავდა მარგალიტისა.

ლმერთო! ერთი ჩემთვის გაზარდე,
გაზარდე და კარგად მიშოთვე,
სანადიროს გზა გაუწაფე.
ვასადილე, ვასადილე,
ნასადილეს მოვკალ ირემი.
— ჩემო ცოლო, ხოხობო ჭრელო,
ამ ირემსა ბეწვი წაჰგლიყე,
შენ იმისი ჩოხა დამირთვ,
რაც გადარჩეს — წინდა-პატე.
— ჩემო ქმარო, ლომო და გმირო,
ალეის ხესა ტოტი მოსტეხე,
შენ იმისი სახლი დამიღვი,
რაც გადარჩეს — წისქვილ-ბელელი

[223, 117].

მოყვანილ ტექსტში გვხვდება ყველა მთავარი პერსონაჟი, რომლებიც თავის მხრივ, ქმნიან საგაზაფხულო ფერხულების ცალკე თემატურ ჯგუფებს (ბუნების დიდი დედა, ღვთაების კარზე ამოსული ხე, ყურშა (ან ფასკუნჭი), მონადირე, ღვთაების მიწიერი მიზნური, მონადირის სატრფო, ღვთაების ხორციელი მეტოქე).

ბუნების დიდი დედის რწმენის ნაშთები ზეპირსიტყვიერების გარდა მატერიალური კულტურის ძეგლებსაც შემოუნახავს²⁶. ეს რწმენა კავშირშია მსოფლმხედველობის უძველეს ფენებთან და ანალიგიურია სხვა ხალხებში გავრცელებული წარმოდგენებისა (კიბელე, არტემიდა, ღემეტრა, ნანა და ა. შ.): „დიდი ქალღოთაება, ღედა, რომელიც თავის თავში განასახიერებს ბუნების მწარმოებლურ ძალებს, სხვადასხვა ხალხებში განსხვავებული სახელით იყო გაღმერთებული..., მასთან დაკავშირებული მითი და რტუალი, კი, მიუხედავად ამისა, არსებითად ერთი და იგივე იყო“ [424, 313].

ქართული ფერხულების ტექსტებში ცოცხლდება მითი ბუნების პატრონი ქალის და მისი ხორციელი სატრფოს ყოველწლიური შეხვედრისა და განშორებისა, რაც კალენდარული მითების საფუძველთა საფუძველს შეაღეს. გაზაფხულზე გარდაცვლილი, ღატირებული და აღმდგარი ტანჯული ღვთაებების რიგს (ოზირისი, აღონისი, ატისი, დიონისე, აქტეონი, ჰიაკინტი და სხვა) ქართული საფერხულოების ტრაგიკულად დაღუპული მონადირე ვაჟებიც აკსებს (ბეთქილი, ჭარჭი, ქვაციხელი და სხვა).

ღვთაების (ან მისი სატრფოს) სიკვდილი და შემდეგ მკვდრეთით აღდგომა უნივერსალური კონცეფცია იყო, რომელიც ბუნების, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ძალების დროებითი წახლომის და ხელახლი აღორძინების იდეას უკავშირდებოდა. „ძველად დასავლეთი აზიის

და ეგიპტის ხალხები წლის დროთა ცვლას და მცენარეთა დაჭინობას წარმოიდგენდნენ, როგორც ეპიზოდებს ღმერთების ცხოვრებიდან, რომელთა სამწუხარო სიკვდილს და სასიხარულო აღდგომას ეს ხალხები ონიშნავდნენ დრამატული წარმოდგენებით, რომელთა დროსაც მწუხარებას ცვლილა სიხარული“ [424, 362].

პლუტორქეს გადმოცემით, პაფლაგონიერებს მიაჩნდათ, რომ ღმერთი ზამთარში შებორკილი და დატყვევებული იყო, გაზაფხულზე კი თავისუფლდებოდა ბორკილებიდან. ასევეა მიჯაჭვული და შებორკილი ამირანიც, რომელიც „ყოველ გაზაფხულს ამსხვრევს თავის ბორკილებს და გალვიძებულ ბუნებასთან ამოდის ზესკნელში“.

მოქვდავი და აღმდგარი ღვთაებები ვეგეტაციური ბუნების არიან: „შენ ხარ ყვითელი, მოჭრილი თავთავი“, — მიმართავდნენ ატისს. „შენ ხარ ხე, ნაადრევად მოჭრილი“ — უმღეროდნენ თამუზს. „დიონისიე, შენ ვენახი ხაჩ“, — უგალობდნენ დიონისეს. „მე ვარ ოზირისი..., მე ვცოცხლობ, როგორც მარცვალი, მე ვიზრები, როგორც მარცვალი...“, — ამბობს ოზირისი²⁷.

შაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთი მომაკვდავი და აღმდგარი ღვთაების შესახებ სამონადირეო ეპოსიდან მომდინარეობს და ზოომორფულ მისტერიებს უკავშირდება [895, 111; 423, 38; 438, 38].

ცხოველის რეინკარნაციის რწმენა, რომელსაც უნივერსალური ხასიათი ჰქონდა, ქართულმა ფოლქლორმაც შემოგვინახა თქმულებით „ხის ბეჭე“. სამონადირეო ეპოსიდან იღებს სათავეს ქართულ ფოლქლორში გავრცელებული მონადირის დაღუპვისა და დატირების საფერხულო ტექსტები, რომელიც გაზაფხულზე სრულდებოდა:

მიადგნენ შე კლდეს, დალის საბრძანებელს.
— გამარჯობა.
— როგორ გამარჯვებულსაც გაგიშვებ
ამს ახლავე დაგნახებ.
რად უღალატე ჩემს პირობას?
ჩემი ნაწუქარი მძივი რა უყავი?
— სასთუმალქვეშ დამრჩა.
— როგორც შენ ის სასთუმალქვეშ დაგრჩა,
ისე დაგაბრუნებ უკან!
თვალს მეფურა.
ბეთქილი კლდეზე შერჩა.
მარჯვენა ხელის მოსაკიდი,
მარცხენა ფეხის დასადგამი.
საბრალო ბეთქილი, საცოდავი ბეთქილი!..
ბეთქილი გაღმოვარდა კლდიდან,
ძირს ტოლებმა აიღეს მისი გვამი [188, 97].

სვანურ ხალხურ პოეზიაში ყველაზე უფრო კარგადაა შემონახული კალენდარული მითის უძველესი, სამონადირეო ყოფასთან დაკავშირებული მოტივები. ეს, შესაძლოა, იმითაც აიხსნას, რომ საქართველოს ამ კუთხეს ბოლო დრომდე შემორჩა მონადირეობა, როგორც მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა.

ფერხულთა ერთი ჯგუფი მონადირის სატრფოს (ან მეუღლის), ლვთაების ხორციელი მეტოქის ტრაგიულ ბედს გვამცნობს. მოვიყვანთ ერთ-ერთს ყველაზე უფრო სრულ ვარიანტს:

ლაფუნ კატუნ გელაიფხენ, რძალო ბატონოეო!
გუშინ რძლათა მოგიყვანე, რძალო ბატონოეო!
ლლესა ჭოგში გაგაგზავნე, რძალო ბატონოვო!
ჭოგი ვნახე, წყესი ეერა, რძალო ბატონოეო!
გეეიხედე მუხის ძირში, რძალო ბატონოეო!
თაეზე მურა დაგდომოდა, რძალო ბატონოეო!
თაეის მეტი შიეგამე, რძალო ბატონოეო!
შენი ახალი ქოშები, რძალო ბატონოვო!
მუხის ძირში დაპაჭეულობს, რძალო ბატონოეო!
შენი სამყადის საბრეყელი, რძალო ბატონოვო!
მუხას წვერზე შემოერტყა, რძალო ბატონოეო!
შენი ჭამფასის პერანგი, რძალო ბატონოეო!
მუხას ცეცხლად ეკიდება, რძალო ბატონოვო!
შენი თავ-ხურა ლეჩაქი, რძალო ბატონოეო!
მუხის წვერში ფრიალებდა, რძალო ბატონოვო!

[55, 118—182].

რძლის ტრაგიული ალსასრულის მომასწავებელია ლვთაებრივი ყურშას გამოჩენა. „ნადირთ ლვთაების მიერ გამოგზავნილი ძალის სახე ორგანული იყო“ საგაზაფხულო საფერხულო პოეზიისათვის;

ლვთაებათა თანმხლებ, დამხმარე ძალებს შორის ძალი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული არსება იყო [55, 118]. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ჩვენი წინაპრები თაყეანსა სცემდნენ „უნიშნოსა შავსა ძალსა“ [181, 111].

მითურ ძალს, ყურშას, ასე გვაცნობს ხალხური გამოცანა:

არც ოთხფეხია და არც ფრინველი,
არც მიმინოა და არცა შვეელი [161, 115].

ელ. ვირსალაძე წერს: „ყურშა — ორბის, ყურნის, ქორის ან ზღაპრული ფასკუნჯის შეილია, ფრთოსანი ლექვი, რომელიც დროდა-დრო გამოიჩეკება ხოლმე ბუდეში და დედა ჩიტი მას ბუღიდან გად-მოაგდებს. ფრთოსან ლექვს იპოვის მონადირე და გაზრდის. ყურშას იღბალი მოაქვს ნადირობაში“ [54, 72—73].

ფრთოსანი ძალლის კულტი წინა აზიაშიც იყო გავრცელებული. ფრთოსანი სიმურდი (სენმურვი) ორანულ მითოლოგიაში მცენარეულის, მარცვლეულის მფარველ ღვთაებად გვევლინება, შუამავალია მიწასა და ცას შორის, ცხოვრობს საოცარ ხეზე, რომელიც ყველა ჭიშის მარცვლეულს აპევს (როცა მას ძალლი შეაზარებს). ბ. რიბაკოვის განმარტებით „დოვლათისა და ცხოვრების მფარველი ძალლის კულტი... უკავშირდება სამიწათმოქმედო ენეოლითის უძველეს პერიოდს“ [387 (2), 26—28].

ქართული მითოლოგის ყურშა უფრო არქაული ბუნებისა ჩანს, თუმცა, სამონადირეო მოტივებთან ერთად მასთან დაკავშირებულ ტექსტებში აგრძარული სიმბოლიკაც საკმაოდაა შეჭრილი:

ყურშას ყურ-ტუჩი, ყურ-ტუჩი,
ოქროს გასხია, გასხია,
ყურშას თვალები, თვალები,
თვარესა ჰევდი, თვარესა,
ყურშას ყიფილი, ყიფილი,
რახუნსა ჰევდა ცისასა,
ყურშას ტოტები, ტოტები,
კალოს ვედენი, ვედენი,
ყურშას ნახტომი, ნახტომი,
დიდი მინდორი, მინდორი [54, 224].

მითური ძალლ-ფრინველი ყურშა ბუნების ბატონი ქალღვთაების კარზე ამოსული ხის წვერზე იჩეკება ქორის (არწივის, ორბის, ფასკუნჯის) ბუდეში მარგალიტის კვერცხიდან:

ქორმა ფრთვები გაშალა,
დაყარა მარგალიტები,
ერთი მე აეიტაცე,
ერთი კი ჩემთა დობილმათ [54, 71].

ყურშას მითოსური სახის მთელი რიგი შტრიხები, მისი მიმართება ქართული მითოლოგის სხეა ცენტრალურ პერსონაჟებთან, ცხადყოფენ მის უძველეს ბუნებას.

საგაზაფხულო ფერხულების ერთი ნაწილი გვაცნობს ბუნების ბატონი დიდი ქალღვთაების, როგორც ამინდის გამგებლის ფუნქციას. ცნობილია, რომ ბუნების, ნადირთპატრონი ღვთაება ამინდის მფარველადაც ევლინება მონადირეებს [54, 72]. ფერხულები „უუუუნა წვიმა“ და „მაღლიდან გადმომდგარიყო...“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საგაზაფხულო რიტუალებთან, ყველიერის საწესო სანახაობებთან: „ამ საწესო საგაზაფხულო სიმღერების მღერით ქალთა ფერხული სოფლის.

ყოველ სახლს მოიკლიდა, ხოლო საღამოს ყველიერი იშეუბოდა“ [54, 68].

მალიძენ გადმომდგარიყო თვალუფუნ თეთრი ქალიო,
უუფუნა, უუფუნა, და უუფუნა,
ხელს გვიქნებდა, გვიძახდა, შინ არა ჩემი ქმარიო,
უუფუნა, უუფუნა, და უუფუნა,
ციხის საშალა წასულა, თავს დასცემია ქვანიო,
უუფუნა, უუფუნა, და უუფუნა,
მასარობელი მოვიდა, ქალო, მოგიკვდა ქმარიო,
უუფუნა, უუფუნა, და უუფუნა,
სამახარობლო გვიღე რქათეთრა, ნიშა ხარიო,
უუფუნა, უუფუნა, და უუფუნა,
თვალუფუნ ქალიო
უუფუნ წვიმა მოსულა,
წაულია ველებიო
დიდი ველი წაულია, პატარა წევნია,
უუფუნა, უუფუნა და უუფუნა, თვალუფუნა ქალიო [ფ. არქ., 1, 94].

„უუფუნას“ ფერხულს სამაისოდაც იტყოდნენ ხოლმე ქალები;
„მწერივად დავბმოდნენ ფერხულში და ჩამოუელიდნენ ყანებს,
ბალებს, რაც უნდა დათესილიყო“ [ფ. არქ., 1, 250].

„უუფუნა წვიმას“ შესრულებას ყოველთვის მოსდევდა ცნობილი
საფერხულო „მაღლიდან გადმომდგარიყო“, ტექსტებიც (როგორც
შიყვანილი საფერხულო) ხშირად კონტამირებულია. შემორჩენილია
ისეთი ტექსტებიც, სადაც უფრო მეაფიოდ იკვეთება უუფუნა ფერხუ-
ლის, როგორც ამინდის რიტუალური ტექსტის მნიშვნელობა:

პატარა წევიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა,
დანამა, დანამა, დანამა,
დიდი მინდორი დანამა
[ფ. არქ. № 12117].

უუფუნას ფერხულების საწესო ხასიათზე მეტყველებს შემდეგი
ცნობაც: „მაგას ვიტყოდით ფერხულში ქალებისა. სულ შემოვივლი-
დით სოფელს. პირი ურწყობას უძახდით თებერეალში, მთელ დღე
ურწყობდენ... ღამეს ქალს გამოწყობდნენ ვუფურად, ვაჟს ქალურად
და ითამაშებდნენ და მერე ყველა გუნდაობდა“ [192, 369].

საფერხულო პოეზიაში მეტად გაფრცელებულია ხის ამოსელის
არქაული მოტივი. ეს მოტივი მეორდება ბატონობის საბოლიშო ფერ-
ხულებშიც: „მელიქისა ჭალაშია ვერხვი ვერხვსა ეხეეოდა, ბატონების
წყალობად ავადმყოფს ეფინებოდა“ [123].

ადრეგაზაფხულზე საქართველოში ბევრგან უქმობდნენ ბატონების მახლიზე: „ყველიერის ორშაბათ დღეს არაფერ საქმეს არ აკეთებდნენ. იგი დღე ყვავილ ბატონებს ეკუთვნისო“ [228, 119].

წმინდა ყველიერის ორშაბათს ეკლესიაში მიღიან თეთრად გამოწყობილი. ფეხშიშველი ქალები, ღამეს ათევენ ეკლესიის ეზოში, ბატონების სახელზე ლოცულობენ [158, 37].

ბატონობის საგალობელს ხის ორგვლივ შემოვლით მღეროდნენ. ტექსტებში ნახსენებია ბატონების ბალში ამოსული სასწაულებრივი ხე („ბატონების ბალშიაო“, მუხს ვაშლი ასხიაო“...). სასწაულებრივი განკურნების უნარი მითოსური სიცოცხლის ხის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და იგი ქართულ წარმოდგენებშიც შემორჩენილია: „გზის პირას, საჯერე განმარტოებით თელის დიდი ხეებია, ეს ხეები სალმთოდ მიაჩნდათ და ჰერნიათ, რომ იგი ჰერნებს სხვა და სხვა ავადმყოფობასო... ამატომ გზად გავლის დროს მგზავრი რამე ნიშანს მიაკრაეს ამ ხეს“ [222, 171].

... ისა ურებ ვარდსა ვკონავ, იავ ნანინაო,
თქუნს კვალს ეფინავ და შევამკობ, ვარდო ნანინაო,
იაგუნდის აგუნდის მარანმია, იავ ნანინაო,
ლვინო დგა და ლალი სჭვივსო, ვარდო ნანინაო,
შეგ ალვის ხე აბოსულა, იავ ნანინაო,
შავარდენი ფრთასა შლისო, ვარდო ნანინაო,
ნეტავი თქეენ, ბულბულებო, იავ ნანინაო,
მალლა სხედხართ, ლულუნებთო, ვარდო ნანინაო... [30, 263].

ბატონების საფერხულო ტექსტი ორგანულ კავშირშია იმ რიტუალებთან, რომლებიც სრულდებოდა ავადმყოფობის ხალხური წესებით მეურნალობის დროს. ია და ვარდი ბატონების საგალობლების უცვლელი ატრიბუტებია („ბატონებისა და დედასა ვარდი უსხია კერასა“) და ტექსტიდან ტექსტში გადადის. ეს მცენარეები ბატონების კულტის უძველესი ელემენტებისა და ბალახეულის მაგის ემყარება: „ბატონები ისე არ ამობრძანდება და არ ჩაბრძანდება, თუ არ მოუბოლდიშე და ყვავილების თაიგული არ მიართვის ისე არ ამოიფოთლება“ [42, 194]. ბატონების მებოლდიშე ქალი გაზაფხულზე ისა და ვარდს შეაგროვებდა, რომ მერე ამ ყვავილების წვერით ემკურნალა დავადებულისთვის, სახლში, ეზოში ის ნაყენს ასხურებენ, ბატონებს უყვარს [265, 88].

ვ. კოტეტიშვილი ჩვენთვის საინტერესო ტექსტების ანალიზის დროს წენიშნავს: „ნაგულისხმევია „ია“ და „ვარდი“ ყვავილების მნიშვნელობით, თუ სულ სხვა სახელებია, რომელთა მნიშვნელობაც დაიკარგა და შეემთხვა, შეეთვისა სულ სხვა რიგის ცნებებს, გარკვეული პასუხის უკუმა ჭერ ძნელია“. შემდეგ მქოლევარს მოჰყავს ზღაპარი

„იამ ჩა უთხრა ვარდსა, ვარდმა ჩა უთხრა ისასა“, სადაც „არავითარ მცენარეულზე არ არის საუბარი. იაც და ვარდიც ქვესკნელთან არიან დაკავშირებული... შეიძლება აქ პირდაპირ ქვესკნელის ღვთაებათა სახელები ისმოდეს“ [89, 324].

ისა და ვარდის ყვავილების მნიშვნელობით მოხსენიება სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ მათი ქვესკნელის ღვთაებებთან კავშირი ვივარაუდოთ. ცნობილია, რომ ბუნების ნაყოფიერების ძალები თავისი არსით კატახთონური ბუნებისანი არიან. ქვესკნელთან დაკავშირებულნი. გარდაცვლილი და აღმდგარი ღვთაების ეპიფანიის ნიშნები კი გაზაფხულზე სწორედ პირველი ყვავილების აღმოცენებაა:

„ყვავილები, ია-ვარდი ქვესკნელის სამეფოს ინსიგნიებია. ითა და ვარდით მოხხების ცერემონიალი მიუთითებს ბატონების მიწისქვეშეთურ ბანებაზე“ [42, 195].

საფერხულოებში მოხსენიებული ხე ნარგიზის ტოტებით და ზედ შემომსხდარი ბულბულებით ბატონების დედისთვის მისართმეები რიტუალური ხის უშუალო ასოციაციას იწვევს [206, 81—91].

ღვთაების კაზე ამოსული სიცოცხლის ხის მოტივი, რომელიც სამყაროს ღერძაღ, კოსმოსური მოღელის გამაერთიანებლად მოიაზრება, ქართული საფერხულოების ერთ-ერთი ძირითადი მოტივია და ისევე, როგორც სხვა ხალხების მითოლოგიურ წარმოდგენებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ბარაქიანობის და კეთილდღეობის სიმბოლოა.

ცნობილია, რომ ი. ჯავახიშვილმა ბარბალეს სახელს დაუკავშირა „გადამდებ სნეულებათა ბატონებად წოდებული გამონაყარიანი მოარულის საველრებელი „იავნანა“. ელ. ვირსალაძემ შეისწავლა ამის დამაღასტურებელი ფოლკლორული მასალა:

აქ ბატონები მობრძანდნენ, იაენაო,
მობრძანდნენ და მოეფინენ, იაენაო,
შვილი დანი, შვილი მმანი, იაენაო,
დედა ბარბარეს შვილები, იავნანა,
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინა,
დედა ბარბარევ, გეხვეწები, იავნანინა,
ავატყოფი მომირჩინე, იაენანინა [53, 162].

ელ. ვირსალაძის აზრით, წარმოდგენა „ავადმყოფობათა გამგებელ დიდ ბატონ ქალზე ერთგვარია მთელ საქართველოში“. ვფიქრობთ, ბარბალეს სახელთან ინფექციურ დაავაზებათა მკურნალი ღვთაების დაკავშირებამ გამოიწვია მისი დღეობის დაარსება სვანეთში ყველიერის ციკლში. როგორც ცნობილია, ეს დაავაზებები გაზაფხულზე იჩენს ხოლმე თავს განსაკუთრებით. თუმცა, სვანებში ადრეგაზაფხულზე ამ

დღეობის დარჩება შეამაგრეს განსაკუთრებული ლეგენდით. ამ დღეს, წარმოთქვამენ შემდვევ საგალობელს:

დადება დოლის ბარბალეო!
შესაწირავი გმართებს დიდისა...
ბარბალე, შენი ძალით
სკანეთში დადებით მოდიხარ...
ლამარია ხარჯს ამზადებს,
შესაწირავი მისი ხარები...
წმინდა ზედაშითაა სავსე
ამოულეველი სალოცავი ქვევრები
[188, 86].

ელ. ვირსალაძემ გამოავლინა ტექსტები, სადაც ბარბალე გვევლინება ტაროსის გამგებლად:

ახ, ბარბალე, ბარბალე,
ცა ღრუბლები აჲყარე! [53, 166].

ტექსტების ნაწილში კი იკვეთება ბარბალეს, როგორც თვალების მკურნალი ღვთაების თვისებები:

წმინდა ბარბალეო,
ქალი ამრავლეო,
ცალი თვალი დოუფენე,
ცალი ოუპარპალეო [53, 166].

კახეთის ფშაველების წარმოდგენითაც „ბარბალე თვალებისა არის... თვალები ვისაცა სტკივათ, ისინი სანთლით შამაივლიან ამ სალოცავის გარშემო შაბათ სალამოსა და ახევწებენ თვალის კაკლებს“ [თსუფა, № 26353].

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ „ბარბალობა ღდესლაც მზე-ბარბალის განახლება-აყვავების და სითბო-სინათლის მატებისა და გაძლიერებისათვის განკუთვნილი ზამთრის ნაბუნიობის ღღეობა იყო“ [20, 86], აქედან გამომდინარე ბარბალეს სახელს უკავშირებენ ბორბალს (ბორბალი — თვალი — მზე) და აღასტურებენ ამ ღვთაების აღვილობრივ წარმომავლობას (როგორც ფუნქციების, ისე სახელის მიხედვით).

უნდა შევნიშნოთ, რომ წმ. ბარბალეს, როგორც თვალების მკურნალის ფუნქცია უშუალოდ გამომდინარეობს მისი, როგორც ბაკვეთა ანთექციური დაავადებების მკურნალის ფუნქციიდან. ცნობილია. რომ ეს დაავადებები უპირველესად თვალებს უზიანიბდნენ დაავადებულებს (დაავადება „ყვავილი“ განსაკუთრებით). ვს აისახა კიდევაც ქართულ

შითოლოგიურ წარმოდგენებში. გავიხსენოთ ზღაპრები და გაღმოცემები, სადაც მოთხრობილია ბატონების სამფლობელოში მდგარ სკეტზე, რომელიც სავსეა და მოჭედილია დავადებულთა თვალებით.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბარბალეს მკურნალი (თვალებისაც) ღვთაებად გამოცხადება არა მხოლოდ ქართული სინამდვილის ფაქტი. ამ წმინდანის სახელს ანალოგიური წარმოდგენები უკავშირდება სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში [329, 35].

წმინდა ბარბალეს კულტი ბევრ ქვეყანაში დამკვიდრდა, როგორც ჩაყოფიერების მბოძებელისა და მკურნალისა. ქრისტიანული სალოცავები მას მოიხსენიებენ, როგორც „სენთა და ბუგთა მკურნალს“. ქართულ სალოცავებშიც ბარბარე მოიხსენიება სხვა მკურნალ წმინდანთა გვერდით: „წმინდაო ქალწულნო ქალნო: თეკლე, ორინე, მარინე, ბარბარა, წმინდაო პატიოსანო ჯვარო ცხოველმყოფელო...“ [მსე, XVI—XVII, 275].

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ნაკლებად დამაჯერებელია ბარბალეს წარმართული დროის ქალომერთად გამოცხადება და მისი სახელის ადგილობრივ, ქართულ წარმომავლობაზე მსჯელობა. ამ შეუსაბამობაზე ი. ჯავახიშვილიც შენიშვნავდა: „წ’ა ბარბალეს სახელი ხალც შეეძლო მხოლოდ ქრისტიანობასთან ერთად შეეთვისებინა“, შაგრამ თვითონვე ცდილობს მოძებნოს ძელი წარმართული სახელი, რომლის დამახინჯებასაც შესაძლოა ბარბარე წარმოადგინდეს, თუმცა იქვე ასკვნის: „საქმიანოსია აღამიანმა გაიხსენოს მზის თანამედროვე სკანური სახელი მაც. რომ ზემოთქმული მოსაზრება სრულიად უნიადაგო ფანტაზიად ეჩვენოს“ [19, 10].

წმინდა ბარბალეს ცხოვრების ქრისტიანული ლეგენდები შეიცავენ მითოლოგიურ მოტივებს, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საონტერესოა მოტივი „ქალი კოშკი“ (როგორც ცნობილია, წმ. ბარბალემ დაღო ქალწულობის ალთქმა და მამას იგი ჩაკეტილი ჰყავდა კოშკი).

შესაძლოა, ამ ლეგენდას ეხმიანებოდეს სვანეთში გავრცელებული ჩვეულება ამ დღეს თოვლის კოშკის აღმართვისა: „ამ დღეისთვის ეკლესიის ეზოში აღმართავდნენ დღიდ თოვლის კოშკს, რომელსაც შუაგულში ხეს დაატანებდნენ და მის წვერზე ხის ჯვარს დაამაგრებდნენ. ლოცვას შემდეგ მიემგზავრებოდნენ თოვლის კოშკისაკენ, აქ ისინი გარს უვლიდნენ თოვლის კოშკს და თან კვირიას მღეროდნენ. უბნებად დანაწილებული ძირს უთხრიდნენ კოშკს, მათი რწმენით, რა მხარესაც კოშკი წაიქცეოდა, იქით კარგი მოსავალი იქნებოდა. ამის გარდა, კარგი წლისათვის, ე. ი. კარგი მოსავლიანობისათვის მნიშვნელობა

ვქონდა იმისაც, თუ ვის ჩაუვარდებოდა ხელში კოშკის წვერზე აღ-
მართული ჭვარი...“ [53, 164].

ბარბალეს კავშირი კოშკთან შენიშნა ელ. ვირსალაძემაც, მაგრამ
უფრო კოშკი დატანებულ ხეზე გაამახვილა ყურადღება: „შესაძლე-
ბელია, სწორედ ეს ხე, რომელზედაც უნდა ასულიყო მზე-ბარბარე,
იგულისხმებოდა... თოვლის კოშკი ხის დატანებისას...“ ამასთან და-
კავშირებით, საგულისხმოა შემდეგი ტექსტი:

ბარბალო ღმერთო, ზე აღმრთულო, მადლიან ლამარია,
ტარო ბეჭნიერო, ბართონ ზეაღმართულო.... [20].

ალბათ, უფრო მეტ დაზუსტებას მოითხოვს ისეთი დებულებები,
როგორივაა, მაგალითად ი. კიკიძისი თვალსაზრისი: „ბარბარ (ბაბარ)
ბარბალე ქართველთა უძეველესი ქალღმერთია... წარმოშობილია მზის
და ნაყოფიერების ღვთაების „დიდი დვდის“ შვრწყმით“ [82, 156].

ქართულ წინარექრისტიანულ პანთეონს ახასიათებდა ქალური
ღვთაებების დომინირება, რაც ასახა ბუნების დიდი დედის, დედა
უფალი, კულტში. ნაყოფიერების ქალურმა კულტებმა სხვადასხვა
კუთხის მითოლოგიურ წარმოდგენებში სხვადასხვავარად იჩინა თავი
(დალი, აღგილის დედა, ავაღმყოფობის დემონთა მფარეველი, ბუნების
დიდი დედა და სხვ.). მითოსურ წარმოდგენებს არ მიუღიათ ერთიანი
სისტემის სახე მთელი საქართველოს მასშტაბით. თუმცა, არც იმის
უარყოფა შეიძლება, რომ ქრისტიანულ წმ. ბარბალეს კულტს დაუ-
კავშირდა წინარექრისტიანული, ტრადიციული, ხალხური წარმოდგე-
ნები და წეს-ჩვეულებები.

„მადლი მახარობელსა“: საგაზაფხულო საფვრხხულოებში ყურად-
ღებას იქცევს საალდგომო „მადლი მახარობელსა“, რომელიც საგაზაფ-
ხულო დღესასწაულის მხიარულ განწყობილებას, ყველა სულიერის
სიხარულსა და აღტაცებას გადმოგვცემს (აღდგომა დღეს მზესაც უხა-
რიან, ისიც კი თამაშობსო, იტყოდნენ):

ქრისტე აღდგა, გვიხაროდეს! მადლი მახარობელსაო!
რომელსა და რომელსაო? ჩვენსა მახარობელსაო.

გაიხაროს ყოველმა სულმა, ყოვლმა სულმა-სულიერმა
სულ ყველაზ გაიხაროსო.

ჭიანჭველაზ ფოლორცისმან, იმანაც გაიხაროსო.

გუშინ ბიჭმა დედა-ბოზმა ზეცის კარი გადიარა.

ტანსა ეცეა თეთრი ჩოხა, ქუდი მოევარდიანა.

ნიაემა შეურჩიან.

ნიაე-წვრილი მზესა ჟყვარობს და ქარ-ბუქი აესა დარსა.

აესა დარსა წვიმიანსა კარგი დარი გეირჩევნია.

აესა კაცსა ბიშვერსა სათნო კაცი გვირჩევნია.
ბერსა ქალსა ბებერასა ახალგაზრდა გვირჩევნია.
გვირჩევნია! გვირჩევნია! [191, 320].

„მაღლი მახარობლისას“ ფერხულს შუამარხვიდან ჩაბამდნენ და
ამაღლებამდე ასრულებდნენ („შუამარხვას ამიშვიო, ამაღლებას გამი-
შვიო“).

ფერხულის სხვადასხვა ვარიანტების დასაწყისები ხოტბას ასხამს
აღდგომის დღესასწაულს და დალოცვითი ხასიათისაა:

ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს! მაღლი მახარობელსაო!
რომელსა და რომელსაო? ჩეენსა მახარობელსაო!
გაიხაროს ყოვლმა სულმა, ყოვლმა სულიერმა,
სულ დიღმა და სულ პატარამ, ცოდვილმა და მაღლიერმა,
ჩიღმა, შაშემა და შერშემა, კიანგველამ ფოლორცისამა,
მმა და ველმა და ფურცელმა, ნაღირმა შავი ტყისამა,
ზეცას იხაროს ვარსკვლავმა, მიწაზე ნახნავ-ნათესმა... [8, 15].

რაც შეეხება ფერხულის გაგრძელებებს, სხვადასხვა ვარიანტებში
ჩანს კავშირი საგაზაფხულო საფერხულოებთან.

თეთრჩოხიანი, ქუდვარდიანი ვაჟის (რომელიც, როგორც მიუთი-
თებენ, გაზაფხულის განსახიერებას უნდა წარმოადგენდეს) ქართან,
ნიავთან დაპირისპირება, („ქუდი ქარმა მიიტაცა, ჩოხა ქარმა შეურჩია“)
ფერხულს აახლოებს სხვა საგაზაფხულო ლექსებთან, რომელთა ძირი-
თადი მოტივები წლის დროთა ცვლა, ზამთარ-ზაფხულის ბრძოლა
იყო:

გუშინ ბიჭმა დედათ ბოზმა ზეცის კარი გადიარა,
ტანთ ჩაეცა თეთრი ჩოხა, ქუდი მოევარდიანა,
ჩოხა კაცმა გახდაო, ქუდი ქარმა მოსტაცაო,
ქუდი დილით შელებილი ჩაპქონდა, ჩაეშალაო,
მას სიყრმე მოეშალაო [თსუფა, № 295].

საგაზაფხულო ფერხულებში ფოთლებით, ყვავილებით მორთვის
ჩვეულებას ასე აღწერს ა. წულაძე: „ერთ-ერთ მოცეკვავე ვაჟს მთლია-
ნად მორთავდნენ მშვანე ფოთლებით... ქუდი და ქამარ-ხმალიც კო-
ფოთლებისაგან უნდა ყოფილიყო...“ [228, 98].

ფერხულის ვარიანტებში ხშირად მეორდება შემდეგი მოტივი:

... ზეცას იხაროს ვარსკვლავმა,
მიწაზე ნახნავ-ნათესმა,
ტყეში რომ ქალი შვერდა
მანაც და სხვამაც ათასმა [8, 15].

ქალების ტყეში შესვლა ყვავილების, სხვა მცენარეების საკრეფად საგაზაფხულო პოეზიის გავრცელებული მოტივია. ეს მოტივი კიდევ უფრო იშლება სხვა ვარიანტებში, სადაც სატრფიალო ელფერსაც იძენს:

... ტყეში ქალები წასულან ქალაკოდას საკრეფადა,
ქარაკოდა ქალს მოპქონდა, საკაზმავი მდინარესა.
დავეწიე, დავიჭირე, ჩავეხვიე მძინარესა... [თსუფა, № 25691].

ფერხულის ზოგიერთ ვარიანტში უღერს ტრაგიული მოტივები:

... მთაში ქალები წავიდნენ
ქალაკოდას საკრეფადა
ქალაკოდა ქარს მოპყონდა,
ქალის თავი მდინარესო...
[ფ. აჩქ., ს. № 103, გვ. 23].

შაგრამ შინაარსი იმდენად გაბუნდოვნებულია ტექსტის ტრანს-ფორმაციის შედეგად, რომ ჭირს გარკვევით რაიმეს თქმა. შესაძლოა, მოყვანილი ტექსტები ოდესლაც უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა უკვე განხილულ ფერხულებს, რომლებიც საგაზაფხულო მსხვერპლის ტრაგიულ ბეღს ამუშავებს. შეადარეთ ფერხულის სხვა ვარიანტის დაბოლოება:

... არაგვის ნაირებზედა
სისხლისა წყარო ღიოდა
არცა დის, არცა შრებოდა
ისევ და ისევ ღიოდა
[ფ. აჩქ., ს. № 103, გვ. 240].

„ია მთაზედა“: საგაზაფხულო ნიღბოსნურ წარმოდგენებს უკავშირდება ცნობილი ქალების ფერხულიც „ია მთაზედა“: „შუაში იმ-წყვდევენ მამაკაცს დათვის ნიღბაში, აძლევენ დავალებას, ასრულებს, ხოლო ზოგჯერ ისეთ რამეს მოიმოქმედებს, რასაც ქალები დაირცხე-ნენ და წივილ-კივილით დაიშლებიან ხოლმე:

ია მთაზედაო, ია მთაზედაო,
ითოვლე, თოვლო, ითოვლე, თოვლო ითოვლეო.
ია მთაზედაო, თოვლიანზედაო,
ია დავთესეთ, ეარდი მოსულაო.
შიგ ირმის ჭოგი იყოვო,
შიგ შეჩეულაო,
ნეტამ ეძოენათო, არ გაექელნათო“ [187, 39].

ფერხულის გაგრძელებები აღწერენ ტრაგედიას, რომელიც და-ტრიალდა სიძე-სიმამრს შორის, ჩნდება მონადირის მიხნური ქალიც:

სიძე-სიმამრი
მთას ნადირობდა
შეხვდათ ორები,
ქორბულიანი.
სტყორცნა სიძემა —
მოკლა ორები,
სტყორცნა სიმამრმა —
მოკლა სასიძო [216, 77].

ბალადა საკმაოდაა შესწავლილი ქართველ მეცნიერთა შივრ და მართებულადაა დაყავშირებული ნადირთ პატირონის და მისი მიჯნური მონადირის ციკლის ფერხულებთან [54, 103—110; 75, 96—98; 216, 70—91].

ნადირთ ღვთაება კვლავ იჩის სახით მოუკლინება მონადირეს და სიკედილის გზაზე გაიტყუებს. ფერხული ბოლოვდება მონადირის სატრაფოს მოთქმით.

ია-ვარდის ხსენება თოვლიან მთაზე უდავოდ აღრეგაზაფხულს გულისხმობს, კონფლიქტის ხასიათი იწვევს გავრცელებული ლექსის „იანვრისა რვასა“ ასოციაციას:

იანვრისა რვასა,
ნუ ენდობი მთასა.
ნურც სიძე-სიმაურსა,
ნურცა ცოლის ძმასა [128, 58].

ხალხის რწმენით, „ამ დღეს აუცილებლად შეიცვლება ამინდი-ამირომ არ გავდიოდით შორს საღმე. უვარგისი დღე იყო. ცოლისძმაშ მოკლა სიძე. დამარცხდა ნადირობის დროს, ამის მერე დაარქვეს ნავსი-დღე“*.

რვა იანვარი (ძეელი სტილით) კვიმატ დღედ ითვლებოდა გურია-შიც [228, 111], სამეგრელოში [406, 4].

გადმოცემით, ამ დღეს მოსალოდნელია ცუდი ამინდი, ქარბუქი-იმასაც გადმოგვცემენ, რომ ამ დღეს რაღაც უბედურება მომხდარა სანადიროდ წასულ სიძესა და სიმამრს შორის, შემოპევდომია სიძე სიმამრს და ამის შემდეგ დაწესებულა ამ დღეს მგზავრობის აქტორება და ეს ლექსიც გამოუთქვამთ:**

* ავტორის საელე მასალები, რვ. № 2, გვ. 32.

** ავტორის საელე მასალა, რვ. 1, გვ. 22.

შეადარეთ: თ. შიოშვილი, თელო სახოյას ფოლელორისტული მოღვაწეობა.— „საბჭოთა აქადამია“. ბათუმი. 1987, გვ. 36.

იანვრისა რვასაო, ნუ გამოხვალ კარსაო,
ნურცა მიხვალ დისასა, ნურცა ცოლის ძმისასა,
თუ მიხვიდე დისასა, თეთრი გეღლის ქისასა [129, 127].

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ლექსს გაზაფხულზე, მარტის პირველ დღესაც ასრულებდნენ:

„მარტის პირველ თოვლიან დღეს ოჯახის წევრი დულაპარაკებლად შამერტანს სახლში თოვლს და მოაყრის ყველგან. იტყვის: „იანვრისა რვასა... და ა. შ.“ [ბსკიფა, ს. № 248, გვ. 38].

„სამაია“: საგაზაფხულო საფერხსულოებში უურადღებას იქცევს „სამაიას“ ტექსტი. „სამაიას“ შესრულების ტრადიციაზე აღრეულ ცნობებს გვაწვდიან სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ ბატონიშვილი, ალ-ორბელიანი, თეომურაშ მეორე:

... სამაიაში ქალებსა იღლიაში უძვრებისა,
შაირს ეტყვეს სამიჯნუროს, უკრავს, ახლოს უდგებისა...
ცალგნით არის კაცის ხმანი, ცალგნით იყოს ქალებისა [67, 72].

დ. ჯანელიძე სამაიას ტექსტის ანალიზისას შენიშნავს, რომ „სამაიას მითოლოგებით ასახულია ღმერთებთან მებრძოლი გმირის განწილვით დაღუპვა და შემდეგ მისი გაცოცხლება..., მკვდრეთით აღდგომა და სიხარული“ [247].

ჩვენი აზრით, სიტყვები „არიგებული, ჩარიგებული“ გმირის განწილვას კი არ გულისხმობს, არამედ ორმწკრივი ფერხსულის მონაწილეების მოძრაობას თუ პოზას აღწერს. ანალოგიური შინაარსითაა ნახმარო ეს სიტყვები შემდეგ სუფრულშიც:

ტურფანი სხედან ჩარდახსა,
არიგებ-ჩარიგებული,
წინ ლურჯი სუფრა უშლიათ,
ზედ ლეინო მორიგებული²⁸.

ალ. ორბელიანი კარგად აღწერს „არიგებულ-ჩარიგებულ“ ფერხსულს: „ბევრი კარგი თამაშობა არის ჩვენში მღერით. სამაია ქალნი და კაცნი ორ დასად გაყოფილი ერთმანეთის პირდაპირ კარგა მოშორებით, ხელი ხელს გაბმულები მწერივათ; ჯერ ერთი გაბმული დასი წამოვიდოდა, თავის პირისპირ დასისა, წყნარად მომავალნი და თან ამას მომლეროდნენ:

სამაია სამთაგანა რა ტურფა რამ ხარო...

და სხვანი ასე უნდა მოსულიყვნენ მოპირდაპირე დასთან, ეს მომლერალი დასი, მასუკან მღერითეე გატრიალებულიყვნენ და თავის აღვილს

მისულიყვნენ... ეს პირველი დასი თავის ადგილს რომ დადგებოდა მწკრივათ, დადგომასთან სიმღერა უნდა დაესრულებინათ მაშინვე, ამ დროს ის მეორე დასი ჩამოართმევდა სიმღერასა პირველს დასსა... თანდათან კი აჩქარებდნენ სიმღერასა თავის შეწყობილის ლექსებითა“ [132, 216].

სამაია სამთაგანა, რა ტურფა რამ ხარო,
სამაიას თავი მიყვარდა, რა ტურფა რამ ხარო,
ლისო, ლისო, ქარი ქრისო, ლისიმ დალალეო
შავარდვნი ფრთასა შლისო, ლისიმ დალალეო,
არიგებულ, ჩარიგებულ — რა ტურფა რამ ხარო,
დაუკლიდი, დაცყვებოდი, რა ტურფა რამ ხარო.
სამაია სამთაგანა, რა ტურფა რამ ხარო,
ლისო, ლისო, ქარი ქრისო, ლისიმ დალალეო,
შავარდვნი ფრთასა შლისო, ლისიმ დალალეო [14, 137].

სიტყვები „არიგებულ ჩარიგებული“ ისევე როგორც „აუკლიდი, დაუკლიდი, „შევარდენი ფრთასა შლისო“ მოცეკვავეთა და სოლისტის საცეკვაო მოძრაობებს აღწერს. ახალგაზრდა ვაერის, სატრფოს შავარდვნის სახით წარმოდგენა ბევრი ხალხის სატრფიიალო ლირიკაში გვხვდება. ეს მოტივი ქართულ პოეზიაშიცაა გავრცელებული („შევარდენი ამოფრინდა აბრეშუმის ბუდიდანა...“):

წმოქ სალაშაროდა, ორ ქალთ შუაზე ვიჯოდი,
საცა ბუზიკა აჩქარდის, უწინ შე გაღმოვფრინდი,
უვლიდი სამაიასა, ბეჭებში მოვიდრიკოდი [38, 47].

სამაიას ტვექსტებსა და შესრულების წესების განმარტებებში ხშირად იჩენს თავს სამის, სამობის გავება სხვადასხვავარ კონტექსტში (სამგუნდოვანი ფერხული, სამაია, სამაია სამთაგანა, ხორონის სამეული, სამი ლვთაჟა: ლისიმ (დალ) ალე...)

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ხალხურ ლექსებში დადასტურებული ფორმა „სამაიასი“:

„სამაიას“ სამ მაიას უმღერან გულითაო...“
„ჩვენ სამ დასა მაიასა...“ და სხვა [161, 26].

ელ. ვირსალაძე ტექსტის კომენტარებში შენიშნაეს: „მიუხედავად გადაკეთებებისა და ჩანართებისა, ტექსტში აშკარად ჩანს არქაული ელემენტები და იგრძნობა ფერხულის ძველი, იქნებ საწესო ფუნქციაც“ [161, 141].

გ. სვანიძის მიერ მოყვანილი ვარიანტი ფერხულის სატრფიალო ხასიათს ამჟღავნებს:

ჩვენ სამ დასა მაიასა,
ეგებ გაეხსნათ ბედია,
სამი სასიძო მოვიღეს,
სიტყვა თქვან გასაგებია [161, 26].

„სამაიას“ ფერხულის თავისუფალ, სატრფიალო ხასიათზე მე-
ტყველებს შემდეგი ხალხური ლექსიც:

მარიამ, ჩემო დობილო,
თეთრო მაისის წვემაო,
ბევრ ქალი შესვა ვირზედა
ფერად-ფერადის მძიგმაო,
ვაუებთან ლოგინობამა,
სამაიამა-დ ლხინმაო [192, 455].

„სამაიას“ ტექსტი, თავისი შინაარსით, უახლოვდება ბარბარე
ჯორჯაძის მიერ აღწერილ ყველიერის საწესო ფერხულს (საღაც რე-
ფრენად მეორედება „სამაია, სამთაგანა“):

„ყველიერი იყო... ხან კაცებს ფერხული ებათ და ქალები ძერა-
ბუას თამაშობდნენ. იქით მყუდროზე მჯდომამა ხანში შესულმა დედა-
კაცმა დაუძახა ქალებს: მაგის თამაშობას საშაია დააბათ და ქალის
მოტაცება ითამაშოთ, ის არა სჯობს? თამარათ დასვეს თებრო... ერთი
ხანში შესული დედაკაცი უკან მოუჭდება და გარშემო რამდენიმე ქა-
ლი დაუდგა. ოცამდე ქალმა კიდევ ურთმანეთს კაბის ნაოჭზედ ხელი
მოჰკიდეს, გრძლად დადგენ და სიმღერით თებროს გარს შემოუარეს:

- ქალი მოვევე, მოგვათხოვე, გულას გარდამაო...
- არც მოგვემოთ და არც გიყალრებთ, თამარ კარგა გვყაო,
სამაია, სამთაგანა, გულას გარდამაო.
- ჰა, ნიშანი, მოგვე ქალი, გულას გარდამაო,
- არც მოგვემოთ და არც გიყალრებთ, თამარ კარგა გვყაო,
სამაია, სამთაგანა, გულას გარდამაო.
- მაგ წყვეულ ლამაზია, ჩვენს ეს მოუნდაო,
- თქვენი ვაჟი სულ არ მოგვწონს და არც ქალს უნდაო,
სამაია, სამთაგანა, თამარ კარგა გვყაო.
- თქვენი ქალი ვოთომ ვაჟზე უკეთესიაო?
- მაშ არა და გახუხული, ასე თეთრიაო?
- თქვენი ქალი, თარს თაგვი, გულას გარდამაო,
- თქვენი ვაჟი ქაჩალია, თამარ კარგა გვყაო.
- მოვალთ, ძალათ მოვიტაცებთ, გულას გარდამაო.
- თავს დაედებთ, არ დაგნებდებით, თამარ კარგა გვყაო...

მერე უცებ ერთიან ქალები მისცვივდნენ ქალის მოდარაჯეებს,
წაართვეს კივილ-წივილით და ეს თამაშობა ამით გაათავეს“ [249, 53].

„ქალტაციობას“ ო. ერისთავიც აღწერს [„კრებული“, 1872, № 3]:
მოთამაშეთა ორ მოპირდაპირე პარტიად დაყოფა, გადარბენა-გადმორ-
ბენა, ქალის გატაცების ინსცენირება გავრცელებული თამაშობა იყო
საქართველოში. საგაზაფხულო ციკლთან კავშირი ამ საფერხულოებს
საწესჩვეულებო ფოლკლორის რეპურტიულში აქცევს [არჩევანი-არა-
დანი, „ნიშან-ნიშანი“, „ღილილო-ოქროს ღილო“ და სხვა].

„სამაიას“ მსგავს თამაშობას გ. ლეონიძეც ვარდობისთვის, მაისო-
ბის სახალხო დღესასწაულის ღროს აღწერს თავის მოგონებებში: „მო-
ზარდები ფოლორცზე ორ ჯგუფად გავიყავით. ერთი ცალ მხარეს ედგა,
მეორე — მის პირდაპირ. ხელიხელთ გვქონდა დავლებული. ჩვენ რომ
სიმღერით ვიტყოდით, თან სკუპით წინ მივიწევდით, მეორე ჯგუფი
შეგვეპასუხებოდა სიმღერით და სკუპითვე უკან დაიწევდა:

— ა, ნიშანი, მოგვეც ქალი, თამროს გარდამა!

— არ მოგცემთ და არ გიადრებთ, თამრო კარგა გვყაო...“ და ა. შ.

[96, 185, 187].

„სამაიას“ ეტიმოლოგიისათვის, ალბათ, საინტერესოა იმ ფაქტის:
მოხმობაც, რომ გურიაში იცოდნენ საგაზაფხულო თამაშობა „მაია“,
რომლის ღროსაც ორ მოპირდაპირე მწერივს შორის გადასარბენ მიწის.
მონაცვეთს მაიას ეძახდნენ [348, 55].

შესაძლოა, ქართული „სამაიას“ სათავე მიწის, ნაყოფიერების, ქა-
ლების მფარველი ღვთაების მაიას კულტის უკავშირდებოდეს, რომლის
დღეობაც გაზაფხულზე, კერძოდ, მაისის კალენდებში იმართებოდა
[295].

გიორგობის ფერხულები: წმინდა გიორგი საქართველოში ერთ-
ერთი ყველაზე უფრო დიდი წმინდანია. წმინდა გიორგის კულტის გავ-
რცელება განსაკუთრებით IX ს-დან ხდება. გიორგობის დღეობას გრან-
დიოზული ხასიათი ჰქონდა. ჩვენამდე საქმაო რაოდენობით მოაღწია
წმ. გიორგის დღეობებზე (გაზაფხულის გიორგობა, შემოდგომის გი-
ორგობა) შესასრულებელმა პოეტური ფოლკლორის ნიმუშებმა. სალო-
ცავად ყოველი კუთხიდან მოღიოდა ხალხი.

კასტელი აღწერს გიორგობის დღეობას და შენიშნავს, საქართვე-
ლოს მცხოვრებლები წმინდა გიორგის სცნობენ მოსარჩევედ და ბატო-
ნადო 78]:

ღიღება (და) ღმერთს ღიღება!

ღიღება (და) ღვთას ღიღება!

ღიღება (და) წმ. გიორგი!

კუტია (და) აღმაღვნებელსაო!

ბრძის თვალის (და) ამხალებელსო!

მთისანი და ბარისანი (და)
ყველა ხალხი (და) კარს მოგიდის (და)
დიდება (და) ღმერთს დიდება! [187, 30].

ჯუდიჩე მილანელიც გადმოგვცემს, რომ სამეგრელოში წმინდა გი-
ორგისაღმი მიძღვნილი დღესასწაული ყველა სხვა უქმესთან შედარე-
ბით მთავარ დღესასწაულად ითვლება [124, 122].

წმინდა გიორგის მართლაც უდიდესი ადგილი ეჭავა ქართველი
კაცის სულიერ ცხოვრებაში. გასაჭირში ჩავარონილი კაცი პირველად
მას ახსენებდა.

წმინდა გიორგი, ქართული ტრადიციის მიხედვით, წმინდა ნინოს
ახლო ნათესავი იყო, კაპიტოიელი და, როგორც ვარაუდობენ, „ქარ-
თულთაგან უნდა იყოს“ [„საქართველოს სამოთხე“, 55].

იქნებ ამით აიხსნება წმინდა გიორგის ასეთი დამკვიდრება საქარ-
თველოში. კასტელი ამასაც შენიშნავს, ქართველებს გიორგიელებს რომ
უწოდებენ, დაკავშირებულია წმ. გიორგის სახელთანი: წარმართულ
ეპოქაში ძველ ბერძენთაგან ქართველთათვის შეჩქმეული სახელი —
გეორგოსები, მიწათმოქმედები — ქრისტიანულ ეპოქაში გადააზრებუ-
ლი იქნა, როგორც წმინდა გიორგის მიმდვერინი, რადგან დრაკონის
დამთრგუნველი წმინდანის სახე ყველაზე უფრო გაითავისა ქართველმა
ხალხმა.

ეკლესიასთან ყოველ 23 აპრილს, გიორგობის დღეობისას, ფერ-
ხულს აბამდნენ [„დროება“, 1875, № 49].

წმინდა გიორგი ცხოველო, ცხოველო,
შენ სალოცავად მოველო, მოველო,
შელონებულსა ჩემს გულსა, ჩემს გულსა,
შენი წყალობა მოეო, მოეო [9].

ვ. ბარდაველიძე შენიშნავდა, წმინდა გიორგის 30 ეპითვტი ამ
ღვთაებას ბუნების მრავალფეროვნებაზე მიუთითებსო [226, 22]. ეს
დღეობათა ტექსტებშიც დასტურდება:

დღესამ დღეობა ვისია?
წმინდა გიორგისია.
ყმათალ უმატე, გიორგი,
თუ გინდან მოსახელენი,
პურისალ უმატე, გიორგი,
თუ გინდა კოდნი საგსენი
ცხარსაც უმატე, გიორგი
თუ გინდან ჩქა-ჭანგიანი [188, 61].

ხალხურ ლექსებში, საღღეობო ფერხულებშიც ჩანს წმინდა გიორ-
გის ფუნქციათა მრავალფეროვნება: ამინდის მფარველისა („ცა ჭებ-
ხალხურ ლექსებში, საღღეობო ფერხულებშიც ჩანს წმინდა გიორ-
გის ფუნქციათა მრავალფეროვნება: ამინდის მფარველისა („ცა ჭებ-

დეს, ქუხდეს, ელავდეს, წმინდა გიორგი იქნება“), მონადირეთა მშველეულისა (“ნადირი ბევრი მოუდის, არჩევი, ირემი, მშველია“), „მუხის ანგელოზისა“ (“გორაზე მედგა ბერმუხა“), საყრმოს ერთგული ბატონისა (“უგულოს გული ჩაუდგა, წელზე ჩააბა ხმალია“), დავლათ-ბარაქის მომტანისა (“პურისალ უმატე გიორგი...“, „ცხვარისალ უმატე გიორგი...“), შთამომავლობის სიმრავლის მბოძებლისა (“ყმასალ უმატე, გიორგი...“) და სხვა. ასევე წმინდანის „ხარიპარიობა“. ორმის გამოჩენა დღეობისას, ამინდის წინასწარმეტყველება, მოსავალზეც და ა. შ.

ყველა ზემოთ მოხმობილი უნარი „ყოველდღიური რუტინული პრაქტიკაა წმინდანისა, ხალხის მფარველისა და დამცველისა“ [427, 82].

წმინდა გიორგის ხალხური კულტი მართლაც „ნაციონალურ“ და „ლოკალურ“ გლოვერს ატარებდა [397, 146]. ერთ-ერთ ხალხურ შესლოცვაში წმინდა გიორგის ოთხმოცდაათამდე სახელია მოხსენიებული, კაპადოკიის წმინდანი ილორისაცაა, ოდიშის, გურიის, სვანეთის, ატოცის, არმოსიც და ა. შ. [427, 129].

გიორგობის ფერხულებში კვლავ იჩენს თავს წმინდა ხის მოტივი [297, 125].

დღესამ დღეობა ვისია?
წმინდა გიორგისია...
გიორგის გადმონავალზე
ხე ალვად ამოდიოდა [188, 50].

საკულტო სიმღერებში არაერთგზის ნახსენები ალვის ხე (მუხა, იფანი) სიმბოლურად განასახიერებს ცხოვრების ხეს, სამყაროს სკნელთა შემაერთებელს.

წმინდა საროს მოკვეთის ლეგენდას თავისთავად უძველესი ფესვები აქვს. „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი სურათიც ხის მოკვეთისა მოგვაგონებს კიბელესა და ატისის საგაზაფხულო დღესასწაულს, რომელიც ასევე 22—25 მარტს იმართებოდა. „მოპერეთეს ხე ივი და წარმოიღეს რტოთურთ თვისით, და მოაქუხდა ათსა ათეულსა კაცსა ზეზე რტოთურთ და ფურცლითურთ შემოაქუნდა ქალაქიად, და შემოკრბა ერი ხილვად მწვანის ფერობასა მას და ფურცლიანობასა. ეამსა ზამთრისასა, ოდეს სხუა ყოველი ხე მელ იყო, ხოლო ესე ფურცელდაუცვენელი, სულ-ამო და სახილველად შუენიერი... ესე მოპერეთეს მარტსა ოცდახუთსა [180, 119—120].

გაზაფხულის გიორგობის და ოდდგომის დღეობების აღწერილობებში ხშირად მეორდება ხის მოთხრის (მოკვეთის) რიტუალი, რაც,

ჩვენი აზრით, შესაძლოა უშესაბამის კავშირში იყოს საფერხულოებში ნახსენებ ხესთან და წმინდა ხის მოკვეთასა. და საროს აღმართვას უკავშირდებოდეს [„კავკაზიი“, 1878, № 229—230; „კვალი“, № 1895, № 1; „დროება“, 1875, № 20]: „... დიდი წამებულის და გამარჯვებულის წმინდა გიორგის სატაძრო დღესასწაულისას (23 აპრილს) დაიწყებენ უზარმაზარი ხის რყევას, ზოგიერთი ზემოთაც გადის და ტოტებში მოკალათდება, იქამდე აქანებენ, სანამ ფესვებიანად არ ამოთხოიან. ამის შემდეგ ხეს სამჯერ შემოატარებენ ეკლესიის ირგვლივ...“ [47, 110].

საფერხულოებში ხშირად გვხვდება ხილის (უმეტესად ვაზის) ნაყოფის უჭმელობის მიზეზით ქალ-ვაჟის, ქალ-რძლის, „უდროოდ ჩამოშლის“, „უდროოდ დაშაულობის“, „უდროოდ ჩამოშაულობის“ მოტივი. რომელსაც ვ. ბარდაველიძე ფერხულის შესრულების წესების დაზღვევით ხსნის [266, 57]:

წმინდა გიორგის კარზედა ხე ალეად ამოსულია,
ზედა დაჭიშმია ყურძენი, საჭმელად შემოსულია,
რმის უჭმელი ქალ-ვაჟი შავადა შემოსილია [223, 4].

უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ზ. კიკნაძის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ყურძენი გიორგობის ფერხულებში ჩნდება, როგორც ზიარების სიმბოლო, ქალ-ვაჟის დაშაულობის, ჩამოშლის მიზეზი კი მათი უზიარებლობაა [87, 174]²⁹.

კალენდარულ ციკლში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ხალხური კალენდარი და შესაბამისი ფოლკლორი. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი წარმოადგენს ქრისტიანული საქართველოს ერთიან, მაგრამ ავტონომიურად ფუნქციონირებად რეგიონს (გ. მელიქიშვილი), სადაც, შეიძლება ითვეას, XX ს-ის დასაწყისამდე მაინც იყო დაცული ტრადიციული, ინდუსტრიამდელი საზოგადოების თავისებურებანი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ჯა ფოლკლორის თავისებურებას შეადგენს ე. წ. ხალხური რელიგიურობა, ხალხური რწმენა-წარმოადგენების რელიგიური სინკრეტიზმი. ქართველ მთიელთა ჯვარ-ხატების კულტმსახურებაც ატარებს ამ სინკრეტიზმის კვალს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საზაფხულო დღეობათა ციკლის დასაწყისი, ათენგენა, (ქრისტიანული კალენდრით, 29 ივლისი), არის ხსნების დღე მღვდელმოწამე ათინოგენისა, (იოანე ჭოსიმე: „წამება ათენაგე მღვდელ-მოძღვარისა — დღესა ვარდობასა), უკავშირ-

დება პეტრე-პავლობის დღეობას, მის მომდევნო კვირა დღეს [86, 147].

ათენგენა — ზაფხულის დღეობათა (ხატობათა) ციკლი გრძელდებოდა დიდხანს, გადადიოდა სალოცავიდან სალოცავში. ხატობა-დღეობებს ან ზოგადად ათენგენობას უწოდებენ, ან იმ სალოცავის სახელს, სადაც ტარდებოდა (ლაშარობა, კოპალობა, იახსარობა და ა. შ.).

ხატობები (სათემო, სასოფლო) ერთი წესითა და რიგით სრულდებოდა თითქმის ყველგან: „ამ დროს მივდივართ ხატში, ქადას მივუტანთ, ყველს მივუტანთ, საკლავს დაკლავთ, ბევრ სანთლებს ავუნთებთ, დავამწყალობებთ — გწყალობდეთ და გიშველოსთა — ლუდს მოვგარაშავთ. დავდგმთ ვერცხლის თასებს, სანთლებს დავაკრავთ თასებს, ლუდს დავასხამთ და ვლოცულობთ. სახატეში ფანდური ვაჯვს, მერე ლექსებს ვიმღერებთ“ [თსუფა, № 24072].

ხატებში ასრულებდნენ ძეველ სიმღერებს, საგმირო და მითოლოგიური თემატიკით, ძირითადად, მორიგე ღმერთის თუ ღვთისშვილთა საღიძებლად. ვ. ბარდაველიძე შენიშნავს, რომ ეს ღვთისშვილთა საღიძებელი საფერხულოები „ნახევრად ისტორიული, ნახევრად ლეგენდარული და მითოლოგიური მოთხრობებია იმ ღვთაებების შესახებ, რომლებსაც უხდიდნენ დღეობას“. ხალხს კარგადა აქვს გააჩრებული ირეარქია ღმერთსა და ღვთისშვილებს შორის: „პირველ ღმერთი ას, მემრე ხატები. ხატები ბევრნი არიან, ღმერთი ერთია... ხატები ზეცისანი არიან, ქაჯნი და ეშმაკნი ქვესკნელისა იქნებოდნენ“ [თსუფა, № 23988].

ერთი ფშაველი მთქმელი ამბობს: „ლოცვაში, ხატში... ჩვენ არ ვახსენებთ მზესა, არც მთვარესა, მხოლოთ კია, რადგან ღმერთმა ხმელეთი დააარსა, მზე, მთვარე დაპტინა, აკურთხნა ღვთისშვილნი ღვთისშვილადა, ჩაგაბარათ ხორციელ მოსამსახურედა — აი, ჩვენ ამას თავის ხატ-ღმერთის დიდებაში ვურემთ“ [თსუფა, № 14973].

ხალხური ქრისტიანული კულტები და კულტმსახურება რამდენადმე განსხვავდება სამღვდელოებისა თუ სამეფო კარის ღვთისმსახურებისაგან, რამაც ბევრი გაუგებრობა წარმოშვა. კამათი ამ საკითხებზე დღემდე გრძელდება მეცნიერთა შორის. ხალხური ქრისტიანობისთვის დამახასიათებელი სიკრეტიზმი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წმინდანების და ღვთისშვილების სახელთა უბრალო ჩამოთვლაშიც მეღავნდება (როგორც ამას შენიშნავდა გ. შარაშიძე თავის ნაშრომში [465, 18]): კოპალა, იახსარი, წმიდა თამარი, წმიდა ელია, კვირია, წმიდა გიორგი, ლაშარი, წმიდა მარიამი.

რაც შეეხება საფერხულოებს, „ფერხისები დღეობის დასასრულს ხატის კარზე სრულდებოდა ხალხის დასამწყალობებლად, ხელიხელგა-

დახვეული მამაკაცები წრეს შეერავდნენ. ეს წრე ხშირად ორსართულიანი იყო. იწყებოდა წრიული როკვა და ტანის რიტმული რხევა, რასაც თან სიმღერა ახლდა. სიმღერების შინაარსი, უმეტესად ღვთისშეიღთა საღიღებელი ან საგმრრო შინაარსის იყო [39, 225].

ზაფხულის ციკლის მთავარი ხატობებია ლაშარის ჯვარი (ფშავში), გუდანის ჯვარი (ხევსურეთში), სამება (მოხევეებში), ლომისის ხატი (მთიულეთ-გუდამაყრში). გარდა ამისა ბევრი სასოფლო ხატობა ტარდებოდა, ერთი წესით ჯა რიგით.

საინტერესოა ივ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი ტექსტი „თუშეთის წმინდანები“:

პარველად ლმერთი ვაჲსენოთ, ის უფრო ღიღებულია,
მემრე ნასისარ კურაე, ღვთის კარზე მდგომირეა,
მემრინას ბერი სამება, წოვათას ბრძანებულია,
მემრინას ლაშას გორგი, ლაშქართა წინამძღოლია,
მემრინას გმრი კობალა, დეე-ქაჭთა პირის მშლელია;
მემრინას ხახმატ გორგი, გაჭირდეს, მშველებელია,
მემრინას მაგეს გორგი, მთაზედა ყარაულია,
მემრინას წმინდა თევლორე, ხორციელთ შემბრალება.
ყმასა უმატე, სამებავ, თუ ყოჩი გინდა ჩქიანი,
ქერსა უმატე სამებავ, თუ კოდნი გინდა საესენი.
წმინდა გორგის კარზედა ხე ალეად ამოსულია,
ზედა დაპსხმია ყურძენი საჭმელად შემოსულია,
იმის ნახევრი ქალ-ვაჲი შავადა შემოსილია [223, 4].

ტექსტს ჩამწერის კომენტარი ერთვის: „ყველა ესენი მთის წმინდანები არიან, ყველა ამათ სხვა და სხვა ალაგებში სალოცავები აქვთ, სადაც ყოველ წელს, მკათა თვეში, დღესასწაული იმართება. იყრებიან არამც თუ თუშ-ფშავ-ხევსურები, არამედ მოღიან ბარელი ქართველები და ქისტებიც. პხოცავენ სამხვეწრო კურატებს, სეამენ ხატების დღეობისათვის გამოხდილ ლუდს. ლაშარის გორგი პატრონია ფშაველებისა, ხახმატის-ხევსურებისა და სამება-წოვა თუშებისა. დღეობის წესის ამსრულებელი არიან დეკანოზები“.

დღეობათა ფოლკლორული რეპერტუარის ღიღ ნაწილს შეადგენს ღვთისშვილთა დევებთან ბრძოლის მითოსი, რაც საგანგებოდაა შესწავლილი [39, 87]. ღვთისშვილთა მიმართების, თხოვნის მოტივები ხშირად მეორდება დამწყალობების ტექსტებში:

ღიღება შენთენ, ლმერთო მართალო,
ცა და ხმელეთის ბადალო,
რამაც დედამიწა დაარსა, ცა და რვალი დაპხურა,
მზე და მთერა დაპუნია, აკურთხნა ღვთისშეიღლნი
ხეთიშეიღლადა,

გაუჩინა ხორციელნი მოსამსახურედა,
ქრისტეო და ღმერთო, დაწერე ჭეარი
სამსახურს ლალის იასარისასა,
მოსამსახურე ბუღაურის წამყენებელსა.
უცოცხლე და უმრავლე ქალი და კაცი,
ათასი ვაჟით შამახიდნე, ხალიზს ნუ დაულევ,
ჩახმახს ნუ გაუფლებ,
გეხეწები და გევეღებები,
ჩემო სალოცავო, შენის მადლის...
გინდოდეს, ღმერთ გაახსენე,
გინდოდეს, კვირას [თუთა, № 2546I].

ფერხისებში, როგორც მიუთითებენ, განხორციელდა „საყმოს წევრთა თავგადასავალი, ისტორია, ანდაზები“. საყმო განიხილავს ღვთისშეილს, როგორც პატრიონ და მფარველს, მშველელს. საყმო ღვთისშეილთა შექმნილი და ორგანიზებულია. საფერხსულოთა ღიღი ნაწილი მოვითხოობს სწორედ ამ ამბგზე (დევებთან ბრძოლა, ჯვარ-ხატთა დაარსება და ა. შ.) [87, 169].

სარწმუნოა ამ მითოლოგიურ გადმოცემათა გააზრება, როგორც წარმართობის და ქრისტიანობის ბრძოლის ანარეკლისა, სადაც ღვე-კერპნი განასახიერებდნ წარმართობას (ზ. კინაძე).

როგორც ვნახეთ, ფერხსულები საგაზაფხულო საწესჩვეულებო პოეზიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ფერხსულების კომპოზიცია შეესაბამება შესრულების სიმერეტულ ხასიათს. აქედან გამომდინარეობს საფერხსულო ტექსტების ორიენტაცია მოქმედებაზე, ფერხსულის მონაწილეთა მოძრაობაზე, იქნება ეს წრიული, ორ-სამ სართულიანი, თუ ორ-სამ მწერივიანი ფერხსული. საფერხსულოთა ტექსტები ყოველ-თვის გულისხმობს დიალოგს. დაალოგი იმართება სოლისტთა და წრეს, ორ მწერიეს ან წრის ორ ნახევარს შორის. შესრულების ამებური ფორმა განაპირობებს ფერხსულების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას, განმეორებათა სიხშირეს. მეორდება როგორც სიუჟეტური მოტივი, ისე რომელიმე ფრაზა ან ფრაზის ნაწილი, მისამდერი.

რაც შეეხება ფერხსულების თემატურ დახასიათებას. სუუეტი უმეტესად აგებულია კონფლიქტზე, რომელიც ხშირად ტრაგიულად მთავრდება. სწორედ ეს ანიჭებს საფერხსულო ტექსტებს განსაკუთრებულ ემოციურობას.

თავი IV

ლირიკული ლექსიგი

კალენდარული დღეობების რეპერტუარს საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, შინაარსობრივად მრავალფეროვანი ლირიკული პოეზია დაუკავშირდა: „ლირიკული სიმღერები ამუშავებდნენ

თემატიკას, რომელიც მხოლოდ ძალიან ზოგად ასპექტში თუ ეხმიანებოდნენ შესრულების მომენტს... მხოლოდ იშვიათი კონკრეტული ნიშნები, რომლებსაც შეიცავნ ეს სიმღერები, უკავშირებს მათ შესრულებას განსაზღვრულ კალენდარულ თარიღებს“ [340, 133].

კალენდარული ლექსების ციკლში გამოიყოფა მთელი რიგი ტექსტებისა, რომელთა სიუჟეტურ თავისებურებას შეადგენს ბუნების სხვადასხვა მოვლენებს შორის დაპირისპირების, ბრძოლის, შეჯიბრის მოტივები. გაზაფხულზე, ბუნების ძალების ხელახალი აზვირთების და აღორძინებისას, როცა თითქოს მთელი სამყარო ბრძოლაში იყო ჩაბმული, კალენდარულ დღესასწაულებზე ინსცენირების სახით წარმოადგენდნენ ნათლისა და წყვდიადის, სითბოსა და სიცივის, ზამთრისა და გაზაფხულის, ცისა და მიწის, მზისა და მთვარის დაპირისპირებას: „ადამიანი ამგვარი რიტუალებით უზრუნველყოფდა ბუნების აღორძინებას გაზაფხულზე, იგებდა კოსმოსურ ბრძოლას ქაოსის წინააღმდეგ და ყაველწლიურად ხელახლა ქმნიდა ქაოსიდან მოწესრიგებულ სამყაროს“ [420, 185].

ამგვარი ტრადიციებიდან იღებს სათაევს, როგორც ჩანს, ხალხური გაბასების პოეტური ჟანრი, რომლის არა ერთი თუ ორი წიმუში შემოგრჩა მზისა და მთვარის, დღისა და ღამის, ცისა და მიწის, თვეების გაბასების სახით. ამ ერთი შეხვდვით მარტივი შინაარსის თუ პოეტური ფორმის ტექსტებში ქართველი ხალხის მსოფლგანცდის ბევრი არქაული მომენტია შემონახული.

სამყაროს ორ საწყისს შორის ბრძოლა, ურთიერთდაპირისპირება, საწყისებისკენ მიბრუნება (*in illo tempore*), კალენდარული მითოლოგიის საფუძველია ყველა ხალხის ფოლკლორში და თითქმის ყველგან ბუნების აღორძინების, საგაზაფხულო გამოვიდების მოშენტებს. უკავშირდება [333, 50; 452, 50].

ქართული ფოლკლორის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მითოლოგიური გაღმოცემები მზისა და მთვარის დაპირისპირებაზე, პირველობისთვის ბრძოლაზე [44, 128]. ხალხურ პოეზიაში მზისა და მთვარის გაბასების ლექსები, ძირითადად, აგრარულ თემებზეა აჯებული:

ყველამ კარგად მასხვენთ: შაბრაძოლენ მზე და მთვარე.

შამოუთვალა მთვარემა:

„ოცდაცხრა დღე ვამზავე და მეათეს გარდეცვალე..
ახლა მზემ შემოუთვალა:

„რაც რომ საკუთ გომხდარა სულ შენ თვეზედ დაბრალა..
სამი დღე და სამი ღამე რომ არ იყავ — დამალე,
მეოთხე დღესა გამოსჩნდა, თან ღრუბელი დაყოლე,
ასტერე შექა-ჭუბლო,
მზად მოსული მოსავალი უმაღურად ჩაატარე [188, 82].

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ქართულ ხალხურ პოეზიაში წლის დროთა და თვეთა გაბასების ლექსები, რომლებშიც თვეები განსაზღვრულია ბუნებრივ-სამეურნეო ნიშნებით [326, 43].

მკვლევართა დაკვირვებით, ეს ლექსები საგაზაფხულო ციკლის რეპერტუარს ეკუთვნის და ზამთრისა და გაზაფხულის გასცენიურებული ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენს [164, 48].

როგორც ე. ანიჩკოვი შენიშვნავს, „ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლის ხანგრძლივ ლიტერატურულ ისტორიას, შუა საუკუნეების ლათინური ეკოლოგით რომ ძირი უფრო ადრინდელი, საწესჩვეულებო წარმოადგენებში მიმავალი ფესვები აქვს“ [256, 291]. გ. პარისის გადმოცემით კი, გაზაფხულზე ზამთრისა და ზაფხულის შებრძოლების ინტენსირებას, რომლის დროსაც პირველი ყოველთვის მარცხდება, თანახლდა სიმღერები, სიტყვიერი პაეჭრობა [461, 28].

დროის ციკლურობის გამოსახვის მითოპოეტური კონცეფციის შესაბამისად წლის თითოეული თვე თავისებურ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ქართულ ფოლკლორისტიკაში თავდაპირველად ვ. კოტეტი-შვილმა, შემდეგ კი სხვა მკვლევრებმაც (ელ. ვირსალაძე, ქს. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი და სხვ.) გამახვილეს ყურადღება ზამთრისა და გაზაფხულის ბრძოლის მოტივებზე ხალხურ ლექსებში: „ძველად ზამთარი და ზაფხული... განპიროვნებულად ჰყავდათ წარმოადგენილი... მათ შორის ურთიერთობა წარმოიდგინებოდა როგორც ბრძოლა, სადაც საბოლოო გამარჯვება გაზაფხულის იყო“ [89, 348].

პერსონიფიცირებული წელიწადის დროების თუ თვეების პაეჭრობის მოტივები მრავალი ხალხის კალენდარულ ფოლკლორშია ცნობილი. ეს წარმოადგენები თითქმის ყველგან ყველიერის კვირაში ან დიდი მარხვისას ეწყობოდა [330, 18].

როგორც ჩანს, ქართულ ხალხურ პოეზიაში გავრცელებული წელიწადის დრო-თვეთა ლექსებიც საგაზაფხულო დღეობების ტრადიციას უნდა დავუკავშიროთ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსებში მარტო ზამთარი და (გა)ზაფხული კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ წლის ყველა დრო და თვე, იმის მიხედვით, თუ ვინ როგორი ამინდით იწონებს თავს, რომელს რა დოვლათი და ბარაქა მოაქვს და სხვა. მ. ჩიქოვანი აღნიშვნავს „წლის დროთა ბრუნვა და ჭირნახულის მოწევა ხალხური პოეზიის მნიშვნელოვან თემას შეადგენს. ხალხმა ზუსტი დახასიათება მოუნახა წლის დროებს, მის თითოეულ თვეს“ [215, 501].

ქართულ, ისევე როგორც სხვა ხალხების, ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა თვეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული სახელწოდებანი (თიბისა, თიბათვე, მყათათვე, ღვინო-

ბისთვე და სხვ.). საგულისხმოა, ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ სახელწოდებათა გარდა აჭარაში გავრცელებული სახელები: ქირეზა (ბლის თვე, ივნისი), ჭალობა (ივლისი, აგვისტო), ჩურუგა (დამპალი თვე, ივლისი). თვეებს იმის მიხედვითაც არქემედნენ სახელებს, თუ რა დღე-სასწაული, რომელი წმინდანის ხსენების დღე იყო ამ თვეში (ივანობის თვე, კვირკვობისთვე). ღვთისმშობლობა, მარიამობა, გიორგობა და ა. შ.).

ჩვენთვის საინტერესო ტექსტების პირველი პუბლიკაციები ჯერ კიდევ კასულ საუკუნეში გამოქვეყნდა უურნალ „აკაკის კრებულში“, „ქველი საქართველოს“ ტომებში, უურნალ „ჯეჭილში“ და სხვ. მათი ფიქსაცია ამ ბოლო დროს ფოლკლორულ ექსპედიციებშიც გრძელდება, რაც ამ ტიპის ლექსების პოპულარობაზე და ხალხში ფართოდ გავრცელებაზე მეტყველდებს.

საკმაოდაა შემორჩენილი ტექსტები, სადაც წარმოდგენილია წელიწადის ყველა თვე: „თორმეტი თვე“, „თვეების ლექსი“, „წლის ლექსი“... (დიდი მოცულობის გამო თავს ვიკავებთ მათი ტექსტში ჩართვისაგან).

დიდი რაოდენობით მოგვეპოვება შედარებით მცირე მოცულობის ლექსებიც, სადაც დახასიათებულია ერთი ან რამდენიმე თვე. შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ თვეს საკუთარი რეპერტუარი აქვს, სადაც თავი მოუყრია ყველა იმ სიკეთისათვის, რითაც შეუძლია სხვა თვეების წინაშე თავის მოწონება. თებერვალი ბუნების საგაზაფხულო გამოცოცხლების პირველი ნიშნებით იკვეხნის:

ყოველ ნაყოფს გავაღვიძებ,
წყალს ჩაეუყვნებ ხესაო,
მუშა კაცს გაეხარდება,
რო მოიმატებს დღეცაო
[ფ. არქ., № 1072].

აპრილი და მაისი სოფლად ყველაზე უფრო დატვირთული სამუშაო თვეებია. ეს აისახა ამ თვეებზე შექმნილ ხალხურ ლექსებშიც:

„...სახნის-საკეთი დავპიროთ,
გუთანს კუმართოთ ხელიო,
ურემში შევდგიათ უღელი,
შვევაბათ ყოყინებიო,
ჯერ ქერაბი დავათავოთ,
მერე ყანებს ვჰყოთ ხელიო [189, 149].

ზაფხულისა და შემოდგომის თვეები მოსავლის აღების, წლიური ჭირნახულის მოწევეის მრავალფეროვან სურათს გვიხატავენ: თიბგა, შკა, ხილის კრეფა, ღვინის დაყენება და ა. შ.

თიბათვემ დაიტრაბახა,
 სოფელი ასთე შქნელია,
 როდესაც აკდარს დეიშუებ,
 გამოდარება ძნელია.
 სიმინდი მირეით სავსეა,
 ღომიცა უმარგლელია,
 მოდი და ახლა მიყურე,
 თუ არ ვარ საქმის შქნელია.
 აპა, მიშველეთ ბიჭებო,
 ბევრი მქევს ღვინო, ყველია,
 ისთე გავწმინდო ყანები,
 ვერს ვერ ნახოთ ღერია,
 სინამდის მე წევიდოდე,
 დავსტოოთ თავსაყრელია

[თსუფა, № 4892].

განსაკუთრებით პოპულარული იყო ხალხში მარტის ჭირვეულობაზე შექმნილი ლექსები თუ გადმოცემები; ავდრით დავიცარცხნი წვერსაო, — იკვეხნის მარტი ერთ ხალხურ ლექსში. მარტის ავი ზნე კარგად ჩანს ჭ. სონლულაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ გადმოცემაში „მარტმა რომ თებერვალი დაპატიჟა სტუმრათა“:

„მარტმა თებერვალს სთხოვა უექველად სწვეოდა სტუმრათ თავის ცოლ-შვილით... ერთხელად გაბრიყვდა თებერვალი, შეაბა ურემი, ჩასხა შიგ ცოლ-შვილი და გაუდგა გზასა. გავიდა ერთ ისეთ ტრიალ მინდობრზე, რომ არსად ერთი ხეც არ ჩანდა. სულ ეკლიანი ბარდებია დაინხა მარტმა, რომ მის სახლისკენ თებერვალი მიღიოდა ურმით, გაეცინა ერთი და ისეთი ღიდი ქარი ააყენა, რომა ქვეყანა ინგრეოდა. თებერვალი მიხედა მარტის ოინბაზობას... არ გავიდა დღიდი ხანი და მარტი ხურჯინაკიდებული გზაში შეხვდა, შორიდანვე დაუწყო ძახილი: „თებერვალო, თებერვალო, საით მიღიხარ, მე შენკენ მოვდივარ ძლვენითა და სახლში უნდა დამიხვდე“. თებერვალმა აუჩქარებლივ მიუგო: „ქარისა არც მოტანილი მინდა და არც წაღებული...“ [236, 119].

ხალხს შარტი წარმოედგინა ლამაზი, ჭირვეული ქალის სახით („მე ვარ ქალი, ქვეყნის თვალი“), რომელიც დღეში რამდენჯერმე იცვლის გუნება-განწყობილებას“, „მარტი ვარ, ლამაზი ქალი, დღეში ცხრაჯერ მოვირთვები“, ან „მარტი პატარძალი არის, დღეში სამჭერ მოირთვება და სამჯერ მოილუ შება“:

თებერვალი ღბერვდით,
 მარტი კაბას კერავდაო,
 მარტმ ნემსი დაბარგაო,
 აპრილასა დაღბარალდა [45, 132].

პოეტური სახეებით, ამ სახეთა სიმბოლური სემანტიკით მარტის აღვენისულ განსახოვნებას უკავშირდება შემდეგი ხალხური ლექსიც:

ქარი ქრის, ქარი გუგუნებს,
მალა ჩარდახში ბერამსო,
შიგა ზის ქალი ლამზი,
მოვის პერანგსა ჰერამსო
[195, 168].

წარმოდგენა ცაში მყოფ მშვენიერ ქალბატონზე, რომელიც ლამაზ სამოსს იმზადებს (თავისთვის და ბუნებისთვისაც) დაკავშირებულია წლის ყველაზე ლამაზი დროის, გაზაფხულის, განსახიერებასთან:

— ცაზე რაა რომ ზის?
— ლამაზ-ლამაზი ქალებიო.
— ქალები რას შერებიანო?
— დარაიას ქსოვენო [199, 13].

ხალხში გავრცელებული იყო წარმოდგენა ე. წ. „ნასესხებ დღეებზე“, რომელიც უკავშირდება ხალხურ მეტეოროლოგიურ წარმოდგენებს, ამინდის პროგნოზირების ხალხურ გამოცდილებას:

გუი მარტი ასე ამბობს...
ოცდაცხრა დღე ვადათა მაქვს
ორ დღეს ეშობი სხვაზე მეტსა,
აპრილი რაის მქნელია,
რომ იღებავს ულვაშებსა?
[თსუფა; № 4890].

„ნასესხობას უკავშირდება ასევე გადმოცემები მარტისა და მეცხვარის შესახებ, რომლის ბევრი ვარიანტია ცნობილი. ზ. ბილანიშვილს კახეთში ჩაუწერია შემდეგი ტექსტები: „მარტი კარგად გასულა და ერთ მეცხვარეს ბლავნი არ დაჰქლებია. მეცხვარეს დაუკვეჭნია: „ისე გავიდა მარტიო, ვერ მოკლა ციქნის ბლარტიო“. მარტს მოუვიდა მეცხვარეზედ ჯვრი, წვიდა გაჯვრებული და სამი დღე ისესხა თებერვლისაგან. იმ სამს დღეს მარტმა ააყენა საშინელი ქარიშხალი, თოვლჟყაპა და ბუქი. მეცხვარემ ვეღარ გაუშო ცხვარი ფარეხიდან და შიძიშილით ეხოცებოდა. მაგრამ ის რა მოახერხა მეცხვარემა: ერთი კატა ჰყვანდა. ჩამოჰკიდა ის კატა ფარეხს შუა ბოძხედ, ტრიალებს ეს კატა და ჩხავის. ცხვარმა კატას დაუწყო ყურება. იმ სამს დღეს თვალი არ მოაშორა, ამ ყურებაში გაერთო, აღარ ამოიცოცხნა, აღარ მოიმშივა და უზარალოდ გავიდა. მეცხვარემ აჯობა მარტსაო“ [223, 112].

სხვა ჩანაწერის მიხვდვით კი მეცხვარის ტრაპაზზე:

წავიდა მარტი მურტიო,
ვირ ლამაკლო კრავის კუდიო,

მარტმა აპრილისაგან ისესხა ორი დღე და ისე იდია შური მეცხვა-
რეზე: „მას შემდეგ ყოველი წლის აპრილის პირველ ორ რიცხვს ნა-
სესხებს ეძახიან და ცუდ ამინდს ელიანო“ [ფ. არქ., ს. რეხვიაშვილის,
კოლექცია, 148].

„ნასესხობაზე“ შემდეგი ხალხური ლექსიც გამოუთქვამთ:

მარტმა თქვა, შუა ამ თვეში,
თესლი მაყარეთ პირშია,
სამ დღეს იმიტომ ვსესხულობ,
გლეხთ დავეხმარო ჭირშია
ალოს თავს რომ მორჩებიან,
დამპატიუებენ ლხინშია
[იქვე, გვ. 60].

გვერცელებული იყო, ასევე, მარტისა და კუდა ხარის ლექსი-პაეჭ-
რობა, რომლის ზოგი ვარიანტიც „შეიღმაისტობას“ უკავშირდება:

კუდა და ხარი შეიბნენ,
კუდმა აქობა კვეხნითა.
შევიდა კუდა ბოსელში,
მაგრა დაება ფეხითა.
მარტმა ბანიდან ჩასახა:
— სულს ამოგაზიშევ წენეშითა,
გაზაფხულამდის არ გავალ
ჩას იზამ შენი კვეხნითა?
— გაზაფხულს გავიჟუნტრუშებ,
ამ ჩემის მოკლე ფეხითა [236, 84].

ხალხის გამოცდილებით, გაზაფხული მხოლოდ მარტის გასვლის
შემდეგ შევიღოდა ძალაში. ამზე მეტყველებს ანდაზაც: „მარტი რომ
წინ გეღოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო“.

თესლს მაშინ „გეივანდნენ“, ნასესხები რომ გათავდებოდა, რად-
გან სამ აპრილს, ხალხის რწმენით, „ზამთარი იწმინდებოდა“*.

მარტის თვესთან დაკავშირებული გაღმოცემების, ხალხური ლექ-
სების სიმრავლე მიუთითებს, რომ თვეების, წლის ლექსების ბირთვს,
სწორედ მარტისა, გაზაფხულის, და ზამთრის თვეების ბრძოლა შეაღენ-
და. ეს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ამ ციკლის ლექსების კავშირს

* ავტორის საველე მასალა, რვ. № 2, გვ. 29.

საგაზაფხულო წესჩვეულებებთან, წლიურ კალენდარში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გარდატეხის მომენტთან.

ძველად რომ თვეები, წელიწადის დრონი გაპიროვნებულად ჰყავდათ წარმოდგენილი, კარგად ჩანს „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნებულ ტექსტში:

აპრილი ეუბნებოდა:
— ნუ იქ მამიშენის მზესა!
მოდი, კაი კაცობა ჰქენ,
ყველა ქებას ვიტყვეთ შენსა,
თორემ გიჩივლებ, მეცა გთხოვ
უწინდელსა ჩემსა სესხსა.
— მე სესხისა არა ვიცი,
წადი, თხოვე დედაშენსა,
მოვიდა და მოახსენა:
— შვილი შვება ბვერს ავებსა,
ხალხი სულ გააღარიბა
ველარ კვებენ ჭანდაგებსა.
— რა ფინთი საქმე უქნია,
ჩემ შეილს, ი არ გასაზრდელსა!
საღმის შინ რომ მოვა
სულ ცემით მოესწყვეტავ წელსა...
[189, 136].

ამვე თვალსაზრისით, საინტერესოა ზღაპარი „მზეთუნახავი ქალთ და თორმეტი თვე“, რომელიც, ასევე ემყარება „იმ მითოლოგიურ მსოფლგაგებას, რომლის მიხედვითაც თვეები სულიერ არსებებად ივარაუდებიან“ [189, 478]. ზღაპარში წლის თვეები წარმოდგენილია თეთრწვერა (ზამთარი), ჭალარა (შემოდგომა), მშვენიერ და ტანვან (გაზაფხული) და მოსულ ვაჟკაცებად (ზაფხული). წლის დროთა სხვა-დასხვაგვარი იერსახით წარმოდგენა ზღაპარში გულისხმობს მათ დახა-სიათებას ბუნების მდგომარეობის მიხედვით. ქართლში გავრცელებული გამოცანა კი წელიწადის დროებს „გლეხეაცისთვის შემოსავლიანობის თვალსაზრისით გვიხსაითებს: „ოთხი ოქრო, ოთხი ვერცხლი, ოთხი ბოლო ღროს რკინაო“ [236, 119].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ წელიწადის დრო-თვეთა ლექსებმა თანდათან სხვაგვარი გააზრებაც მიიღო. დროის მარადიულ სრბოლაზე აგებულ ხალხურ ლექსებში ფილოსოფიური ლირიკის ინტონაციებიც იგრძნობა („ვით ხეს ფოთლები, დაცვივდნენ წლები“ — გ. ტაბიძე):

ვრთი ალვის ხის ტორზედა,
თორმეტი ტოტი ასხია,
სცვივა და სცვივა ფოთოლი,
ისევ იმდენი ასხია (წელიწადი)
[235, 180].

წლის დროთა, ზამთრისა და ზაფხულის მონაცემება ხშირად ადამიანის ცხოვრების წარმავლობაზე. დრო-უამის ულმობელ ტრიალზე ჩაფიქრებასაც იწვევდა:

... ზაფხულს ზამთარი მოსდევს,
დეიფიქტე ძივ-ძივ,
სიცოცხლეს სიკედილი მოსდევს,
თაღარიგი ქენ-ქენ [16, 158].

ანალოგიური ფილოსოფიური განწყობილება იგრძნობა შემოდგო-
შისა და ზაფხულის გაბასების ლექსშეც, როცა შემოდგომის ტრაბახსა
და კეცხნას ზაფხული ბრძნულად შეახსენებს:

... ზაფხულში შემოუძაა:
მშო რათ იკვეხ მაგასა?
ე მაგნაირი სიტყვის თქმას,
რატომ არ ამობ მართალსა.
რიგი მიღის, რიგი მოღის,
ვერ ხედავ სოფლის წერასა?
არც შენ შეგრჩბა ერთი დრო,
სწრაფ ნახავ იმ თვეთრწვერასა

[236, 119].

დიალოგიური სტრუქტურის მოშლა, რაც, როგორც ჩანს, უშუალო
კავშირშია ტექსტების საწესჩერებელი ფუნქციის დაკარგვასთან (ამის
შესახებ ზემოთ იყო შენიშნული), საგრძნობია თვეების გაბასების
ლექსებშიც.

ლირიკული ლექსები განსაკუთრებით საგაზაფხულო ციკლშია გა-
ერთიანებული გაზაფხულის პირები სილული ნიშნები უკვე თებერ-
ვლიდან იჩენს თავს. ედო გაზაფხულის ფერიო, ნათქვამია ერთ ხალ-
ხურ ლექსში თებერვლის თვეზე. „გაზაფხული“ და „თებერვალი“ ერთ-
შეანეთს ენაცელება სხვა ხალხური ლექსის ვარიანტებიც „გაზაფხული
დადგაო...“, „თებერვალი დადგაო...“. ალ. ხახანაშვილის გადმოცემით,
„გაზაფხულის დადგომას სიხარულით შეეგებებოდა ხოლმე წარმართი
ქართველი და მზის გაბრწყინებულს სახეს მიმართავდა აქამდე დარჩე-
ნილი სიტყვებით:

გაზაფხული დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტბა ჩილრმაო,
საძირკეელი გადგაო [237, 11].

საგაზაფხულო დღესასწაულის ერთ-ერთ პირველ აღწერას გვა-
წვდის პ. სენკოვსკი წერილში „ზნეობანი — ნუშის ხეები“: [„ტფილისის

უწყებანი“, 1829, № 12]: „ნუშის ყვავილებითა და იებით იყო დაფუნილი ყოველი სივრცე, რომელსა ზედაცა აზიელნი ესე მიიღებდნენ ტაბლასა, ნუშის რტოებით განმშვენებულ იყვნენ დიდი სტანები... და გრილებულ იყვნენ მქევთრი დაბოლოებულნი ქუდის თავნი და ერთი ნუშის რტო მიბმულ იყო წოდებულს აზარფეშას ტარზედ... აკიდებული ნუშის რტოებით დღესასწაულებით მღეროდნენ „ახალო ამოსულო და...“ [55, 130].

საგაზაფხულო სიმღერის სიტყვები, ალბათ, ახლადამოსულ მწვანე ბალას, პირველ ყვავილებს, ბუნების ახალ სამოსს გულისხმობდა. გაზაფხულზე ყვავილების (ვარდის, ტიტის, ყაყაჩოსი და სხვა) დღესასწაულები მრავალ ქვეყანაში აღინიშნებოდა საგანგებო რიტუალებით. ამ უკანასკნელთა მთავარი დანიშნულება იყო ბუნების აყვავების, აღმოჩენების პროცესზე მაგიური გაელენის მოხდა: „ახლადგაფურჩქვნილი მცენარის ქორფა ტოტი, ან გაზაფხულის სხვა ემბლემა, ის ნიშან-თვისებაა, რომელიც ყველა ინდოევროპელ ხალხში ახასიათებდა გაზაფხულის მიგებების წეს-ჩევულებას“ [256, 177].

საქართველოში აღრეგაზაფხულის დღეობა ნუშის, ის, შროშანის, ენძელას ფერითა და სურნელით შემოდიოდა. გასული საუკუნის პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა „ნუშის დღეობის“ ამსახველი მასალა: „გაზაფხული საქართველოში თებერვალში იწყება და ყველაზე აღრე ნუშის ყვავილობით იგრძნობა... ქართველებს ძელად და ახლაც უყვარდათ და უყვართ გაზაფხულის შეხვედრის დღესასწაულობა“ [286].

3. სლივიცი ასე აგვიწერს გაზაფხულის შეხვედრის ზეიმს: „ქართველებმა ამოირჩიეს ნუშის ყვავილი. როგორც ყველაზე უფრო აღრეული ყვაეილი... ყველა მოქეიფეს ბოხოხში გაურკვია აყვავებული ნუშის ტოტი. ხალიჩები მოფენილია ამ ყვავილებით, ყანწები მორთულია და ორგვლივ იფრქვევა მსუბუქი სასიამოვნო სურნელი ნუშისა... ქალები, ქალიშვილები წყვეტინ ნუშის ყვავილს და იბნევენ მქერდზე, თავსაკრავზე — ორთვებიან ყვავილით“ [391].

საგაზაფხულო ლექსებში ასახულია ყვაეილთა ქონებით სამოსის მორთვის ჩვეულება: „იის ნათქვამი“ („ბიჭები ქუდზე მაჭენობენ, გოგოები ყელზედაო...“). ხშირად იხსენიება გაზაფხულის მახარობელი ყვავილები (ია, ენძელა, შროშანი):

გაზაფხულს ჭალაის პირო, პირი ამოყო იამა,
იმ ღმერთმა დამბადებელმა, მე თქვენი ნახვა მიამა [175, 99].

ეს ლექსები საგაზაფხულო, სადღესასწაულო განშეყობას გამოხატავენ და წეს-ჩვეულებებთან მათ კავშირს მხოლოდ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ზოგი მომენტი გვახსენებს.

ადრე გაზაფხულზე გუგულის დასაძლევად ენძელის თავთავს შეაზე გახლებდნენ, ყურებზე მიიღებდნენ და იტყოდნენ:

„შენ ქვიშითა გამაძლარიო, მე პურით და ყველით გამაძლარიო“

[103, 196].

ციებ-ცხელება რომ აეშორებინათ თავიდან, ადრე გაზაფხულზე ის პოვნა უნდა დაესწროთ სხვისთვის: „ღმერთმა არა ქნას, რომ გაზაფხულზე პირველად თქვენ მოგაწოდონ ია, თქვენ თვითონ უნდა მოწყვიტოთ, სხვაგვარად ციებ-ცხელება გარდაუვალია“ [442].

გაზაფხულის მახარობელ ფრინველთა შორის ყველაზე უფრო ხშირად ხალხურ ლექსებში შაშვი, მერცხალი, ორბი, გუგული, ოფოფი, ბულბული იხსენიება:

ფრინველთა ქებას მოგიყვე,
ორბია დიდის ხნისაო,
ხანდისხან გაჭაბუქლება,
გახდება სამის დღისაო,
გაზაფხულს მოვა მერცხალი,
შროშანი იმავ პირსაო,
მერმე მოჰყება ოფოფი,
გუგული ჰეკისი, ყვირსაო [193, 481].

გაზაფხულზე სამხრეთიდან მოფრენილი ფრინველების „კრიმან-ჭული“ ბუნების საყოველთაო ალორძინების მაუწყებელი პანგი იყო... ვაუა-ფშაველასი არ იყოს, „ბუნება ამ დროს მკვდრეთითა სდგება: თეთრს სუღარას გაიხდის და კუბოდან ამოიხედავს“ [49, 297].

შაშვე, რამ მოგაწყინა?
აგვრ მოდის გაზაფხული,
პეპლების დაჭერით
გაახარებს შენი გული.
შორი ქვეყნის სტუმარია,
მალვ მოვა მოლალური,
ყოველ არსებას გაახარებს
ბულბულის ლამაზი კრიმანჭული,
მერცხლის ჭიკვიკი და
„თოხნეთ, მარგლეთ“ — გუგულის,
უაშვო, შაშვო, კუდილურია,
გაგვაგლანე შენი ჭაბჭაპია [153, 130].

ქალენდარული ლირიკული პოეზიის ციკლში განსაკუთრებულო სიმრავლით გამოიჩინება სატრფიალო ლექსები. საგულისხმოა, რომ კარენდარული პოეზიის კვლევა ქართულ ფოლკლორში წრობილ ამ უანრის შესწავლით დაიწყო (ვ. კოტეტიშვილი, ელ. ვირსალაძე).

ელ. ვირსალაძე შენიშნავდა: „ნაყოფიერების დღესასწაულთან დაკავშირებული თავაზეებულობა და ეროტიზმი ეჭვმიუტანელს ხდის საგაზაფხულო დღეობათა რეპერტუარში სატრფიალო და საოჯახო თემატიკის დიდ რაოდენობას“ [192, 13].

ყოველ გაზაფხულზე ცისა და მიწის შეუღლების მისტერიების მკრთალი ანარეკლი ჩვენამდე მოიტანა უკვე „წესმოწყვეტილშა“ (ვ. კოტეტიშვილი) სატრფიალო პოეზიამ: „აღვირებსნილობა, რაც, როგორც ცნობილია, ამ წეს-ჩვეულებებს სდევდა თან, შემთხვევითი ზეღმეტობა კი არ იყო, არამედ ამ რიტუალების მიშვნელოვანი შემაღენელი ნაწილი... ხალხები შეგნებულად იყენებდნენ სქესების ურთიერთობას, რათა გამოეწყიათ დედამიწის ნაყოფიერება“ [424, 135].

ლირიკული სატრფიალო ლექსები ხშირად იწყება იმის აღნიშვნით, რომ დაღგა გაზაფხული და მოვიდა სიყვარულის დრო (ისევე, როგორც ტრუბადურთა, მინეზინგერთა და ა. შ. საგაზაფხულო ლექსებში):

გაზაფხული რომ გამოვა,
მოფრინდება მერცხალი,
შენს სიყვარულს არ დავკარგავ,
სანამდის ვარ ცოცხალი
[ბსკიფა, ს. № 24, გვ. 177].

ან:

გაზაფხულისა პირზედა,
შაშემა დაიწყო ფრიალი,
დამესენ, ბიჭო, დამესენ,
ნუ გინდა სოფლის გრიალი [192, 80].

გაზაფხულის მოლოდინის მოტივები განსაკუთრებით ხშირად გვხდება მესაქონლეობასთან დაკავშირებულ მწყემსურ პოეზიაში, აჭარაში ანალოგიური შინაარსის ლექსები მთელ ციკლს ქმნიან. შუამთობის ფოლკლორი.

შუამთობის დღესასწაული ტრადიციულია ზემო აჭარაში, იმართება ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში. როგორც შენიშნავს ამ დღეობის მქვდევარი ზ. თანდილავა, „ამ დროს სოფლის მცხოვრებლები მასობრივად მიდიან მთებში, საზაფხულო საძოვრებზე, სადაც სეზონური საიალალო მეურნეობის გაძლოლის მიზნით მენახირე-მწყემსები და მემთევრები იმყოფებიან..., რჩებიან რამდენიმე დღეს, იმართება გართობა-ჰეიმი“. მკვლევარის აზრით, დღეობა ჩაღსურ კალენდარულ

დღესასწაულთა ციკლს განეკუთვნება, უკავშირდება ალპური მესაქონ-
ლეობის პერიოდს:

ზე ამოვა და ქვეყანას
ეფინება ზიზა თვალი,
მორთული და მოკაზმული,
ცხენზე ჯდება ყველა ქალი*.

შუამთობაზე ასელის ხალხში მემხლიანობას ეძახდნენ: „თაზე წევ-
დოდენ ქალები, კაცები. ევდოდენ მაღალ გორებზე... ჭიბონს დუკრავ-
დენ, ისამებდენ. ერთი სოის (ჯიშის) ბალახია, დვარულს ვუძახდით,
ჩევენ, იმას მოკრეფდენ ქალები, ბალნები და ამით გააკეთებდნენ შორ-
ვას. ამის შორვა წამალიც იყო. ძროხასაც ახლად რომ ხობოს მოიგებ-
და, იმასაც დვარულს აჭმევდენ. კარქიაო, იტყოდნენ“.

შესწავლილია, რომ შუამთობის ზეიმში ცენტრალური ადგილი
მჭირა საკულტო ფუნქციის დრამის გარკვეულ სახეობას, ე. წ. ფალი-
კონობას (ქალურად ჩატარებული მამაკაცების ცეკვა), რომელიც ახლოს
დგას სხვა ხალხურ ღრამატულ სანახაობებთან.

საზაფხულო ციკლში შემოდის და შუამთობას უკავშირდება ასევე
ზემო აჭარაში გავრცელებული მემთევრობა, მისი წეს-ჩევეულებები და
ფოლკლორი. ზემოაჭარული ქალები მთელი ზაფხულის განმავლობაში
ალპურ საძოვრებზე იმყოფებოდნენ მწყემსებთან ერთად, ამზადებდნენ
რძის პროდუქტებს, წველიდნენ საქონელს. მათ რეპერტუარში ტრა-
დიციულია მემთევრის ლექსი, ზაფხულის ლექსი, მთიების დესტანი
და ა. შ., რომელთა ბევრი ვარიანტია ჩაწერილი:

გამოსული რომ გამოვა,
მემთევრები წევლენ მთაში... და ა. შ.

ან:

ახლა თვეზე ყველა ბარში
წამოსვლას აჩქარდებიან,
ზამთარი რუმე გამუა,
ზაფხულში აქ მარებიან.
მეც, ღმერთითა, გესტუმრები
ძროხებიან, ხარებიან,
თლათ ამუა თხა და ცხვარი,
მეგრელები, სურებიან
[ბსკიფა, ს. 134, გვ. 193].

ლექსების მთელი ციკლი ასახავს მესაქონლე მწყემსების სიხარულს
გაზაფხულის (ზაფხულის) მოსვლის, მთის სეზონის დაწყების გამო.

* ზ. თან დილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბ., „მეც-
ნიერება, 1980, გვ.

ვაჟა-ფშაველა შენიშნავდა: „ხევსური მაშინ არის სანახავი, როდესაც ბარიდან მთაში მიღის: იგი გაცოცხლდება, დაიწყებს ყვირილს, სიმღერას...“ [49, 565].

თუ შეთში ცხვარმოედ (სამეურნეო კალვნდრით, ცხვრის მთიდან ბარში ჩარეკვის დრო) განსაკუთრებული სამზადისით, გამოცოცხლებით აღინიშნებოდა: „ქალვბი მორთავდნენ სახლებს, თითონაც მოირთვებოდნენ“ [120, 84].

ამ დროს დაიტირებდნენ ხოლმე მწყემსს, რომელიც ამ გაზაფხულზე კვლავაც ვეღარ გაჰყვებოდა ცხვარს მთაში:

... გაზაფხულ მოდიოდ, ალდგომის პირ იყოვ,
ბევრიელ ტირდება, ახალგაზრდა,
ყველა ელოდება, ბიჭო, გაზაფხულსა...
მთებიც ჩაშოშრება, ენძელებიც გამოვა,
ცხვრებიც შეკიდება ჩვენ თუშეთის მთებსა,
ბევრ მეცხვარე დარჩებ, დედო, ალვანშია... [120, 16].

საგაზაფხულო დღესასწაულებს, როგორც აღნიშნეთ, მრავალგვარი ხალხური რწმენა დაუკავშირდა. ხალხური წეს-ჩვეულებები და ფოლქლორი, თუმცა მოქცეული იყო ქრისტიანულ დღეობათა კალენდარში, ხშირად მოკლებული იყო „ქრისტიანულ სათნოებას“ (კას-ტელი).

საგაზაფხულო ლექსებში ხშირადაა ასახული ერთგვარი ფრივოლური განწყობა დღესასწაულის მონაწილეებისა:

თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორაბაო საძირკველი გახსნაო,
წყალმა დაიწყო ხუილიო, ცხენმა აუშეა ხვიხეინიო,
ქალმა დაერგა სირცხვილიო

[ფ. აჩქ., ს. რეხვიაშვილის კოლექცია, გვ. 149].

საგაზაფხულო პოეზიის ორგიასტულ ხასიათს გადმოგვცემს შემდეგი ხალხური ლექსიც („გასათხოვარი ქალი“):

ზაფხულის მოსელას მოვეელი, ჩიტ აიძრახებს ენასა,
თოვლი დაიწყებს შრობასა, ფრინეელი გადადენასა,
დავიწყებ უჭიობასა, გავხყები კაცთა ენასა...
უურზე ჩავიდებ საყურასა, გავალებიებ ულერასა [177, 197].

საგაზაფხულო სიმღერების ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია გასათხოვარი ქალის ჩივილი. ამ ლექსების კავშირზე საწესჩეულების პოეზიასთან ვ. კოტეტიშვილი და ე. ვირსალაძეც მიუთითებენ. ლექსების მრავალი ვარიანტია ცნობილი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი:

დედაქემო, გამათხოვე, რას უყურებ რასა? ჩემი ტოლები გათხოვდნენ და შეუდგნენ გზასა [193, 36].

საგაზაფხულო სიმღერებში დაოჯახების, გათხოვებისა თუ ცოლის შერთვის მოტივები მეტად გავრცელებულია. ქალიშვილის სამღურავი ლექსები უმეტესად მცირე ზომისაა და უმნიშვნელო გარიანტულ სხეა-პბებს გვაძლევს:

გაზაფხულზე აყვავდება ნამეტნურად ატამიო,
ლამაზ გოგოს მოუხდება მოქარგული აკვანიო [თსუფა, № 4731].

.ან:

დედამ ქაბა შეშიკერა, ჩამიყოლა ბანტებიო,
მე მეგონა მათხოვებდა, მამწყესია ბატებიო [თსუფა, № 6501].

საქორწინო თემების კავშირი კალენდარულ ციკლებთან იმანაც განაპირობა, რომ ძველად „საქორწინო რიტუალი მრავალ ქვეყანაში კალვნდარულად გარკვეულ პერიოდს (უპირატესად გაზაფხულსა და შვიმოლგომას) უკავშირდებოდა“ [56, 89]. ცნობილია, რომ ქალის „და-ჰქოლევა“ სწორედ დღეობების დროს ხდებოდა. საგაზაფხულო დღეო-ჰქების დროს გაუთხოვარი ქალების ბედი ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა:

ქალქში ბევრი მოსულა,
თევზი, ღოში და სათალი,
თუ შენი ქალი კარგია,
გასათხოვარი რად არი?

* * *

უღელი ხარის სათარი,
როდის მამკითხავ, მზათ არი;
ეგ ოქვენი გოგო ლამაზი,
გასათხოვარი რათ არი?! [236, 102].

გასათხოვარი ქალიშვილების, დაუქორწინებელი ვაჟების გაყიცხა, ზაკილვა სახალხო დღეობების გავრცელებული მოტივია. ამგვარ ლექ-შებს საფუძვლად უდევს საზოგადოების ჯანსაღი მისწრაფება, მომავა-კლი თაობის გამრავლებისათვის ზრუნვა.

საოჯახო და სატრფიალო თემატიკა თითქმის ყველა ხალხის სა-წესჩერეულებო, განსაკუთრებით საგაზაფხულო, ფოლკლორში დასტურ-დება.

მოვიყვანთ ერთ ქართულ ხალხურ ლექსს, რომელსაც დღემდე შემოუნახავს არქაული სიმბოლიზმის და პირვანდელი საწესჩერეულებო დანიშნულების კვალი:

— უხვი მიწა ხარ სახნავად,
ჯერ სახნის მოუდებელი,
მიწა ხარ, ყანა ყამირი,
ჯერ კორდი გაუტეხელი
სიყვარული მაქვს მე შენი,
ანგარიშ მიუწვდომელი [192, 37].

სატრფიალო მოტივების შერწყმა აგრძარულ სიმბოლიკასთან („ყანა ვარ, ყანა ყამირი“) ტექსტის სიძველეზე მიუთითებს, იმ შორეულ ზანაზე, როცა გაიგივებული იყო წარმოდგენა ქალის და მიწის ნაყოფიერებაზე, რაც ბევრ რიტუალში მუღლავნდება: „ხვნა, ხალხური გაგებით, სქესობრივი აქტია, სადაც მიწა დედობრივი სქესის წარმომადგენელია და ნაყოფიერების საშო, ხოლო ერქვანი — ფალოსი“ [212, 226].

საგაზაფხულო სატრფიალო ლექსები ქართულ ფოლკლორისტიკაში თავიდანვე მართებულად დაუკავშირეს საგაზაფხულო დღეობების საკულტო ეროტიზმს (ვ. კოტეტიშვილი). ქალ-ვაჟის გაბაასების, პაექრობის ტექსტების დასაწყის სტრიქონებში ხშირადაა მითითებული სხვადასხვა მცენარეები, რაც შესაძლოა მათი შესრულების საგაზაფხულო ტრადიციაზე მიგვანიშნებდეს:

- ჩავალ ხევსა, ჩავკრავ ხელსა ფირფიტასა ფიჭვისასა,
- არ ვიკადრებ მახვევნასა შენისთანა ბიჭისასა.
- ჩავალ ხევსა, ჩავკრავ ხელსა, ფირფიტასა დგნალისასა,
- გახელნებას არ ვიკადრებ შენისთანა ქალისასა [192, 87].

საგაზაფხულო საწესჩეულებო ფოლკლორის ჩვეული პერსონაჟია ფერხულში ჩაბმული ქმრიანი ქალი, რომელიც სიხარულით ხვდება ქმრის დალუპვის ცნობას. სააღდგომოდ ასრულებდნენ შემდეგ ლექსს:

ეწერში კახამბალები, ზედ შეუყულა ქალები,
ზოგს მოკედომია ქმარები, ზოგს საყვარელი ქმარები,
ქმანების მოტირალება ცრემლით სავსე აქვს თვალები,
ქმარების მოტირალება, კადვე სხვაზე აქვთ თვალები [228, 99].

იგივე მოტივები გვხვდება ცნობილ საგაზაფხულო ლექსში „აღმოსავლეთით აღმოჩნდა თვალად ლამაზი ქალიო“:

... მოიდა მახარობელი, ქალო, მოგილეს ქმარიო,
სამახარობლო გვიღვ სამასი სული ცხვარიო,
იმასაც არ დავაჭრე, გავგვარე ნიშა-ხარიო,
პირში ჩაუდვე შაქარი, წელ შამაურტყ ქამარიო [თსუფა, № 6789].

ლირიკულ ლექსებში ხშირად პოულობს გაგრძელებას კალენდა-რული საწესჩვეულებო პოეზიის წიაღში გამომუშავებული ტრადიცია, რაც შენიშვნულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში. გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი ტექსტის დასაწყისი:

მაღლიდან გადმომდგრაიყო თვალუფუნ თეთრი ქალიო,
უფლრიალებდა საყურე, ყურადღია ქარიო [192, 148].

კალენდარული საწესჩვეულებო ლექსის მხატვრული სახეები გვხვდება საქორწინო პოეზიაში, სადაც ისინი უკვე საპატარძლოს შე-სამკობადაა მოხმობილი:

შევიდეთ, გამოვიყენოთ, თვალუფუნ თეთრი ქალიო,
ქალი, რა ქალი, ქალიო, კოჭამდის სცემდეს თმანიო,
თმანი, რა თმანი, თმანიო, შვიდეცი, შვიდი მხარიო,
ესხას ოქროს საყურენი, უფლრიალებდეს ქარიო [193, 76].

ამინდის მართვის წეს-ჩვეულებებს უკავშირდება შვიდმაისობის რიტუალი. ფოლქლორულ ლირიკაში მაისის წვიმამ მხატვრული გააზრება მიიღო და სატრაფოს სახის გამომხატველ ეპითეტად, ან სატრაფიალო გრძნობების დამამებლად იქცა:

მარიამ, ჩემთ დობილო, თეთრო მაისის წვიმათ [192, 129].
ან:

მარტო ვარ მარტო ვიმღერი, არავინა მყავს მობანე,
მაისის წვიმავ, წამდი, გული სევდისგან მობანე [193, 44].

მოყვანილი ტექსტების საფუძველზე შეიძლება თვალი გავაღევნოთ საწესჩვეულებო პოეზიის ტრანსფორმაციის პროცესსაც. საინტერესოა აღნიშვნული ფოლქლორული მხატვრული სახის რემინისცენციები ლიტერატურულ ნიმუშებში:

„შვიდ მაისში მოსული თეალუფუნა წვიმა ხარ“, — მიმართავდა ნ. გაჩნაძეს ი. გრიშაშვილი [140, 140].

გ. ლეონიძე კი წერს:

„ელავს ბალი-ხოხბის ყელი, შვიდმაისის წვიმით მთერალი“
[95, 85] ვ.

პოეტის სხვა ლექსში კი („ოქროს წვიმა“) გაცოცხლებულია ზავ-შვობისდროინდელი მოგონება ხალხში გავრცელებულ რწმენაზე, რომ გაზაფხულის წვიმა ხელს უწყობდა თმის ზრდას („თმა კოჭამდინა“):

მაგონდება, თავს ვუშვერდით პირქაფიან ლარებს,
და გვეროდა: სქელ ქოჩორზე დაგვლიოდა ოქრო [95, 18].

კაზაფხულის გამანაყოფიერებელი წვიმის ნაკადის ოქროს სახით აღეცნა უძველესი მითოსური პლასტების შემცველია (გავიხსე-დანაც იქროვანი წვიმა).

ჩოგორუ მიუთითებენ, საწესჩვეულებო პოეზიის რიტუალური ილოები პოეტური ტრანსფორმაციის შედეგად ლირიკული პოე-მთატვრულ სახეებად გარდაისახა.

3. კოტეტიშვილმა „ვარდობის“ საგაზაფხულო დღეობას დაუკავ-ლირიკული ლექსები, საღაც ვარდის ან სხვა ყველითა კონები-კვრგვინები სატრაფიალო პოეზიის მხატვრულ სიმბოლოებად ქცე- („აქედანა და შენამდე“, „ნეტავი რაღმე მაქცია“ და ა. შ.), 347].

ვარდობა, ხალხური კალენდრით, მაისობას უკავშირდება [437, 21]. ტერესო მთქმელების ცნობა იმის თაობაზე, რომ 7 მაისს წვიმის უკანად გონჯაობაზე რომ ჩამოივლიდნენ, „ვარდკანაფას“ იმდე-დნენ*.

იოანე ზოსიმეს კალენდრის მიხედვით „ესე თთუე არს ვარდობი-მაისი“ [80, 104]. პ. კველიძე, პ. ონგოროვა ვარდობის თევს ზღის ან ზოგადად ყვავილის გაშლის სეზონს“ უკავშირებენ (ყვა-ებისად, ახალთად), [72, 262; 80, 101]. ამასვე გულისხმობს ალ. ოჩი-ის შენიშვნა: „ვარდის დღეობა ნიშნავდა ზაფხულის დღეობას, კვან მთაში მაშინ ყველაფერი ყვავის და ამიტომ ქეიან ვარდის ყვა-ის დღეობა“ [135, 516].

პ. კველიძე, თუმცა, შენიშნავს, რომ „ვარდობისაი წმინდა ქარ-ლი სახელია“, ვარდობის მოძრავ დღეობას (მაისი — აგვისტო) უკავ-ხებს სომხურ „ვარდავარს“ [80, 130] და, შესაბამისად, ათენენობს, მელსაც ქართველთა და სომეხთა ჰეორტალოგიური ერთიანობის. პთად მიიჩნევს [80, 128—130].

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სომხური დღე-აწული „ვარდავარი“, რომელიც მნიშვნელოვან სამეურნეო სამუ-ოთა დასაწყისსა და დასასრულს იმართებოდა (აპრილი, მაისი, ივ-ისი, 6 აგვისტო), ნაყოფიერების, შეიღლოსნობის, წყლის და ნათესე-ს ქალღმერთის ანაიტას კულტიდან იღებს დასაბამს [355, 9—10], ომლის შორეული ძირები აფროდიტეს სახელს უკავშირდება (ორივე ალღმერთის ეპითეტია „ვარდისთითა“). სიტყვის — ვარდვარ — ეტი-ოლოგიები სხვადასხეაგვარია. ზოგი მას ვარდისგან წარმომდგარად იჩინებს [309, 24; 326, 1—36], ზოგი კი — უკავშირებს წყალს [355, 0; 414, 187].

* ყეტორის საველე მასალები, რვ. № 4, გვ. 15.

უარდვარდის დღეობას ბოლო დრომდე შემორჩია მხიარული ახალ-გაზრდული დღესასწაულის ხასიათი. ამ დღეს გოგოები და ბიჭები აგროვებენ ყვავილებს, თაიგულებს, ჩამოივლიან სახლებში და მღერიან საგანგებო სიმღერებს. გოგონებსა და ვაჟებს შორის იმართება შაირობა, პაქტობა, განსაკუთრებით იკვეთება გაუთხოვარი ქალების თემა.

ვარდის რიტუალური დანიშნულების კეალი საგაზაფხულო წეს-ჩვეულებებში არა ერთ ხალხურ ლექსს შემოუნახავს ქართულ ფოლ-ქლორშიც.

ვარდობის, საგაზაფხულო მეჯლისის სურათს ანალოგიურად აღ-წერს თეიმურაზ მეორე:

ბაღშიგან წავლენ დღისითა, როს მოვა გაზაფხულიო,
შიგ დასხდებიან სალხინოდ, აყნოსებთ ვარდის სულიო.
მოპერეფენ ყვავილს ხელითა, ვარდისას შეპევრენ ქონებსა,
ვისაც სჭირს სურვილი, ცრუმლს დაღვრის, შვიქმს ფონებსა,
ვარდს გაუგზავნის მალვითა, ბროლის გულს დასაკონებსა...
[67, „აქა მეჯლისის ამბავი“].

კალენდარულ საწესჩვეულებო რიტუალებში მაგიური ძალა ენიჭება მცენარეთა ტოტებს, ფოთლებს, ხეებს. ისინი ბუნების აღორძინების სიმბოლოებად გვევლინება. ამის მერთალი გამოძახილია ის, რომ სატროიალო საგაზაფხულო ლექსებში ხშირად გვხვდება ტიპური დასაწყისები:

„ჭალას ვიყავ, ჭალა ვნახე, ვერხვი ვერხვსა ეხვეოდა...“
„ჩავალ ხეესა, ჩავერავ ხელსა ფირფიტასა დგნალისასა...“
„ყველა ხე რომ აყვავილდა, შენ რას შვები წიფელაო...“ და ა. შ.

შსხმოიარე ხეთა ნაყოფი, როგორც ეროტიკული გრძნობების დაკმაყოფილების სიმბოლო, ასევე არა ერთ სატროიალო ლექსში იხსენიება [167, 226]:

ბალჩაშია გადვიხედე,
ტურფა იყო მწოლიარე,
თავით ვრთი ვაშლი ედგა,
ფეხით უფრო მსხმოიარე,
ვაშლი ვთხოვე და არ მომცა,
ქმაჩედ იყო მგლოვიარე... [192, 135].

ხილის მოწყვეტა, მიწოდება ფოლკლორულ პოეზიაში სატროიალო გრძნობების გამხელის მეტაფორაა. ჭონაში ხშირად მღეროდნენ:

ქალმა ვაშლი შამამტრიკნა,
ამაიღო უბიდანა,
ჩემეულად შემინახე,
არ გადმიგდო გულიდანა [40, 39].

სხეადასხვა ხალხების სატრფიალო პოეზიაში ყველაზე უფრო ხშირი ვაშლი იხსენიება. ქალ-ვაჟის გაბასების ტექსტებში ვაშლი ქალის სიმბოლოა ხშირად:

„ვაშლი ვარ თეთრი, წითელი,
შენგან არ დაეიკრიფები“, —
— მიმართას ქალი ვაჟს [105, 38].

ვაშლის სატრფოს სიმბოლურ სახედ დასახეას, რაც ბევრი ხალხის ფოლკლორშია ცნობილი, ხელი შეუწყო ნაყოფის ფორმის ასოციაცირმა დაკავშირებამ ქალის მკერდთან. ეს ქართულ ფოლკლორშიც დასტურდება:

ნეფვმ ხელი ჩამოუსვა
ლელოფლისა საყელოსა,
ბალლია და გაიხროს,
იქნებ ვაშლებ დახელოსა [170, 192].

ლირიკული ლექსების ნაწილი ქრისტიანული ღლეობების თემებზე აგებული (დიღმარხვა, აღდგომა, გიორგობა, მარიამობა, ამაღლება). ლირიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ტექსტები აღწერს ღლეობას-წაულის მონაწილეთა გრძნობებს, მათ მხიარულ სადღესასწაულო განწყობილებას:

წმინდა გიორგი ცხენსა ზის,
ქვეშ უქრის ნიავქარია,
იაგუნდებით მორთულა,
ბარათაშეილის ქალია,
ღლეობისათვის ვიღას სცალს,
ვინც არ მგონია, მთერალია [175, 193].

გვინდა შეგეხოთ ლირიკული ლექსების ერთ თავისებურებას კალენდარულ საწესჩევეულებო ფოლკლორთან მიმართებაში. თუ საკუთრივ საწესო ლექსებისათვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი კალენდარულ რიტუალთან, მაგიური შინაარსის აქცენტირება და სპეციფიკური პოეტური ფორმა, ხშირად პროზის და პოეზიის მიჯნაზე რომ იყოფება, ამავე თემების დამუშავება ლირიკაში გამოირჩევა ერთგვარი თავისუფლებით, სილალით, ფორმის გაშლით, შინაარსის დეტალიზაციით და აღწერითი ხასიათით. ეს უკანასკნელი უცხოა საწესჩევეულებო მაგიური პოეზიისათვის, რომელიც კალენდარული რიტუალის აღწერას კი არ ისახავს მიზნად, არამედ წეს-ჩვეულების ერთ-ერთი ორგანული კომპონენტია და, თავის მხრივ, ავლენს რიტუალის გარევეულ მაგიურ ასპექტებს.

ლირიკული ლექსები კალენდარული საწესჩევეულებო პოეზიის ციკლში გამოირჩევა პოეტური სრულყოფილებით, მოწესრიგებული

რიტმით, დახვეწილი რითმებით, მხატვრული ხერხების (ეპითეტი, მეტაფორა და სხვ.) მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით. საგაზაფხულო ლექსების ანალიზმა ცხადყო, რომ ლირიკული პოეზიის მხატვრულობა სახეები, რომელთაც დღეს „ესთეტიკური სამკაულის“ ფუნქცია ეკისრება და პოეტური შემოქმედების ხერხს წარმოადგენს, თავისი წარმოშობით, საწესჩვეულებო სიმბოლოებთანაა დაკავშირებული.

გოლოთა გა

განხილული მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილია, შინაარსობრივად და პოეტური ფორმის თვალსაზრისით მრავალფეროვანი.

კალენდარული ფოლკლორის შესწავლისას, ბუნებრივია, დგება საყითხი ქრისტიანული და ქრისტიანობამდელი ტრადიციების ურთიერთმიმართებისა. ნეტარი ავგუსტინე („აღსარება“, VII, 13), როცა ლაპარაკობს წეს-ჩევეულებების სხვაობის შესახებ სხვადასხვა ხალხებსა და ეპოქებში, შენიშვნას: „ღმერთმა... ცალკეული ქვეყნებისა და დროთათვის მათი შესატყვეისი ზნე-ჩევეულებანი დაადგინა, თუმცა თვითონ ჭველა ქვეყანასა და ყველა დროში ერთი და იგივეა... ერთს ღმერთმა ერთი მცნება დაუდო, მეორეს კი — სხვა, შესაბამისად დროის პირობებისა; მაგრამ ერთიცა და მეორეც ერთსა და იმავე სიმართლეს ემსახურებოდა“.

აღნიშნულ საყითხებს ქართული ფოლკლორის პირველი შეკვეთი შეეხსენ თავიანთ ნაშრომებში (მ. კელენჯერიძე, ალ. ხახანაშვილი). მ. კელენჯერიძე ამჩნევდა „სხვა და სხვა დროის, სხვა და სხვა სარწმუნოვბათა და სხვა და სხვა ცნებათა ელემენტების კვალს“ ფოლკლორულ ნიმუშებში [157, 191].

კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია იმ სახით, როგორც მან ჩევნამდე მოაღწია, ქრისტიანული კალენდრის ჩარჩოებშია მოქცეული. ლექსების, ფერხულების დიდი ნაწილი ქრისტიანული დღეობების (აღდგომა, ხარება, ყველიერი), ქრისტიან წმინდანთა თაყვანისცემის (წმინდა გიორგი, წმინდა მარიამი, წმინდა ელია და ა. შ.) და ვედრების მოტივებზეა აგებული. მაგრამ, როგორც კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის შესწავლა გვიჩვენებს, ქართულ ხალხურ კალენდარულ პოეზიაში დაუნჯებული მსოფლგანცდა, მეორე მხრივ, ტრადიციული აგრარულ-სამეურნეო ყოფითაა განპირობებული [297, 153].

ქართული კალვნდარული საწესჩვეულებო პოეზია სავსებით უკავაბა „ხალხური რელიგიურობის“ მსოფლმხედველობას, რომლის შესახებაც ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ ეთნოგრა-

ფები და ფოლკლორისტები: „სოფლის მცხოვრებთა ჩწერნა და რელი-გიური პრაქტიკა „საუკუნეთა მანძილზე რჩებოდა ნარევად წარმართობის, ანიმიზმის, პირველყოფილი მაგის, ხთონური და სხვა კულტები-სა“ ქრისტიანული მოძღვრების ელემენტებთან [297, 137].

კალენდარული საწესჩვეულებო რიტუალების და, შესაბამისად, ფოლკლორის საფუძველთა საფუძველს შეაღენს ხალხის ტრადიციული ყოფა-ცხოვრება, ხალხის ფსიქიკაში ხანგრძლივი ისტორიული განვითარების, თაობათა ორგანული მემკვიდრეობის შედეგად ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევების ერთობლიობა.

ტრადიციულ კალენდარულ წეს-ჩვეულებებსა და ფოლკლორში, გარდა მათი საკრალური არსისა და დანიშნულებისა გვხიბლავს შე-გრძნება ადამიანის და ბუნების ჰარმონიული ურთიერთობისა. ეს ხომ ბუნება იწვევდა ადამიანს თავის პერიოდულ, კანონზომიერად განმეორებად დღესასწაულებზე. ყოველი ასეთი დღვე, მართლაც, სასწაული დღე იყო, რადგან ეს იყო ადამიანების ერთმანეთთან, ბუნებასთან, და-საბამთან ერთიანობის წუთები.

„კვალში“, გამოქვეყნებული ერთი წერილის აეტორი შენიშნავდა: „გაზაფხულიდან დაიწყება საქართველოს ყოველ კუთხეში ადგილობრიერი დღესასწაულობა... ეს დღეობები ერთადერთი დამაკავშირებელია დღეს ჩვენი გვარების, მოყვრების, ნაცნობების და ნათესავებისა“ [„კვალი“, 1893, № 14].

ამიტომ დასანანია ხალხისგან სულ უფრო ზშირად გაგონილი სი-ნანულით ნათესავი სიტყვები: „ახლა აღარ იციან, ქვე იცოდნენ“, „ეს ახლა აღარ არი“, „რა ვიცი, რისი აღსანიშნავი იყო... და ა. შ.

ყოველი ასეთი დავიწყებას მიცემული წესით და ჩვეულებით „ირ-ლვევა ღროთა კავშირი... წყდება ეთნოკულტურული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრადიციები, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა თა-ობის ადამიანებს“ [409, 126].

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოთქვამდა შეშტოთებას ალ. ორ-ბელიანი მამა-პაპათა წესების და „ხმების“ დაკარგვის გამო: „არ ვიცი ეს ამები რომ დავკარგოთ რისთვის და რათა?“ [132, 116].

მართლაც, „რისთვის და რათა“?

სადღეისოდ, გლობალური ეკოლოგიური კრიზისის პირობებში, როცა ადამიანის ბუნებისგან გაუცხოებამ უკიდურესობამდე მიაღწია, ალაპარაკდნენ ფოლკლორის აღორძინების, როგორც ეკოლოგიური წინასწორობის (როგორც ბუნებაში, ისე სულიერ ცხოვრებაში) ალ-დღენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობაზე. ჩვენში ამ ბოლო ღროს მომრავლებული სახალხო დღესასწაულებიც ამის დასტურია. ამ უკანასკნელ საჭიროთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კალენდარული დღესასწაულების, წეს-ჩვეულებების, შესაბამისი ზე-ბირსიტყვიერების განუხრელი დაახლოება ტრადიციულ, ეროვნულ ფორმებთან.

ცნობილია, რომ „... ყოველი ხალხი რომელიმე განსაკუთრებული სახით აცნაურებს მსოფლიოს...“ (გრ. რობაქიძე, მიმართვა ქართველ ხალხს). მიიტომაა ყველა ეროვნული კულტურა, მიუხედავად გარევაული უნივერსალიზმისა, ინდივიდუალური ხასიათისა. ქართული კალენდარული წეს-ჩვეულებები და ფოლკლორი მნიშვნელოვანი წყაროა იმის გასააჩერებლად, თუ სახელდობრ როგორ იცნობიერებდნენ ჩვენი მამა-პაპანი სამყაროს. სწორედ ამის გამოა ის განსაკუთრებით ფასეული წინაპართა მემკვიდრეობიდან.

შ 0 6 0 8 3 6 0 8 0

1. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობები ქართველთა კავშირისა ჭერ ქალები ძეველი აღთქმის ტრადიციასთან: „მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზელუა ისრაელთა, და იზრდებიან იგინი უდაბნოს მანანათა. განკურდეს ყოველნი, და მათ ყოველთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა“ [180, 14]. ქართლიდან წარგზავნილები იყვნენ მომსწრე და თვითმხილველნი ქრისტეს ენგბისა (ცლიოზი, ლონგინოს კასნელი). უკვალოდ არ ჩაუვლია არც ანდრია მოციქულის და სეიმონ ქანანელის მოღვაწეობას.

მეფე ჩევი, რომელმაც აკრძალა ყრმათა კვლა კერპთათვის, წარმართი იყო, მაგრამ „სმენილ იყო მისდა მცირედი რამე სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი [180, 58].

ხოლო ნინოს ქართლში შემოსვლის დროისათვის „ქება-დიდება“ ქრისტესი არ-ლარა ფარულიდ ითქმოდა ქართლს შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მოფენად აღმოსავლეთს“ [180, 92].

მეორე მხრივ კი, „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდის ცნობებს უკვე ქრისტიანული ეპოქის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართველთა „უამთ ვითარებით სჭულ-ზედ წაკადომის“ [86, 144] და მეფეთა (ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე) ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: 180, 145; 180, 352; 181, 21; 181, 111 და ა. შ. მაგ., თამარის ისტორიისი გადმოგვეცმს: „და შემუსრა ყოველი ხატი და ყოველი კერძოვანება ოქროსა და ვერცხლისა, რეინისა და რეალისა და კეიისა რომელიმე უხილავთა ძალთა ძეგლები და ანდრიანტები, რომელიმე ხილულთა მებრძოლთა და წინააღმდგომთა“ [181, 21].

2. ერთგვარ გაუგებრობას იწვევს სიტყვები „ქიშმაშობა“, „ქიშმიშობა“, „იშ-რიშობა“, რომლებიც ტექსტებში „ქრისტეშობას“ ერითმება. შესაძლო, ამისვალი ფორმა იყოს „ქიშმაშობა“. ნადურებში გავრცელებულია „ყარანი შექიშმაშდა“, რაც ნიშნავს, რომ ყარანამ (მგალობელი ფრინველია) მხრები შეიიფერთხა, შეისწორა [128, 29—31].

3. გთავაზობთ ე. წ. მერცხლის სიმღერის პჟერარედულ თარგმანის: „მოდი, მოდი მერცხალო, ლამაზი წლის და წელწადის დროთა მომყვანო, მუცელი თეთრი გაქვს, ზურგი კი — შავი. გამოვვიტანენ თათარას, თასით ლვინოს და კალათა ყველს. არც პურსა და კვერცხს გულზე იტყვის უარს მერცხალი. მაშ, წავიდეთ თუ მოგვცემთ რაიმეს? თუ არ მოგვცემთ, არ გახჩერდებით. ან კარს წავიღებთ, ან კარის ძელს, ან იმ ქალს, შინ რომ გიჩით. პატარაა, ადვილად წავიყვანთ. თუ მოგაქვს რამე, ბევრი გამოიტანე, გაუღე, გაუღე კარები მერცხალს. მოხუცები კი არა ვართ, არამედ ბავშვები“ [448, 44].

4. „კონას“ ნაცვლად ამბობენ „კონიებსაც“: „ალდგომას, კაი დლევბში ვიცოდით კონიები“ (ავტორის საველე მასალები, რვ. № 4, გვ. 58).

5. ნათქვამის გათვალისწინებით, არ მიგვაჩინა მართებულად მ. ჩიქვანის ერთი შენიშვნა სამეცნიერო ლექსითან დაკავშირებით: „ეს დალოცვა უფრო სამეფო კარზე

ჭარბოსაქმექლი სიტყვაა, ვიდრე გლეხურ ყოფაში გამოსაყენებელი მიმართვა [215, 488].

6. საახალწლო სამეცნიერო ტექსტებში წმიდა ვასილის ხსენება გამოწვეულია ძიმით, რომ ეკლესიის ამ დაზღვი მამის ხსენების დღე 1 იანვარია. დიდი ღოთისმეტყველის სახელის მცირდო კავშირი ქართულ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორთან (რიტუალური პურები — ბასილა; საკვლევი ხის, ჩიჩილაკის „ბასილას წევრები“ და სხვ.) შესაძლოა, იმითაც აიხსნას, რომ გარკვეული ტრადიციით, წმიდა ვასილი ქართველად (კამადოკიელად) ითვლება.

7. დასავლეთის ეკლესიაშ 1200 წელს მიიღო „Benedictio ovorum“.

8. კვერცხის შელებგის ჩეულება გავრცელებული იყო ძველ ეგიპტუში, სპარსეთში, რომში, კელტებში. ჩატ შეეხება ქრისტიანულ ტრადიციას, იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ რომში საქადაგებლად მისული მარიამ მაგდალინიელი წარსდგა იმპერატორ ტიბერიუსის წინაშე, მიართვა მას წითელი კვერცხის ჭვარცმისას სისხლის წევთებით შელებილი) და ახარა: „ერისტე აღსდგა“. პირველმა ქრისტიანებმა მას მიბაძეს და ყოველ აღდგომას წითლად შელებილი კვერცხით ულოცავდნენ ერთმანეთს. ასე გავრცელდა ეს ჩეულება („აღდგომის კვერცხი“. — „ივერია“. — 1889 წ., 9 აპრილი).

9. აგრარული კულტების კავშირი წინაპართა, მიცეალებულთა კულტებთან კალენდარულ ციკლში ორაერთხელ იჩენს თავს (ლიფანალი, ხალარჯობა, სულთაობა) თუშეთში ხალარჯობას, მიცეალებულთა მოხსენების დრეს, საფლავზე ხორბალს მოანერენ და იტყოლნენ: „ჯეკილთამც ამოგივალს, მწვანილმთაც გვეჩვენებისთა, ბარაქა მოგვეც, ნახავ-ნათესი გავიმრავლე“ [171, 78].

ამ თვალსაზრისით, განსაუთრებით საინტერესოა ზაფხულის სამუშაოთა (თიბეა, შეა) ციკლში საქართველოს სხევადასხვა კუთხეში (ჩატა, მთანეთი) მიცეალებულთა მოხსენების და სამგლოვიარო სიმღერების (ხმით ნატირლები, გერინი) შესრულების ტრადიცია (ე. წ. თბევის თავი, თბევის საშაბათო, ახანახე). ქართულ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორში დადასტურებული ეს ჩეულება შინაგან კავშირს ამეღლავნებს ძველ ლიმისავლეთში გავრცელებულ რიტუალური გლოვის ტრადიციასთან, მითთან ღვთაების სიკვლილისა და აღდგომის შესახებ, რომლის განსახიერებას წარმოადგენს ე. წ. „პურის სული“. ძველ ეგვიპტეში დასტიროდნენ და მარხავდნენ ხოლმე პირველ ძნას, სიბოლოურად კლავდინენ ნაყოფიერების ძალების ღვთაებას ჰურის ყანის სახით (კ. ურეზერი). ამგვარმა წრმოლებენ აქცია, აღბათ, ყანა გლოვის ადგილად, ჩატ დასტურდება ქართულ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორშიც: „ყანას გამოპერს ყელსაო“ — ამბობდნენ თბევისა და მესის ღრას. შერმის ხალხურ ლექსებში მესისა და თბევის პროცესი ასოცირებული იყო მოკვლავთან, ბრძოლის ველთან:

შეიქმნა ხმა და ძანილი, მრავალი წაიქცევისა,
უწყალოდ ყრია დაჭრილი, სისკლი არ დაიქცევისა [195, 80].

10. მოვარის შელოცვის ტექსტები ტიპოლოგიურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თუშეთში ჩაწერილია შემდეგი შელოცვა:

მთვარე ვნახე გორაზედა, საქმე ხანებაზედა,
საფუარი მფუანი, ხელი გარაქიანი.

შეანაც გზაი გაიხანდებ, მენაც საქმე მიხანდება,
კბილი მთელი, კია მყდარი [103, 186].

11. ქველ ათენელთა მითოპოეტურ ცნობიერებაში დედამიწა გაიგივებული იყო შესრულების მიზანისას კალთან, აგრძარულ-სამეურნეო დანიშნულების რიტუალების შესრულებისას მიწას მიმართავდნენ: „დათრისულდი!“ [275, 99—102].

12. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო გურიაში ძველად გავრცელებული ჩვეულება „მიწის გაჭრებისა“, რომელსაც მიმართავდნენ ქალის შემბიარების დროს [348, 90—95].

13. ნეოლიტის სიმბოლიკა წვეშას ქალღვთაების ძროში ჩატანა აიგივებდა [386, 477]. წყლის გამოთხოვა მკერდის გამოსახულებით ძველი ხალხების პლატი-კერი ხელოვნების გავრცელებული მოტივია.

14. ავტორის საველვ მასალები, რვ. № 5, გვ. 46.

15. წვიმის გოგონა თავისი არსით წყლის (წყლიდან გამოსულ) ქალმერთს უკავშირდება, რომელიც მიწაზე სინოტივის, ნამის და, შესაბამისად, ყველგვარი ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის მომტანია. ანალოგიურ წარმოლებებს უკავშირდება ასევე რწმენა ზღვის ქალის ან მესეფი ქალების ზღვიდან გამოსულის შესახებ, რაც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში [65]. ამინდის რიტუალის აგრძარულ ტულტებთან კავშირზე რიტუალური დედოფალას დამზადების ხალხური წესებიც მიიღოთთებს. საწვიმარ გუგას აკეთებდნენ სხვადასხვა მცენარეთა ნაწილებით, რომლებსაც საგანგმოოდ არჩევდნენ, პირისახის მორთულობაში თავს იჩენს ასტრალური მორთულობები [179, 205].

16. სომხეთში გვალვისას დედოფალას ჩამოატარებდნენ, შეკითხეაზე, თუ რას დასურვებდა, დედოფალა პასუხობდა:

От простой курицы яйцо,
От дойной коровы — молоко,
От неба — дождь,
С земли — плоды [434, 186]

მესხეთ-ჭავახეთში ჩაწერილ წვიმის გამოთხოვის ერთ რიტუალურ ტექსტში გვხვდება წვიმის თოჯინას სახელი „კოტი“, რაც, შესაძლოა, ამ რეგიონში სომხური ფოლქლორის გალენით იყო განვირობებული (სომხურ ლექსებში გვხვდება თოჯინის სახელები: კოდი, გოდი...). [230, 125; 316, 129].

17. ავტორის საველვ მასალები, რვ. № 5, გვ. 11. აქარაში, გამაპმატიანების შემდეგ, ქრისტიანი წმინდანის სახელი დავიწყებას მიეცა, რიტუალი კი დარჩა. ლაზარობის რიტუალში ლაზარეს სახელის მნიშვნელობა რომ გაბუნდოვანებული იყო, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ რ. ერისთავი „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში ლაზარობის შესახებ შენიშნავს: „Лазаре не переводимое слово, его вы узнаете из самого описания“ [441].

18. ამინდის მართვის ხალხური წესები დაკავშირდა იმ წმინდანთა სახელებს, რომელთა ხსენების დღეები გაზაფხულის ან ზაფხულის თვეებში იყო (ელია, ლაზარე, მაქსიმე აღმარებელი).

19. „ეჭ, ეგ ლაზაროძე“ — იტყვიან საინგილოში კაცზე, რომელიც თავის თავს არ უვლის, წვერმოშევებული, დაკონკილი, დაუდევარად ჩამოული დადის და ოჯახის საკმეებზე არ ზრუნავს („ეგ ლაზაროძე, რუმ გავა, აღარ მოდის“), — ავტორის საველვ მასალები, რვ. 4, გვ. 9.

20. მესხეთში ამბობენ: „მარტის წერო, ლაგლაგი, რეაში არ მოვა, ცხრაში კი არ დარჩებაო. იმას ნიშანი მოჰქონდა, თავთავი. თუ მოიტანდა, კარგი წელიაო,

იტყოდნენ. წერო რომ მოვიდოდა, გაიხსნიდნენ ქამარს, წეროები დაიშლებიანო, — ახალგზირდები თამაშობდნენ ასე” (აკტორის საველე მასალები, რვ. № 5, გვ. 35).

21. ერთი მცხის გლეხის გადმოცემით, „პირველი კვალი ნამდვილ გლეხს უნდა გაეტანა... ეს ქათამ-ბატსაო, ეს გარეულსაო, ეს ნათესავსაო, ჩიტებსაო, მღრღნელებსაო... კაი გლეხმა იცოდა, ზედმეტად გადაპნევდნენ მათ ყისმათხე აკტორის საველე მასალები, რვ. № 5, გვ. 33).

22. დიდი სჯულის კანონის მიხედვით (თბ., „მეცნიერება“, 1975), მოციქულთა და საეკლესიო კრებათა კანონები კრძალავენ მოვების, მფრინველთა მნიშვნელებიც (გვ. 227), ღრუბელთმდევნელების, შემლოცველების და გრძენელების (გვ. 393) მოქმედებას. მათ განაცენებენ მორწმუნეთავას: „რაც ერთვობოდა არს ქრისტეს ბელიარის, თანა, ანუ... რა ნაწილი უც მორწმუნესა ურწმუნობსა თანა...“ (გვ. 393).

კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ გრძოლა გამოუცხადა კალანდას (ჟაფრევა ჩუენის წელიწადის თავისა), ბოსლობას, მარტის პირველი დღის დღე-სასწაულობას, როგორც „საწარმართო ჩვეულებებს..., უცხოთა საქრისტეანობას ცხორებისათვის გარემიტევესა“ (გვ. 393).

23. სიტყვის მაგიური ძალის ჩრდენა კარგად ჩანს რიტუალში, რომელიც საგაზიფხულო და საკალანდო ციკლში სრულდებოდა. სამეგრელოში, აღდგომის კეირაში „გოხარჭალაუას“ რიტუალის შესრულების დროს პროცესის მეთაური უშმდრახი ქალშეილი ბაღში ყველა ხეს დაიღილდა, მიადგებოდა იმ ხეს, ნაყოფს რომ არ ისხადა და შესაშინებლად ცულმოლერებული დაიძახებდა: „უნდა მოვკრა!“. რიტუალის მეორე მონაწილე კი ხეს თავდებად უდგებოდა: არ მოკრა, მომაელში მოისხამსო“ [334, 398—399]. გურიაში ანალოგიური რიტუალი კალანდობა დღეს იმართებოდა, სამერე გამეორებლნენ:

— „მოკრა აი ხეი?

— არ მოკრა, კი გამესხამსო.

ამას იმიზა აკეთებდნენ, ხეს გამეესხა“ [თსუფა, № 16133; 158, 53].

24. ბერიკაობის და სხვა ამგვარი რიტუალების წარმოშობაზე ისიც მიგვანიშებს, რომ კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრების დაღენილებით, „ჯერ-არს განკარნებად მათი, რომელთა დათვ მოებას ანუ ეგევითარი რამე ცხოველი სამღერებლად და სავნებელად უმარტივესთა“ (გვ. 393).

25. ამასთან დაკავშირებით, საფულისებრო შ. ამირანაშვილის მოსაზრება, რომ თრიალეთის თასის საკულტო სცენაზე გამოსახულია „დათვი, რომელიც ხის შტოებისკენ იწევს“ [6, 30].

26. ქართველთა ძირითადი ქალღვთაების, დედა უფლის, პლასტიკური გამოსახულებები საქართველოში ბევრგვანა არქეოლოგიურად დადასტურებული. ულავერის გორაზე აღმოჩენილ ფიგურას ტანზე ამოკვეთილი წიწვოვანი ორნამენტი ამშვენებს, რაც უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდება: უკვე აღრეულ ეტაზე ხდება „...ქალის სახის შერწყმა ხესთან, მის მცენარეულ ბუნებასთან. ქალი იჯულისხმება დედამიწის სიმბოლოდ, რომლის სახეში შერწმულია ორი საწყისი მცენარეული და მიწიერი“ [243, 23—24].

27. მოკრდავ და აღმდგარ ლეთაებათა მითოსური ბუნების იდენტურობას კარგად წარმოაჩენს მარციალე კაპელას პიმნი დიონისის მზისადმი:

В Мемфисе имя Осирис тебе и Серапис по Нилю,

Митра одним, у других ты Плутон, иль Тифон безиощадный,

Ты ж и над плугом склоненный возлюбленный отрок и Аттис,

В Библосе нежный Адонис, Аммон в раскаленной пустыне...» [312, 180].

28. შდრ. ჭონას შემდეგი ტექსტი:

წვეულებას გაუმარჯოს, არიგებას, ჩარიგებას,
ღმერთმა იქამდე გაცოცხლოს, სანამ იყოს თქვენი ნება.
[ფ. არქ., II¹⁶, გვ. 91].

29. შდრ.: „დღიდი სჯულისკანონი“ (გვ. 126): „ხოლო ეითარუა დასაბამი ნაყოფ-
თაად მიღებული ივი ყურძენი თვესაგან იკურთხებოდედ მღლელთა მიერ და მთხოველ-
თა მათთ განვყოფოდედ სამადლობელად ნაყოფთა მომცემელისა ღმერთისა“.

30. გ. ლეონიძის მარიტაც არის „მოციმციმე ტრედონა, წყნარი, როგორც მაი-
სის თეთრი წვიმა“ („ნატეტის ხე“), [96, 181].

შემოკლებათა განმარტება

1. ბსკიფა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკორული არქივი.
2. ესა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორის ხელნაწერთა საარქივო ფონდი.
3. თსუფა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი.
4. მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.
5. ფ. არქ. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელმწიფის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი.
6. ЗКОИРГО — Записки Кавказского отделения Императорского Русского географического общества.
7. КОИОСЗА — Календарные обычай и обряды в странах зарубежной Азии.
8. КОИОСЗЕ — Календарные обычай и обряды в странах зарубежной Европы.
9. СМОМПК — Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа.

ՀԱՅԻ ԲՈՒԺՈՒՄՆԱԳՐԱ

1. ա ծ ա ՛ ն է ց, ծ., — մ ո տ ո լ ո ց օ ւ ս ։ Ֆ ո ն գ ո յ է հ ո ւ թ ։ Ս պ ո ւ թ ե ։ Ք ա հ ո ւ լ ։ Ֆ է ք ո ւ ր և ս ո ւ ր ո ւ յ ա ն ։ Հ ա ն ։ 1984.
2. „Ա յ ա յ ի ս ։ Թ ա յ ո ւ ր ո ւ յ ա ն ։ Հ ա ն ։ 1898, № 5, դ ա ն ։ 2.
3. „Ա յ ա յ ի ս ։ Թ ա յ ո ւ ր ո ւ յ ա ն ։ Հ ա ն ։ 1899, № 1, դ ա ն ։ 2.
4. „Ա յ ա յ ի ս ։ Թ ա յ ո ւ ր ո ւ յ ա ն ։ Հ ա ն ։ 1899, № 2, դ ա ն ։ 2.
5. „Ա յ ա յ ի ս ։ Թ ա յ ո ւ ր ո ւ յ ա ն ։ Հ ա ն ։ 1899, № 7, դ ա ն ։ 2.
6. ա ծ ա հ ա ն ։ Շ ա յ ո ւ լ ։ Շ., — Ք ա հ ո ւ լ ։ Ե կ լ ո ւ ն ե ք ի ս ։ Ա ն ։ Տ ե ր ո ւ ր ո ւ յ ա ն ։ Հ ա ն ։ 1971.
